

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ФАКУЛЬТЕТ ПРАВА И МЕЖДУНАРОДНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

ISSN 1512-1305

თემიდა

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

THEMIS

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ФЕМИДА

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№10(12)-2016

თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2016

*შესაძლოა მე არც კი ვიცოდე ცხოვრების საზრისი,
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ საზრისის ძიებას მივუძღვნი.*
ბურდაევი

*May be I do not realize meaning of the life,
but I will devote the life to search of this sense.*
Burdaev

*Возможно я не осознаю смысл жизни,
но я посвящу свою жизнь поиску этого смысла.*
Бурдаев

სარედაქციო კოლეგია:

ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარის მოადგილე),
ი. გაბისონია, ჯ. ხეცურიანი, პ. კუბლაშვილი, გ. ხუროშვილი, ჯ. გახოკიძე,
ჯ. გაბელია, ზ. როგავა, ზ. რუხაძე, ზ. ძლიერიშვილი, ზ. გაბისონია, ქ. ჯინჭარაძე,
ლ. შაიშმელაშვილი, დ. კარიაული, ნ. ნიორაძე, თ. შომერუსი, ა. ბრანტი.

Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), V. Khrustal (vice-chairman), I. Gabisonia, J. Khetsuriani, P. Kublashvili,
G. Khuroshvili, J. Gakhokidze, J. Gabelia, Z. Rogava, Z. Rukhadze, Z. Dzierishvili, Z. Gabisonia,
K. Jincharadze, L. Shaishmelashvili, D. Kariauli, N. Nioradze, T. Shomerus, A. Brant.

Редакционная коллегия:

К. Кокрашвили (председатель), В. Хрусталь (зам. председателя), И. Габисония, Дж. Хе-
цуриани, П. Кублашвили, Г. Хурошвили, Дж. Гахокидзе, Дж. Габелиа, З. Рогава, З. Рухадзе,
З. Дзлеришвили, З. Габисония, К. Джинчарадзе, Л. Шайшмелашвили, Д. Кариаули,
Н. Ниорадзе, Т. Шомерус, А. Брант.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017
<http://gtu.ge>



ყველა უფლება დაცულია. გამოცემის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები

საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ გვევლინება საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტად ანუ ვის შეუძლია გაასაჩივროს საკასაციო წესით გადაწყვეტილება, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. საჩივრის შეტანა ისეთი პირის მიერ, ვისაც ამის უფლება არა აქვს, არის ამ საჩივრის მიღებაზე უარის თქმის, უფრო ზუსტად საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.¹

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ მესამე პირთა საპროცესო მდგომარეობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ორი სახის მესამე პირი: მესამე პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას დავის საგანზე და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. სასარჩელო წარმოების დროს ყოველთვის გვყავს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. განსაზღვრულია ასევე დავის საგანი, ესე იგი ის, რის გამოც ეს ორი მხარე უპირისპირდება ერთმანეთს, ვერ შეთანხმებულან და ამიტომ იძულებული არიან მიმართონ სასამართლოს, რათა მან გადაჭრას სასამართლო დავა. ზოგჯერ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, ან კიდევ ორივე მხარეზე რამდენიმე პირი (თანამონაწილეები – თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები) გამოდის. მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს არ ცვლის. ადგილი აქვს მხოლოდ მხარეთა რაოდენობრივ ზრდას: მოსარჩელის მხარეს გამოდის ერთი კი არა, არამედ რამდენიმე პირი, ხოლო მოპასუხის მხარეს – ასევე რამდენიმე პირი.

ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე კი იგივე რჩება. მაგრამ ზოგჯერ სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი რთულდება იმით, რომ პროცესში შემოდის პირი, რომლის ინტერესები არ ემთხვევა არც მოსარჩელის და არც მოპასუხის ინტერესებს. იგი პროცესში ებმება თავისი უფლების დასაცავად. ამრიგად, მესამე პირი – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით არის პირი, რომელიც შემოდის მხარეთა შორის უკვე დაწყებულ პროცესში საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებიც არა მარტო არ ემთხვევა, არამედ პირიქით ეწინააღმდეგება კიდევ მხარეების (მოსარჩელის, მოპასუხის) ინტერესებს.²

როგორც უკვე აღინიშნა, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ის პირებია, რომლებმაც განაცხადეს თავიანთი დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე. თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 391. 1997 წლის 14 ნოემბერი. ცვლილებებითა და დამატებებით 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

² თენგიზ ლილუაშვილი, გია ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, ზურაბ ძლიერიშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. პირველი ნაწილი. 2014 წელი, გამომცემლობა „სამართალი“. გვ. 150-151.

მხარეთა პაექრობის დაწყებამდე.¹ მაგრამ მხოლოდ სარჩელის აღძვრა (წარდგენა) არ კმარა, ასევე საჭიროა და აუცილებელი, რომ სასამართლომ მიიღოს წარმოებაში ეს სარჩელი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის სარჩელი ის სარჩელია, რომელსაც წაყენება ყველა მოთხოვნა, რაც საერთოდ სარჩელს. მისი მიღება და განხილვა ხდება სარჩელების მიღების შესახებ საერთო წესების დაცვით. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მისი დასაშვებობის საკითხი და მიიღოს წარმოებაში, თუ არსებობს დასაშვებობის ანუ სარჩელის წარმოებაში მიღების ყველა წინაპირობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს პირი მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და სწორედ ასეთ პირს შეიძლება მიეცეს უფლება საკასაციო წესით გაასაჩივროს გადაწყვეტილება. მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

რაც შეეხება მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ესაა საქმის შედეგით იურიდიულად დაინტერესებული პირი. იურიდიული ინტერესი კი დაკონკრეტებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლით, კერძოდ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია კონკრეტული მოსარჩელისა და მოპასუხის მიმართ, შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს ასეთი მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.²

იბადება კითხვა, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი იმ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის განხილვაშიც მონაწილეობდა მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ამ პირმა გაასაჩივროს სააპელაციო თუ საკასაციო წესით?

ვფიქრობთ ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს, რადგან საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ასეთი მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე. მას უნდა შეეძლოს გაასაჩივროს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ ამ გადაწყვეტილებას შესაძლებელია ჰქონდეს პრეიუდიციული მნიშვნელობა მომავალში მის წინააღმდეგ აღძრული რეგრესული სარჩელის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

ასეთი მნიშვნელობა გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მონაწილეობდა საქმის განხილვაში ან მოწვეული იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ ისეთ მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელიც ჩაბმული იყო პროცესში და მონაწილეობდა ან შეეძლო მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში. ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 88. 1997 წლის 14 ნოემბერი. ცვლილებებითა და დამატებებით 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

² დაწვრილებით ამ საკითხზე ნახეთ: ქეთევან გაბელაია. მესამე პირები სამოქალაქო სამართლის პროცესში. თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა “ჯისიაი”, 2003 წელი, გვ. 256-272.

მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა საკითხი იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა გაასაჩივრონ გადაწყვეტილება იმ პირებმა, რომლებიც არ გამოდიან პროცესში მხარეებად და რომლებსაც არ ეხებათ უშუალოდ გადაწყვეტილება, თუმცა არაპირდაპირ არღვევს კიდევ ან ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად არ თვლის ასეთი პირის საჩივარს. ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილია სხვა პირების მიმართ, შეილახა მათი უფლებები ან კანონიერი ინტერესები, შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში ამ უფლების დასაცავად. სხვა პირების მიმართ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას პრეიდიციული ძალა არა აქვს, ასეთი ძალა გადაწყვეტილებას აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე პირები მონაწილეობენ, მაგრამ თუ საქმეში ერთ-ერთი მხარე სხვა პირია, გადაწყვეტილებას პრეიდიციული ძალა არ აქვს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ამავე კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ზოგჯერ მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის გამოტანილი გადაწყვეტილება არაპირდაპირ კი არ შეეხო იმ პირის უფლებებს, რომელიც პროცესში არ მონაწილეობდა, არამედ ეს პირი პირდაპირ მოხსენიებულია გადაწყვეტილებაში და განისაზღვრა მისი ვალდებულებები საქმეში მონაწილე რომელიმე პირის მიმართ. ასეთ შემთხვევაში პირს, რომელსაც პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მოხსენიებულია გადაწყვეტილებაში, უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულია იმით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებამ ჩათვალა საქმისათვის გარეშე ეს პირი ერთ-ერთ მხარედ და განსაზღვრა მისი უფლებები და მოვალეობები, ისე თითქოს იგი მონაწილეობდა საქმის განხილვაში. ამიტომ, ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უნდა მიეცეს ამ პირს, ხოლო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან იგი მიღებულია საპროცესო კანონის უხეში დარღვევით (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).¹

ჩვენ ვიზიარებთ ასეთ შეხედულებას და სასურველია თუ საკანონო სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით განვითარდება.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შეიძლება მოხდეს ცვლილებები, გამოწვეული იმით, რომ მხარე, თუ იგი ფიზიკური პირია, გარდაიცვალა ან, თუ იგი იურიდიული პირია, მოხდა მისი რეორგანიზაცია, ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობას, ვალის გადაცემას და სხვა. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა უფლებამონაცვლეობა. საპრო-

¹ თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001 წელი, გვ. 305-306.

ცესო უფლებამონაცვლეობა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. „უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას საკასაციო გასაჩივრებამდე და საქმის საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგაც – ამ საჩივრის განხილვამდე.

თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა საკასაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, უფლებამონაცვლეს აღარ შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი, მაგრამ თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა საკასაციო გასაჩივრების ვადაში, მაშინ უფლებამონაცვლეს შეუძლია ამ ვადის გასვლამდე შეიტანოს საკასაციო საჩივარი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთები. არ არის გამორიცხული, რომ უფლებამონაცვლეობის დადგენილი წესით გაფორმება ვერ ესწრება, ხოლო საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა იწურება. ასეთ შემთხვევაში სავარაუდო უფლებამონაცვლეს შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს უფლებამონაცვლეობის წარმოშობის საფუძვლის დამადასტურებელი საბუთი (მხარის გარდაცვალების ან იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ ცნობა, მოთხოვნის დათმობის ან ვადის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და სხვა) და სთხოვოს საკასაციო სასამართლოს შეაჩეროს ამ საკასაციო საჩივრის განხილვა უფლებამონაცვლეობის გაფორმებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამონაცვლეობის ვარაუდის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია განხილოს საკასაციო საჩივარი. ამითაა განპირობებული სავარაუდო უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივრის განხილვის შეჩერების აუცილებლობა, რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ანალოგიის საფუძველზე. ეს ქვეპუნქტი გულისხმობს საქმის წარმოების შეჩერებას იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება გახსნილია, ესე იგი საკასაციო საჩივარი შეტანილია მხარის მიერ და მის განხილვამდე წამოიჭრა უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა. ჩვენ მიერ აღწერილ შემთხვევაში კი უფლებამონაცვლეობის საფუძველი არსებობს, მაგრამ უფლებამონაცვლე ვერ ასწრებს უფლებამონაცვლეობის გაფორმებას და ისე შეაქვს საკასაციო საჩივარი. სწორედ ამითაა განპირობებული სსსკ-ის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენების აუცილებლობა.¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაუშვებლად ცნო უფლებამონაცვლეობა მხოლოდ ვარაუდის ან კასატორის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე.²

მართლაც, ისეთი პირის უფლებამონაცვლედ აღიარებამ, რომელსაც არ გააჩნია სათანადოდ გაფორმებული და დამაჯერებელი მტკიცებულებები, შეიძლება უადრესად სერიოზული შეცდომები გამოიწვიოს, გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს ამა თუ იმ პირის კანონიერ ინტერესებს. ამ პრაქტიკას მტკიცედ იცავს საკასაციო სასამართლო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეო-

¹ ვალერი ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სადისერტაციო ნაშრომი. 2004 წელი. გვ. 43-51.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 29 მაისის განჩინება, საქმე №3კ/1027-01.

ბით. შეუძლიათ თუ არა მხარეთა წარმომადგენლებს გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით? წარმომადგენლობა სასამართლოში ავტომატურად ანიჭებს პირს ფართო უფლებამოსილებას, რომელთა ჩამოთვლა მინდობილობაში არ არის საჭირო. ამასთან, არის ისეთი უფლებამოსილებაც, რომელიც არ გააჩნია წარმომადგენელს და იმისათვის, რომ ასეთი უფლებამოსილებით ისარგებლოს, ამისათვის სპეციალური აღნიშვნაა საჭირო მინდობილობაში. ძირითადად ეს უფლებამოსილებები დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს. იმ უფლებამოსილებათა შორის, რომელთა შესახებ სპეციალური მინდობილობაა საჭირო, არის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება (სსსკ-ის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ასეთი სპეციალური მინდობილობა არ არსებობს, წარმომადგენელს არ შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე მართებულად განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ნუსხას, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში და რომელთა შესრულება შეუძლია თვით მარწმუნებელს.¹

ნებაყოფლობითი და საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის წარმომადგენლობისაგან განასხვავებენ კანონიერ წარმომადგენლებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს კანონიერ წარმომადგენელთა წრეს, აგრეთვე მათ უფლებამოსილებას. კერძოდ, კანონიერი წარმომადგენლები წარმოსადგენ პირთა სახელით ასრულებენ ყველა საპროცესო მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლებაც მიკუთვნებული აქვთ წარმომდგენთ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით. ასეთ შეზღუდვებს შეიცავს, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლი, რომლის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არ აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს – სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათწელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება.

ვიზიარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლომ არ უნდა მიიღოს მეურვისა და მზრუნველის მიერ სარჩელზე უარის თქმა, სარჩე-

¹ სუსგ 2014 წელი, №12, გვ. 26-32.

ლის ცნობა, საქმის მორიგებით დასრულება სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ქონებრივი ინტერესების საზიანოდ, თუ არ არის ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობა.¹

კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებს გარეთ კანონიერ წარმომადგენლებს, როგორც ეს მითითებულია სსსკ-ის 101-ე მუხლის მეორე ნაწილში, უფლება აქვთ შეასრულონ ყველა მოქმედება, მათ შორის შეიტანონ საკასაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ:

1. მხარეებს – მოსარჩელეს, მოპასუხეს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს);
2. მესამე პირებს – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით;
3. პირებს – რომლებიც არ იყვნენ ჩაბმული პროცესში არც მხარეებად, არც თანამონაწილეებად და არც მესამე პირებად, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებამ განსაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ;
4. უფლებამონაცვლეებს – რომლებმაც შეცვალეს მხარე სადავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით, დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან მისი გასვლის გამო;
5. იურიდიულ პირთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს – რომლებიც კანონით, დებულებით ან წესდებით აღჭურვილი არიან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და, მაშასადამე, წარმოადგენენ თავიანთ ორგანიზაციებს სასამართლოში;
6. კანონიერ წარმომადგენლებს – რომლებიც კანონის ძალით წარმოადგენენ ქმედობაუნარო და შეზღუდული ქმედობაუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს;
7. ნებაყოფლობით წარმომადგენლებს – რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა მიანდეს საქმის წარმოება სასამართლოში (მაგალითად, ადვოკატს) და აღჭურვეს სპეციალური უფლებამოსილებით – გაასაჩივრონ გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირს შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი სავალდებულო პირობის არსებობისას: თუ მას აქვს იურიდიული ინტერესი ასეთი გასაჩივრებისათვის. იურიდიული ინტერესი კი პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან წააგო პროცესი ანუ, როდესაც სასამართლომ გამოიტანა მთლიანად ან ნაწილობრივ მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება. ამიტომ, იურიდიული ინტერესის დადგენა ასეთ შემთხვევაში რთული არ არის. მხარეს, რომლისთვისაც ხელსაყრელი გადაწყვეტილებაა გამოტანილი ანუ დაკმაყოფილებულია მისი მოთხოვნა თუ შესაგებელი, უფლება არა აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

¹ თენგიზ ლიღუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა. გამომცემლობა “ჯისიი”, 2001 წელი, გვ. 96.

ვალერი ხრუსტალი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები

მოცემულ ნაშრომში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია გაასაჩივროს საკასაციო წესით გადაწყვეტილება. მითითებული საკითხი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება იმ პირის მიერ, ვისაც ამის უფლება არა აქვს, არის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია მითითებული ნორმის ვრცელი განმარტება თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

VALERI KHRUSTALI,
doctor of law, Professor

THE SUBJECTS WITH THE RIGHT OF CASSATION APPEAL

There is discussed the issue about who can appeal the decision to the Court of Cassation. This issue is important both from theoretical and practical point of view. Appealing the decision of the Appeal Court by the person, who isn't entitled to do this, is the basis of not considering the complaint.

According to the statement of the article 391, paragraph 1 of the Civil Procedural Code of Georgia, the parties and third persons with an independent claim may appeal decisions of the Appeal Court to the court of cassation within time limits set by law.

This article presents the extensive explanation of the above-mentioned legal norm on the basis of the theory and court practice analysis.

ВАЛЕРИЙ ХРУСТАЛЬ,
профессор, доктор права

СУБЪЕКТЫ ПРАВА НА КАССАЦИОННОЕ ОБЖАЛОВАНИЕ

В представленной работе рассматривается вопрос о том, кто обладает правом на обжалование судебного решения в кассационном порядке. Данный вопрос имеет существенное значение как с теоретической, так и практической точки зрения. Обжалование решения апелляционного суда лицом, не имеющим такого права, является основанием для оставления кассационной жалобы без рассмотрения.

Согласно норме первой части статьи 391 Гражданско-процессуального кодекса Грузии, стороны и третьи лица с самостоятельными исковыми требованиями вправе обжаловать решения апелляционного суда в кассационный суд в установленные законом сроки.

В настоящей работе приведено обстоятельное толкование вышеуказанной нормы, основанное на анализе теории и судебной практики.

**იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებანი**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 აგვისტოს შევიდა რადიკალური საკანონმდებლო ცვლილება, რაც გულისხმობს იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებას. აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაცია დღემდე საკამათოა და იურისტთა განხილვის საგნად რჩება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც წარმოდგენილი საკანონმდებლო რეგულაცია გაცილებით ადრე დამკვიდრდა და შესაბამისად პრაქტიკაც მეტია.

შეუძლია თუ არა იურიდიულ პირს ჩაიდინოს ქმედება, რომელიც მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით დანაშაულად დაკვალიფიცირდება? ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მიმართ თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა აზრები მეტად განსხვავებულია. ზოგადად, დანაშაული, თავის მხრივ, გულისხმობს არა მარტო ობიექტურ ქმედებას, არამედ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც, რომელიც მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. მიუხედავად ამისა, არა ერთმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ აღიარა იურიდიული პირი, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი ამა თუ იმ დანაშაულზე.¹

საქართველოში, როგორც გერმანიის სისხლის სამართალში, მკაცრად იყო დაცული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი. 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად აღნიშნული პრინციპი ირღვევა და ჩნდება „კოლექტიური“ პასუხისმგებლობის ნიშნები. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა თავდაპირველად სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის შეიქმნა და ერთგვარად ლეგალური ფიქციაა. შესაბამისად საინტერესოა, რამ განაპირობა ძირითადი პრინციპების ამგვარი სახეცვლილება? ამ თვალსაზრისით, ცხადია, მნიშვნელოვანია იურიდიული პირის როგორც სუბიექტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პრეისტორია და მასთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი თეორიები, რაზეც მოცემულ ნაშრომში არ შევჩერდებით.² რაც შეეხება საკვლევი საკითხის შედარებით სამართლებრივ ანალიზს, ამ მხრივ საინტერესოა იმ ქვეყნების თანამედროვე საკანონმდებლო რეგულაციების თავისებურებათა წარმოდგენა, სადაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაცილებით დიდი ისტორია და სასამართლო პრაქტიკა აქვს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნეოდა, თუმცა ბოლო წლებში არა ერთმა ევროპულმა ქვეყანამ აღიარა იურიდიული პირი სისხლის სამართლის სუბიექტად. აღნიშნულის ძირითად მოტივად გვევლინება ეკოლოგი-

¹<https://fezgeo.wordpress.com/category/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1->

[%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/](https://fezgeo.wordpress.com/category/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/)

² იხ. სამართლის მე-3 საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ქართული კანონმდებლობის პრობლემატიკა“. ქ. ქოქრაშვილი. იურიდიული პირი – სისხლის სამართლის სუბიექტი (ისტორიული ასპექტები).

ური და ეკონომიკური ხასიათის დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებათა გამკაცრების აუცილებლობა. პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მიჩნეულ იქნა, რომ კორპორაციათა კერძო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ ანაზღაურებდა მათ მიერ მიყენებულ ზიანს სრული მოცულობით და ვერც სამომავლოდ დანაშაულთა ჩადენის პრევენციის ეფექტურ როლს შეასრულებდა; შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა თავად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დამკვიდრება.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვლევი ინსტიტუტი სულ უფრო მეტ მხარდამჭერს იძენს მსოფლიო მასშტაბით. ჯერ კიდევ 1929 წელს, ბუქარესტის სისხლის სამართლის საერთაშორისო კონგრესზე დაფიქსირდა ამგვარი პასუხისმგებლობის შემოღების აუცილებლობა; 1946 წელს ნიუნბერგის პროცესზე საერთაშორისო ტრიბუნალმა აღიარა, რომ სახელმწიფო და მისი ორგანოები შეიძლება იყვნენ საერთაშორისო დანაშაულის სუბიექტები; 1978 წელს ეროკავშირის დანაშაულის პრობლემათა ევროპის კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ევროპის ქვეყნების იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარების შესახებ ეკოლოგიური ხასიათის დანაშაულთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ეროკავშირის ქვეყნების მინისტრების კომიტეტის მიერ მიღებული №(88)18 რეკომენდაცია, რომელიც ეხება იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებას კორპორაციულ დანაშაულთან დაკავშირებით. ზემოთქმულის მიუხედავად, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში ჯერ კიდევ არ მომხდარა წარმოდგენილ რეკომენდაციათა გაზიარება, რის მიზეზადაც თვლიან, რომ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლისთვის სავსებით საკმარისია ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმკაცრის ხარისხი და მოცულობა.¹

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის დანერგვამ თავისთავად განაპირობა თეორიულ პრობლემათა გადაწყვეტა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იურიდიული კონსტრუქციის უმთავრესი პრობლემა უკავშირდება ქმედების სუბიექტურ მხარეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1071-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით), ან/და მის სასარგებლოდ პასუხისმგებელი პირის მიერ“. ეს ფორმულირება ამა თუ იმ სახით განმტკიცებულია უმრავლესი ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.

საერთო წესის მიხედვით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხავს ფიზიკური პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. თუმცა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და კორპორაციის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

¹ 2016 წლისთვის იურიდიული პირი სისხლის სამართლის სუბიექტად აღიარებულია შემდეგ ქვეყნებში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1909 წელს უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია აღიარებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად; ნიდერლანდები (1976 წლიდან), ნორვეგია (1991 წლიდან), საფრანგეთი (1992 წლიდან), ფინეთი (1995 წლიდან), კანადა, კორეა (1997 წლიდან), ისლანდია (1998 წლიდან), სლოვენია (1999 წლიდან), ავსტრალია, ინგლისი, ბელგია, უნგრეთი (2001 წლიდან), დანია, ისრაელი, ირლანდია, პოლონეთი (2002 წლიდან), შვეიცარია (2003 წლიდან), რუმინეთი (2004 წლიდან), ზოგიერთი საბჭოთა ქვეყანა, მათ შორის საქართველო (2006 წლიდან).

ლურ პასუხისმგებლობას შორის მჭიდრო კავშირი მაინც არ არსებობს, კერძოდ იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი (სსკ. მ. 107¹. პუნქტი 4) (ანალოგიური მიდგომით ხასიათდება ისლანდიისა და ნორვეგიის კანონმდებლობაც).

საგულისხმოა, რომ ავსტრიის, ალბანეთის, ესპანეთის, ლატვიის, მექსიკის, პერუს სისხლის სამართლის კოდექსებს ახასიათებს იურიდიულ პირთა ერთგვარი „კვაზი“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს, რომ ამ ქვეყნებში იურიდიული პირი ფორმალურად არ არის აღიარებული დანაშაულის სუბიექტად, თუმცა მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი სანქცია.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად განსაზღვრავს იმ იურიდიულ პირთა წრეს, რომლებიც შესაძლოა მოგვევლინონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად. მაგალითად, ბელგიის, დანიის, ისლანდიის, საფრანგეთის კანონმდებლობით, აღნიშნული წრე მოიცავს არა მხოლოდ კომერციულ იურიდიულ პირებს, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც, მათ შორის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსაც. თუმცა, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვებს, კერძოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დროს სანქციის სახედ არ გამოიყენება ლიკვიდაცია.

როგორც სხვადასხვა ქვეყნის თანამედროვე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, ყველაზე პოპულარულ სანქცია – ჯარიმასთან ერთად იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს არცთუ იშვიათად გამოიყენება შემდეგი სანქციები:

1. ქონების სპეციალური კონფისკაცია (ალბანეთი, ბელგია, ერაყი, აშშ, საფრანგეთი);
2. საქმიანობის შეზღუდვა (ალბანეთი, ბელგია, ესპანეთი, ლიტვა, მოლდოვა, პერუ, საფრანგეთი);
3. საქმიანობის დროებითი (ვადიანი) შეწყვეტა (ესპანეთი, პერუ);
4. იურიდიული პირის ლიკვიდაცია (ბელგია, ლიტვა, მოლდოვა, პერუ, საფრანგეთი).

გარდა ჩამოთვლილისა, საფრანგეთის კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს განსხვავებულ სანქციას – სასამართლო ზედამხედველობის დაწესებას; სახელმწიფოს მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში მონაწილეობის აკრძალვას; საზოგადოებისადმი საჯარო მიმართვის აკრძალვას, ანაბრებისა და ფასიანი ქაღალდების განთავსების მოთხოვნის მიზნით.

თანამედროვე პრაქტიკაში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად, ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სისტემა: პირველს მიეკუთვნება საერთო სამართლის ქვეყნები და კონტინენტური ევროპის ქვეყნების ნაწილი (აშშ, ინგლისი, ბელგია, ავსტრია, პოლანდია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, პორტუგალია, საქართველო, ლიტვა, ესტონეთი და მოლდოვა). მისი არსით იურიდიული პირი სისხლის სამართლის პა-

სუხისმგებლობის ისეთივე სუბიექტია, როგორც ფიზიკური პირი.¹ მეორე მოდელი ეყრდნობა უშუალოდ ფიზიკური პირის ბრალეული ქმედებით გამოწვეულ პასუხისმგებლობას. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ, მისი ინტერესებისათვის. ამგვარი სისტემა არსებობს ავსტრიაში, ალბანეთში, ესპანეთში, ლიტვაში, მექსიკაში, პერუში, თურქეთსა და შვეიცარიაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლი იურიდიულ პირთან დაკავშირებით ადგენს ე.წ. „აბსოლუტურ პასუხისმგებლობას“ – კორპორაციას პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს როგორც დამოუკიდებლად (ცალკე), ისე ფიზიკურ პირთან ერთად. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა „შერაცხვის პრინციპი“, რომელიც კორპორაციათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს ადგენს. კერძოდ, კორპორაციამ შეიძლება პასუხი აგოს თავისი ხელმძღვანელის ქმედებისათვის, თუ ის ჩადენილია ამ უკანასკნელის სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში და კორპორაციის ინტერესებისათვის. ფაქტობრივად სახეზეა იდენტიფიკაციის პრინციპი (კორპორაცია გაიგივებულია მის ხელმძღვანელთან). საგულისხმოა, რომ კორპორაციას პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მაშინაც, როდესაც დადგინდება, რომ კომპანიაში მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე პირმა ყველა შესაძლო ღონისძიება გაატარა იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა დანაშაული. ეს პრინციპი დიდი ხანია ამერიკელი კრიმინალისტების კრიტიკის საგანს წარმოადგენს. კრიტიკოსთა აზრით, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს და აშშ-ის კონსტიტუციას.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლისთვის ერთგვარ ორგანულ ნაწილად იქცა, რასაც ვერ ვიტყვით კონტინენტური ევროპის ქვეყნებზე, სადაც პასუხისმგებლობა აგებულია ბრალის პერსონალური შერაცხვის პრინციპზე, შესაბამისად, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ინკორპორირებას ამ ქვეყნებში მწვავე კრიტიკა მოჰყვა. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ინსტიტუტი მეტ-ნაკლებად შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც ინტეგრირებულია არაერთ ევროპულ ქვეყანაში.

ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებაა ის, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტი კერძო სამართლის იურიდიულ პირთან ერთად შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირიც, გარდა სახელმწიფოსი. ასევე, კოდექსის ზოგადი ნაწილი უშვებს რეციდივს, რა დროსაც სანქციები გაცილებით მკაცრია, ვიდრე დანაშაულის პირველადი ჩადენისას (მაგ., ჯარიმის ორმაგი ოდენობა).

¹ ამ თვალსაზრისით საინტერესოა ინდიანას შტატის სასამართლოს მიერ კომპანია „ფორდის“ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი, რომელიც დაადანაშაულეს ოთხი ადამიანის მკვლელობაში. საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: „ფორდმა“ ბაზარზე გამოუშვა ავტომობილები, რომელთაც ჰქონდათ ბენზინის ბაკთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემა, რის შესახებაც იცოდა პროდუცენტმა კომპანიამ, კერძოდ ბენზინის ბაკი განთავსებული იყო ავტომობილის იმ ნაწილში, სადაც მისი აფეთქების რისკი მეტი იყო ავტოავარიის შემთხვევაში. სწორედ ამ მიზეზით ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა ოთხი ადამიანი. შედეგად, სასამართლომ კომპანია „ფორდი“ ცნო დამნაშავედ მე-2 ხარისხის მკვლელობაში. კოლუმბიის შტატის სასამართლომ კომპანია „მერსედეს-ბენცი“ ცნო დამნაშავედ კორუფციაში და 27,36 მილიონი დოლარით დააჯარიმა.

გერმანიაში კვლევითი ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაციის საკითხი დღემდე სადავოა. კრიტიკოსთა აზრით, იურიდიული პირი იურიდიული აბსტრაქციაა და, შესაბამისად, მიუღებელია, რომ იყოს სისხლის სამართლის სუბიექტი.

თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურადაა რეგლამენტირებული (მე-14 და 75-ე მუხლები). კოდექსის კერძო ნაწილში პირდაპირი მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით საერთოდ არ არსებობს, კერძოდ 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კრედიტის მიღებასთან დაკავშირებით თაღლითობისათვის, მაგრამ აქვე აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობა ვრცელდება პირზე, რომელმაც აღნიშნული თაღლითობა პირადად ჩაიდინა ანუ ამ მუხლში იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არაპირდაპირაა მოცემული. მე-14 მუხლი ითვალისწინებს ე.წ. სუბსიდიურ პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს, რომ იურიდიულ პირთან ერთად პასუხს აგებს ის ფიზიკური პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული და იმავე დროულად არის იურიდიული პირის წარმომადგებლობითი უფლებამოსილების მქონე (წარმომადგენელში იგულისხმება: უფლებამოსილი ორგანო, ასეთი ორგანოს წევრი, სავაჭრო ამხანაგობის წევრი).

როგორც აღვნიშნეთ, ქართულმა სისხლის სამართალმაც გაიზიარა იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად ცნობა, თუმცა აღნიშნულის საკანონმდებლო რეგულაცია მოითხოვს დახვეწას, კერძოდ საინტერესოა მიიღწევა თუ არა იურიდიული პირის პასუხისმგებლობით სასჯელის მიზნები? ვფიქრობთ, რომ კოდექსის 39-ე მუხლში გაცხადებული მიზანი იურიდიულ პირთან დაკავშირებით ფაქტობრივად მიუღწეველია. 29-ე მუხლის შესაბამისად: „1. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და **დამნაშავის რესოციალიზაცია**; 2. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი **განმსჯევალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით**. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელაღსრულების კანონმდებლობით; 3. სასჯელის მიზანი არ არის **აღამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება**“. წარმოდგენილი რეგულაცია შესაძლებლობას იძლევა, რომ ბრალეულმა ფიზიკურმა პირმა თავი დაადწიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს იმ პირთა „დასჯაც“, რომლებსაც ბრალი არ მიუძღვის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაში. ასეთებად შესაძლოა მოგვევლინონ ბრალდებული იურიდიული პირის დამფუძნებელი/დამფუძნებლები (მათ შორის იურიდიული პირები), ხშირ შემთხვევაში კომპანიის თანამშრომლებიც.

ქეთევან ქოქრაშვილი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი
ლაშა გორგაძე,
სამართლის დოქტორანტი

**იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებანი**

სტატიაში შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განხილულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკა. მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილება, გაანალიზებულია ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს იურიდიულ პირს, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტს. წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული რამდენიმე ხარვეზი, რაც სრულყოფას საჭიროებს.

KETEVAN KOKRASHVILI,
doctor of law, professor
LASHA GORGADZE
doctorant of law

**CHARACTERISTICS OF LEGAL REGULATION OF CRIMINAL LIABILITY
OF LEGAL ENTITIES**

The article considers the issues related to the criminal liability of legal entities based on the comparative legal analysis. The article refers to the various legislative and practical experience of different countries, as well as the characteristics of legal entities (the subjects of criminal law). Herewith the paper reviews some gaps in the Criminal Code of Georgia, that are to be improved.

КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ,
доктор права, профессор
ЛАША ГОРГАДЗЕ,
докторант права

**ОСОБЕННОСТИ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ УГОЛОВНОЙ
ОТВЕТСТВЕННОСТИ ЮРИДИЧЕСКИХ ЛИЦ**

В данной статье рассмотрены проблемы, связанные с уголовной ответственностью юридических лиц на основе сравнительного юридического анализа. В статье представлен обзор законодательного и практического опыта разных стран, а также выявлены особенности юридических лиц (предмет уголовного права). При этом работа рассматривает некоторые недостатки и пробелы, которые обнаруживаются в Уголовном кодексе Грузии, и которые должны быть улучшены.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაზისებურობები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

სასამართლოში საქმისწარმოების ობიექტი არის კონკრეტული სამართლებრივი დავა, რომლის მოსაგვარებლადაც მხარე მიმართავს მართლმსაჯულების ორგანოს. სასამართლო გადაწყვეტილებით არსებითად წყდება ასეთი დავა და ლოგიკურია, რომ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოების, ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, სერიოზული განსხვავებაა დაუსწრებელ გადაწყვეტილებისა და სხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების წესებს შორის. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს სარჩელსა და შეგებულ სარჩელში მითითებული ფაქტებიდან რომელი იურიდიული ფაქტები მიიჩნიოს დადგენილად და რომელი არა, ყოველმხრივ გამოიკვილოს და შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულებები ანუ არა მხოლოდ გაარკვიოს ფაქტობრივი გარემოებები, არამედ სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ. ამ ფონზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მსგავსად არსებითად წყვეტს საქმეს, გამოიტანება ისე, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, არც ერთ ზემომითითებულ გარემოებას არ ექცევა ყურადღება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის ძველი რედაქციის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა კოდექსით დადგენილი წესით შეტყობინება, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება და სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ეს თეორიულად თითქოს გამართული მუხლი, როგორც აღმოჩნდა, პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი არასასურველი შედეგის მატარებელი იყო რის გამოც შემდგომში ის დაიხვეწა და მოპასუხის გამოუცხადებლობა დღეს აღარ შეიძლება გახდეს არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და, მით უმეტეს, არც სარჩელის უპირობოდ დაკმაყოფილების საფუძველი.¹

1. მხარის გამოუცხადებლობა ან უარი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი

როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში და გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლოა სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუმცა, საყურადღებოა მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მხარის გამოუცხადებლობა პროცესზე არ უნდა იყოს განპირობებული მისი მხრიდან ამ პროცესის შესახებ ინფორმაციის არქონით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი შესაძლოა გახდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის გამოუცხადებლობა, მაშინ, როდესაც მათთვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70 – 78-ე მუხლების შესაბამისად, გაგზავნილი იყო შეტყობინება კონკრეტულ სასამართლოში, დროისა და ადგილის მითითებით, იმ კონკრეტული საქმის გან-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლი 230.

ხილვის შესახებ, რომელშიც ის გამოდის ერთ-ერთ მხარედ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი იმპერატიულ მოთხოვნას აკეთებს იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სასამართლო უწყებით უნდა ეცნობოთ როგორც მხარეებს, ისე მათ წარმომადგენლებს. ამასთან, სასამართლო უწყება ჩაბარებული უნდა იყოს დროის იმ ინტერვალით, რომ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს გონივრული ვადა ღარჩეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის. საყურადღებოა, რომ, სხვა გარემოებებთან ერთად, სასამართლო უწყებაში მითითება ხდება მხარის გამოუცხადებლობის შედეგებზე ანუ იმაზე, რომ შესაძლოა მისი პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოტანილ იქნეს მისი ინტერესების საზიანო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. იქვე მხარეს განემარტება, რომ ის ვალდებულია, სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ.¹

თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომლისთვისაც, საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით, ცნობილი იყო ასეთი სხდომის შესახებ, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელი პირობაა ორი გარემოების თანხვედრა, რომ პროცესზე გამოცხადებულმა მოპასუხემ სასამართლოს წინაშე დააყენოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ შუამდგომლობა და მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობა არ იყოს განპირობებული მისთვის უწყების გაუგზავნელობით ანუ არ არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები.

პროცესზე გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველი არ შეიძლება გახდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა და შეფასება – არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალთახედვით. სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით – ესაა პროცესზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეული მოსარჩელის გამოუცხადებლობა.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამ გარემოებას, როდესაც სასამართლო პროცესში მონაწილეობს ერთზე მეტი მოსარჩელე.

საინტერესოა განსახილველი საქმე როგორ გადაწყდება მაშინ, როდესაც რამდენიმე მოსარჩელიდან პროცესზე არ გამოცხადდება ერთი ან მეტი მოსარჩელე. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორი საფუძველითაა სახეზე თანამონაწილეობა მოსარჩელის მხარეს – იმ შემთხვევაში, როდესაც ეს თანამონაწილეობა შემდგარია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) და გ) პუნქტების საფუძველზე ანუ როდესაც სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთსა და იმავე საფუძველიდან ან სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი; ლოგიკურია, რომ ერთ-ერთი თანამონაწილის გამოუცხადებლობისას სრულიად შესაძლებელია მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.²

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლები 70-78.

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლი 86.

თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი, 2007 წელი, გვ. 160.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ჩვენ მიერ ზემოდასახელებული მუხლის შესაბამისი პუნქტები იგივე კოდექსის კომენტარში მიჩნეულია როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მხარის არასავალდებულო ანუ ფაკულტატიური თანამონაწილეობის საფუძველად. სწორედ ასეთ შემთხვევაში თითოეულ თანამონაწილეს შეეძლო აღედგინა დამოუკიდებელი სარჩელი ცალკე აღებული მოპასუხის მიმართ. აქედან გამომდინარე, არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში გამოუცხადებლობას უნდა მოჰყვეს ის შედეგი, რასაც კანონი უკავშირებს მხარის გამოუცხადებლობას საერთოდ.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) პუნქტის საფუძველზე წარმოშობილ თანამონაწილეობას ანუ როდესაც სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს რამდენიმე მოსარჩელის მიერ ერთად ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს, აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე იქნეს განხილული საქმე. როდესაც ერთი თანამონაწილე მაინც მივიდა პროცესზე, ეს არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან ასეთ შემთხვევაში ერთი თანამონაწილის გამოცხადება გულისხმობს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას და სასამართლოს შეუძლია საქმე არსებითად გადაწყვიტოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით.

უთუოდ საყურადღებოა გარემოება, როდესაც მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე მისულ მოპასუხეს არ დაუყენებია სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ასეთ დროს სასამართლო განჩინებით განუხილველად დატოვებს სარჩელს ან თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელის განუხილველად დატოვებას, სხვა დროისათვის დანიშნავს საქმის განხილვას. ზემოთთითებული ნორმა აკეთებს იმპერატიულ განცხადებას, რომ მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. გარდა იმისა, რომ ნორმის ეს ნაწილი მართლაც ძალიან კატეგორიულია, ჩემი აზრით, საყურადღებო აქ სხვა გარემოება უფროა. კერძოდ კი ის, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა – პროცესზე გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. მითითებული ნორმა აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ არათუ მხარის შუამდგომლობა, არამედ მისი თანხმობაც კი აღარ არის ასეთ შემთხვევაში საჭირო და სასამართლოს შეუძლია თავად გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუმცა აუცილებელ პირობად რჩება იმ გარემოების გარკვევა, იყო თუ არა პროცესზე გამოუცხადებელი მოსარჩელე სასამართლო სხდომაზე მოწვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად; ხომ არ ჰქონდა ადგილი ისეთ დაუძლეველ ძალას, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა მხარის სასამართლოში გამოცხადებისთვის და ასეთი გარემოებები ცნობილი გახდა სასამართლოსთვის ან დროულად თუ ეცნობა გამოუცხადებელ მხარეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ანდა არ არსებობდა სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

ძალიან მოკლედ ეხება პროცესზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევას გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის 330-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ მო-

სარჩელე არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მაშინ გამოცხადებული მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილი უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.¹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე ეხება მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევას. 230-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსარჩელის შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (რაც ძველი რედაქციის მიხედვით, შესაძლოა, არც კი იგულისხმებოდა), ამასთან ასევე აუცილებელია, რომ სარჩელში მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოპასუხის გამოუცხადებლობისა და მოსარჩელის შუამდგომლობის შედეგად დამტკიცებულად ითვლება, იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის სარჩელს.

რასაკვირველია გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გამოუცხადებელი მოპასუხისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილი წესი სასამართლო სხდომის შესახებ და ასევე ის, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სხვა ზემოაღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლის ძველი რედაქცია რატომღაც გამოირიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის ორ პირობას – გამოცხადებული მოსარჩელის შუამდგომლობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს დამტკიცებულად და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველად თვლიდა მაშინ, როდესაც სარჩელის ეს გარემოებები შესაძლოა სრულიად არაადეკვატური ყოფილიყო სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია, რომ კოდექსის ამ ნორმამ უფრო დახვეწილი და რეალურობასთან შესაბამისი შინაარსი შეიძინა, რითაც პრაქტიკულად გამოირიცხა არალოგიკური, დაუსაბუთებელი სარჩელების დაკმაყოფილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მეშვეობით. აქ სხვა აზრი ალბათ არც არსებობს, რადგან აუცილებელია დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს მოსარჩელის მოთხოვნას. თუ ეს ასე არ არის და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას, ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარის მიხედვით, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უნდა ეთქვას სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელზე.²

მართალია, საპროცესო კოდექსი ცალსახად არ განმარტავს, რომ ამ მითითებულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სახეს უნდა ატარებდეს თუ ჩვეულებრივი გადაწყვეტილების სახეს, მაგრამ ძნელია არ დაეთანხმო კოდექსის კომენტარის ავტორებს, როდესაც ისინი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამენ.

მოსარჩელის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, გაცილებით დეტალურად იხილავს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოპასუხის გამოუცხადებლობას და

¹ Гражданское процессуальное уложение Германии. 1877. Перевод с немецкого. Москва-Берлин 2016. & 330

² თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი, 2007 წელი, გვ. 392.

მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებებს. აღნიშნული კოდექსის 331-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ გამოცხადებული მოსარჩელე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებელი მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, მაშინ მოსარჩელის ზეპირი მტკიცებები საქმის გარემოებებთან მიმართებაში მიღებულად ითვლება. იქვე მითითებულია, რომ სასამართლო ამ სარჩელს იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს, თუ ეს მტკიცებები სასარჩელო მოთხოვნებს ამაგრებს, მაგრამ თუ მოტანილი მტკიცებები სარჩელის საფუძველად არ გამოდგება, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.¹

როგორც გერმანული კანონმდებლობა, ისე ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეხება პროცესზე გამოცხადებული მხარის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის განცხადებას. გერმანული კოდექსის მსგავსად, ქართული კოდექსის მიხედვით, პროცესზე გამოუცხადებლად ჩაითვლება მხარე, რომელიც მართალია გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე სასამართლოს მიერ მითითებულ დროს, მაგრამ უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. მართალია, კოდექსი ამ დებულებების შინაარსობრივ დეტალიზებას არ აკეთებს, თუმცა ლოგიკურია, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი მხარემ შესაძლოა განაცხადოს საქმის განხილვის დაწყებისთანავე ან არ არის გამორიცხული, რომ მონაწილეობაზე უარი გაცხადებულ იქნეს პროცესის სხვა ეტაპზე. პროცესში მონაწილეობაზე უარის ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს ასევე (მიუხედავად გარკვეულ ეტაპამდე მხარის პროცესში მონაწილეობისა) მის მიერ სასამართლო სხდომის თვითნებური ანდა ცერემონიულად დატოვება. უდავოა, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება მხარის გამოუცხადებლობა, რაც რასაკვირველია, მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლოა გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

გერმანული კოდექსის 334-ე პარაგრაფი იხილავს მხარის პროცესში ნაწილობრივი მონაწილეობის შემთხვევასაც, რომელიც გულისხმობს მხარის ისეთ ჩართვას საქმის განხილვაში, როდესაც იგი, მიუხედავად სხდომაზე დასწრებისა და განხილვაში მონაწილეობისა, არ იძლევა განმარტებებს ფაქტებთან, დოკუმენტებთან ანდა მხარეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, გერმანული კოდექსი გამორიცხავს ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ასეთი გარემოება აშკარად დარჩენილია ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების მიღმა ანუ არცთუ ადვილად მისახვედრია და განსახილველი, როგორ მოიქცევა ქართული მართლმსაჯულების ორგანო თუ საქმის განხილვის დროს ზემომოტანილ სიტუაციას ექნება ადგილი; ჩათვლის იგი მხარის მსგავს ნაწილობრივ მონაწილეობას პროცესში საქმის განხილვაში მონაწილეობად და უარს იტყვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, თუ უარის თქმად, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და მეორე მხარის შუამდგომლობით მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.²

მართალია, მსგავსი ურთიერთობის წარმოშობისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშო-

¹ Гражданское процессуальное уложение Германии. 1877. Перевод с немецкого. Москва-Берлин 2016. & 331

² Гражданское процессуальное уложение Германии. 1877. Перевод с немецкого. Москва-Берлин 2016. & 334

ბილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს კანონის ან სამართლის ანალოგიას, მაგრამ ეფიქრობ უკეთესი იქნებოდა კანონმდებელმა ეს მეტად ბუნდოვანი საკითხი კონკრეტული ნორმით დაარეგულიროს და არ გახდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი.¹

2. შესაგებლის წარუდგენლობა – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი

გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულია მოპასუხის სარჩელისა და, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან თავდაცვის თავისებური წესები, რომელთა მოპასუხის მხრიდან გაუთვალისწინებლობა და შემდეგ ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა, უფრო ადვილებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული კოდექსის 276-ე პარაგრაფი მიუთითებს, რომ თუ სასამართლომ არ დანიშნა საქმის მოსამზადებელი მოსმენა, სარჩელის ჩაბარებისას მოპასუხეს წინადადება ეძლევა (თუ ის აპირებს სარჩელისგან თავდაცვას) წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლოს ორი კვირის ვადაში სარჩელის გადაცემიდან. მოპასუხეს ასევე ენიშნება დამატებით ორი კვირის ვადა, რათა სასამართლოში წარადგინოს შესაგებელი სარჩელზე, რომელიც შემდეგ გაეგზავნება მოსარჩელეს გასაცნობად და საპასუხოდ. თუ მოპასუხემ გაუშვა დადგენილი ვადა და სასამართლოს დროულად არ შეატყობინა თავისი განზრახვის შესახებ – სურს თუ არა თავდაცვა სარჩელისაგან, მაშინ სასამართლო, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, ადგენს საქმის განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე და, რა თქმა უნდა, მოსარჩელეს უფრო უადვილდება გამოუცხადებელი მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.²

საყურადღებოა, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებათა მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით ასევე გათვალისწინებულია საქმის მოსამზადებელ ეტაპზე მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნა, რათა მოპასუხე გაეცნოს მის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს და სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეადგინოს თავისი პასუხი სარჩელზე ანუ შესაგებელი. მოპასუხემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს თავისი მოსაზრებები როგორც სარჩელთან, ისე მასზე თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მოპასუხის მიერ სასამართლოში წერილობითი ფორმით წარდგენილ პასუხში მითითებული უნდა იყოს ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს, თუ არ ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ და რა მტკიცებულებებითაა შესაძლებელი ამ გარემოებების დამტკიცება. მოპასუხემ უნდა ასევე მიუთითოს რა საპროცესო საშუალებებით აპირებს იგი თავი დაიცვას სარჩელისაგან, კერძოდ კი ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას და ა. შ. გერმანული კოდექსისგან განსხვავებით, ქართული კოდექსი არ აყენებს განხილვის საკითხად იმ შემთხვევას, ჰკითხოს მოპასუხეს, საერთოდ აპირებს თუ არა ის სარჩელისგან დაცვას; აქ შესაძლოა იყოს ისეთი შემთხვევა, რომ მოპასუხე არ ცნობს სარჩელს და არ აპირებს მის განხილვაში ჩართვას, მაგრამ მის გადაწყვეტას მიან-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლი 7.

² Гражданское процессуальное уложение Германии. 1877. Перевод с немецкого. Москва-Берлин 2016. & 276

დობს სასამართლოს ისე, რომ არც კი გამოცხადება პროცესზე მიზეზისა თუ მოტივაციის მითითების გარეშე. ვფიქრობ, ამ გარემოებაზე უთუოდ ღირს დაფიქრება და ქართულ კოდექსში ამ ურთიერთობებთან დაკავშირებით გარკვეული დებულებების დამატება.

მიუხედავად ამ ნიუანსის ქართულ კანონმდებლობაში არქონისა, ჩემი აზრით, უფრო საყურადღებო სხვა გარემოებაა, კერძოდ ის, რომ, მიუხედავად სასამართლოს შეტყობინებისა მოპასუხისადმი, რომელშიც მითითებულია, რომ მან სასამართლოს დადგენილ ვადაში უნდა წარუდგინოს წერილობით დაფიქსირებული თავისი პოზიცია სარჩელთან დაკავშირებით, მოპასუხის მხრიდან სასამართლოს ამ დავალების შეუსრულებლობა არანაირ უარყოფით შედეგს არ იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წელს შეტანილ ცვლილებებამდე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი დეკლარირებას აკეთებს მხარეთა მოვალეობებთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ არასაპატიო მიზეზით მხარეთა მხრიდან წერილობითი მასალების წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა, რაც მათ მოსამართლის მიერ ჰქონდათ დავალებული, მხარეს ართმევს ასეთი მოქმედების შესრულების უფლებას საქმის არსებითად განხილვის დროს, ძალიან ძნელი დასადგენი იყო, ამ მუხლის შინაარსი ვრცელდებოდა თუ არა მოპასუხის მიერ იმ დავალების შესრულებაზე, რომელსაც მას სასამართლო აძლევდა – დადგენილ ვადაში სასამართლოსათვის წერილობით მიწოდებინა თავისი პოზიცია და მოსაზრებები სარჩელთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ზემოთ მითითებული ცვლილების განხორციელებამდე, ძნელი იქნება თუნდაც ერთი მაგალითის მოძებნა, როდესაც, სარჩელზე წერილობითი შესაგებელის წარუდგენლობის გამო, მოპასუხეს რაიმე პრობლემა შეჰქმნოდა და მოსარჩელეს გაადვილებოდა თავისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში საქმისწარმოების დროს ფაქტიურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, წარადგინა თუ არა მოპასუხემ შესაგებელი სარჩელზე და შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო წარმოებაში მიღებულ საქმეთა უმრავლესობის განხილვა ისე იწყებოდა, რომ საქმის მასალებში არ არსებობდა მოპასუხის მიერ წარდგენილი არანაირი წერილობითი პასუხი სარჩელზე. მოპასუხეთა უმრავლესობა სარჩელისაგან თავს იცავდა საქმის ზეპირი მოსმენის დროს გაკეთებული ახსნა-განმარტებებით (თუ, რა თქმა უნდა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მას არ ჰქონდა წარდგენილი შეგებებული სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს სარჩელთან დაკავშირებული ურთიერთობიდან, მაგრამ იმავდროულად დამოუკიდებელ სარჩელს წარმოადგენს, რომელიც მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ წარადგინა იმავე საქმისწარმოების დროს განსახილველად) და მათთვის წერილობითი პასუხის არქონა სარჩელზე არანაირ პრობლემას არ ქმნიდა პროცესუალური თვალთახედვით. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანული კოდექსი პირდაპირ მითითებს (276-ე პარაგრაფი), რომ სარჩელზე წერილობითი პასუხის გაუგზავნებლობა მოპასუხის მხრიდან სასამართლოს საშუალებას აძლევს, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე აღარ დანიშნოს საქმის ზეპირი მოსმენა, რაც, რა თქმა უნდა, აშკარად არ იქნება მოპასუხის პოზიციის სასარგებლო, რადგან ის საერთოდ ვეღარ შეძლებს თავი დაიცვას სარჩელისაგან; ხოლო, თუ შემდეგ საერთოდ არ გამოცხადდება სასამართლოში, ეს უკვე იქნება იმისი პირობა, რომ მოსარჩელემ ძალიან მარტივად მიიღოს მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თუ, რა თქმა უნდა, სარჩელში

მითითებული გარემოებები საფუძვლიანად უკავშირდება და განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნებს).

ამგარა, რომ ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა არანაირ დატვირთვას არ აძლევს მოპასუხის მიერ სარჩელზე წერილობითი პასუხის წარუდგენლობას და ეს გარემოება არანაირად არ მოქმედებს საქმისწარმოების საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შეცვლაზე, როგორც ეს გერმანულ კანონმდებლობაშია. მიუხედავად მოპასუხის წერილობითი პასუხის არქონისა, საქართველოში საქმის განხილვა წარმოებდა ზეპირი მოსმენით და არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფრო მარტივი სქემა გვქონდა სახეზე, როგორც ეს გერმანულ საპროცესო კანონმდებლობაშია.

ცვლილებების განხორციელების შემდეგ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლში მე-7 ნაწილის სახით გაჩნდა ჩანაწერი – სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. აღნიშნული ნორმა, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მოპასუხეს და ხელს უშლის პროცესის გაჭიანურებას.¹

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციაში

საქართველოში სასამართლო ინსტანციათა შორის სააპელაციო ინსტანციის სასამართლო დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად გამოჩნდა. ამ კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისთვისაა დადგენილი, თუმცა, ეს წარმოება მიმდინარეობს იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელსაც მოიცავს კოდექსის სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების თავი. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალთახედვით და, რაც ყველაზე მთავარია, გადაწყვეტილების შემოწმებას ახორციელებს საქმის ხელახალი განხილვის გზით. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ ყველა ის გარემოება, რაც ზემოთ იყო განხილული, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, ვრცელდება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც. თუმცა, სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ შეიძლება პირობითად მოპასუხის ადგილი დაიკავოს, ხოლო მოპასუხემ – აპელანტის, რაც, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, ვინ ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამატებით მაინც ამახვილებს ყურადღებას სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაზე. კოდექსის 387-ე მუხლის მიხედვით დადგენილია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობას. თუ საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდება სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი, მაშინ მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც აპელანტს უარს ეტყვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე; ეს დებულება ზუსტად იმეორებს იმ ურთიერთობის მოწესრიგების წესს, როცა პირველი ინსტანციის სასამართლო-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლი 201.

ში სხდომაზე არ ცხადდება მოსარჩელე. რაც შეეხება გარემოებას, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, აპელანტის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აქ სახეზეა გარემოება, რომელიც პირველ ინსტანციაში გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს მომჩივნის ახსნა-განმარტების საფუძველზე და არა იმ აუცილებელი პირობით, რომ სარჩელის საფუძველები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას; თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აპელანტის ახსნა-განმარტება აუცილებლად უნდა შეეხებოდეს სწორედ მოთხოვნის საფუძველიანობას და არა რაიმე ზოგად განმარტებას; ასეთ შემთხვევაში უნდა მოვიშველიოთ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დადგენილი ის წესები, რომლის აუცილებელი პირობაა, დადგენილი სარჩელის მოთხოვნათა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებისას, სარჩელის საფუძველი იურიდიულად ამართლებდეს და განაპირობებდეს მოთხოვნას. სააპელაციო საჩივრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებისას სააპელაციო საჩივრის დადასტურებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად უნდა ასაბუთებდეს აპელანტის მოთხოვნას.

გაცილებით ნათლად გასაგები დებულებებითაა მოცემული სააპელაციო წარმოებისას მხარის გამოუცხადებლობის შედეგები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის 539-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აპელანტის გამოუცხადებლობა საქმის ზეპირ განხილვაზე დამთავრდება დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მისი აპელაციის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, რასაც წინ უნდა უძღოდეს გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა. იგივე პარაგრაფის მე-2 ნაწილი კი რეგლამენტაციას უკეთებს აპელაციის მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევას. თუ აპელანტი სასამართლოს წინაშე იშუამდგომლებს მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ აპელანტის მტკიცებები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით ჩაითვლება დამტკიცებულად. თუ რამდენად ასაბუთებს ეს მტკიცებები სააპელაციო მოთხოვნებს, მათი დაკმაყოფილება ამის შესაბამისად ხდება. თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, მაშინ აპელაცია, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდება. ცხადია, ეს მითითებული გარემოებები აპელაციაში ზუსტად იმეორებს მსგავსი ურთიერთობების მოწესრიგების წესებს ისე, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისასაა დადგენილი.¹

გერმანული კოდექსის 539-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოიყენება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები. თუ ასეთ შემთხვევებს გადავხედავთ, ეს შეიძლება იყოს მოსარჩელის, ხოლო აპელაციაში – აპელანტის განმეორებითი გამოუცხადებლობა პროცესზე, მაშინ როდესაც პირველი გამოუცხადებლობისას საქმის განხილვა გადადებულ იქნა ან იგივე გარემოებაში მოპასუხის განმეორებითი გამოუცხადებლობა, ან პროცესზე გამოცხადებული მხარის უარი საქმეში მონაწილეობის მიღებაზე.²

¹ Гражданское процессуальное уложение Германии. 1877. Перевод с немецкого. Москва- Берлин 2016. & 539

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბილისი, 1997 წელი, მუხლი 387.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად დაისმის კითხვა, უნდა გახდეს თუ არა შეტყობინებაში მითითებულ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი აპელაციაში? მიუხედავად სხვადასხვაგვარი მოსაზრებებისა, ვიდრე კანონმდებელი სხვაგვარად არ დაარეგულირებს კონკრეტულად ამ შემთხვევას, აქაც უთუოდ უნდა მივმართოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ დებულებას და გამოვიყენოთ პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგი ანუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება პირველ ინსტანციაში გათვალისწინებული მოთხოვნებისა და წესების დაცვით.

ირმა მერებაშვილი,
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II
ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო
საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით**

სასამართლოში საქმისწარმოების ობიექტი არის კონკრეტული სამართლებრივი დავა, რომლის მოსაგვარებლადაც მხარე მიმართავს მართლმსაჯულების ორგანოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით არსებითად წყდება ასეთი დავა და ლოგიკურია, რომ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოების, ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სერიოზული განსხვავებაა დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და სხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების წესებს შორის.

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს სარჩელსა და შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტებიდან რომელი იურიდიული ფაქტები მიიჩნიოს დადგენილად და რომელი არა, ყოველმხრივ გამოიკვილოს და შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულებები ანუ არა მხოლოდ გაარკვიოს ფაქტობრივი გარემოებები, არამედ სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ. ამ ფონზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მსგავსად არსებითად წყვეტს საქმეს, გამოიტანება ისე, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, არც ერთ ზემომითითებულ გარემოებას არ ექცევა ყურადღება.

IRMA MEREBASHVI,
doctor of law, associated professor

**PECULIARITIES OF DEFAULT JUDGEMENT ISSUING IN THE FIRST AND
SECOND INSTANCE COURTS ACCORDING TO GEORGIAN AND GERMAN
CIVIL PROCEDURE LAW**

The object of legal proceedings in the court is a specific legal dispute, when side applies to the legislative bodies as to settle it. Such kind of dispute is terminated by the court decision and logically the decision should be adopted on the basis of estimation and study of all the circumstances and evidences, connected with this affair. There is a serious difference between the adoption of default judgement and other decisions.

While issuing the decision the court initially should decide from the facts given as in the suit, as well as in the counter-claim, which legal facts should be considered, as established or non established, estimate and research in all its aspects of the submitted evidences, not only elucidate the factual circumstances, but give them legal estimation. On this basis the default judgement, which like the final decision, terminates the dispute essentially, should be issued in such way, that according to the legislation no circumstances given above should be taken into account.

ИРМА МЕРЕБАШВИЛИ,
доктор права, ассоциированный профессор

**СВОЕОБРАЗИЕ ВЫНЕСЕНИЯ ЗАОЧНОГО РЕШЕНИЯ В СУДАХ
I И II ИНСТАНЦИИ ПО ГРАЖДАНСКИМ ПРОЦЕССУАЛЬНЫМ
ЗАКОНОДАТЕЛЬСТВАМ ГРУЗИИ И ГЕРМАНИИ**

Для урегулирования конкретного спора, сторона обращается в орган правосудия. Решением суда спор решается по существу и логично, что решение должно приниматься на основе изучения и оценивания всех обстоятельств дела. По действующему гражданскому процессуальному кодексу видно серьёзное различие между правилами принятия заочного и других видов решений.

При вынесении решения, суд в первую очередь должен решить, какие из фактов, указанных как в иске, так же во встречном иске, признать действительными, всесторонне исследовать и оценить представленные доказательства, то есть, не только выяснить фактические обстоятельства, но и дать им правовую оценку. На этом фоне заочное решение, которое схоже с окончательным решением, существенно решает дело, но по законодательству выносится так, что ни одно из вышеуказанных обстоятельств не принимается во внимание.

**შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების სამართლებრივი ჩარჩოები,
თანაზომიერების პრინციპი**

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური და ფუნქციური უფლებაა. ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისათვის ქმნის აუცილებელ საფუძველს. როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას უწყობს ხელს. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, შეკრების (მანიფესტაციის) შესაძლებლობა დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს. დემოკრატიული და პლურალური საზოგადოების საზრდო აზრთა ვერბალური დაპირისპირებაა. საჯარო დისკუსიისა და აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია აზრის ერთობლივი გამოხატვა. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ დემოკრატიის პრინციპის ძირითად ელემენტს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს. ამასთან, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების შეზღუდვა, დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის, სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.¹

ნაშრომის მიზანია თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე გავავლოთ ზღვარი საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასა და სხვა ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას შორის.

შეკრების უფლება კონსტიტუციურ რანგში ჯერ კიდევ საქართველოს პირველ კონსტიტუციაში გვხვდება. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით აღიარებული იყო საჯაროდ და უიარაღოდ „როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“ შეკრების უფლება.²

საბჭოური საქართველოს 1937 წლის 13 თებერვლის კონსტიტუციაში დაფიქსირდა კრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება (138-ე მუხლი).³

¹ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ.281.

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 33-ე და 34-ე მუხლები.

³ საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი № 2494-სსმI, № 1, 04.01.2006 წ. პირველი მუხლი.

საბჭოთა პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს უფლება საბჭოთა საქართველოში მხოლოდ დეკლარაციული, ილუზორული ხასიათის იყო და პრაქტიკაში თითქმის არ გამოყენებულა.¹

1995 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირვანდელმა რედაქციამ 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით სახეცვლილება განიცადა. შედეგად კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში ამოღებულ იქნა სიტყვები „უშიშროების სამსახურის“ და შეიცვალა სიტყვებით „შინაგან საქმეთა სამინისტროს“. ეს იყო მუხლის მხოლოდ ფორმალური სახეცვლილება, რაც გამოიწვია თვით სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურულმა ტრანსფორმაციამ სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით.²

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შედგენილობაში, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.³

ტერმინი „შეკრება“ ნიშნავს მოქალაქეთა ჯგუფის შეკრებას ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით.⁴

ტერმინი „მანიფესტაცია“ – მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახეობის საშუალებების გამოყენებით.⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას ორი, თანაბრად მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს: პირველია ამ უფლების ფორმალური მხარე, რომელიც შეკრებითა და მანიფესტაციით გამოიხატება და მეორე – კონკრეტული აზრი, რომელსაც შეკრება ან მანიფესტაცია ემსახურება. შესაბამისად, ადამიანთა ისეთი თავშეყრა ან მსვლელობა, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ იდეას და არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას, ვერ იქნება კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. შეკრებასა და მანიფესტაციას კონსტიტუციით დაცულ უფლებად მისი მიზანი და შინაარსი აქცევს. ამიტომ, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეკრება და მანიფესტაცია, რომელიც აზრის გამოხატვას არ ემსახურება, არ თავსდება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი და მეორე

¹ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ. 282.

² იქვე.

³ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 25. ნაწილი 1-3. მოქ. რედაქცია.

⁴ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ. 281.

⁵ იქვე.

პუნქტებით დაცულ სფეროში¹. ამ მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც პოლიტიკური საქმიანობით განპირობებულ, პოლიტიკური შინაარსისა და მიზნის მქონე, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან საერთოდ აპოლიტიკური ხასიათის შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას. შეკრების უფლებით დაცული სფერო გულისხმობს როგორც მასში მონაწილეობის მიღების, ისე მისი ორგანიზების უფლებას².

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი უფლების რეალიზაცია შესაძლოა კოლიზიაში აღმოჩნდეს სხვა ინდივიდუალურ და საჯარო ინტერესებთან, ამიტომ აუცილებელი ხდება ამ სამართლებრივი სფეროს გამიჯვნა ძირითადი უფლებების სხვა მფლობელთა სტატუსისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებისა და უფლებათა სფეროსაგან. ამ შემთხვევაში თანამდებროვე კონსტიტუციებისათვის ორიენტირია არა ცალკეული იზოლირებული ინდივიდი, არამედ ადამიანი, რომელიც საზოგადოების წევრია. ამიტომ, ძირითადი უფლებებისათვის საზღვრების დაწესება გარდაუვალი ხდება; კონსტიტუციონალიზმის თეორია იყენებს მაქსიმუმს – ძირითადი უფლებების საზღვრები (შეზღუდვა) შეიძლება გათვალისწინებული იყოს თავად კონსტიტუციაში.³

მივიჩნევთ, რომ ძირითადი უფლებების საკანონმდებლო შეზღუდვა უნდა იყოს მკაცრად ამომწურავი. საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილი უნდა იყოს ძირითადი უფლებების დაცვის სფერო და მათი შედგენილობა, პირდაპირი კონსტიტუციური ან კანონით დაშვებული შეზღუდვები, უფლებების შეზღუდვის ამომწურავი ჩამონათვალი და შეზღუდვის ფარგლები.⁴

ამდენად ნათელია, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ არაერთ უფლებას აქვს სამართლებრივი ზღვარი, სადაც შესაძლოა მივიღოთ არა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების რეალიზება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ, არამედ დანაშაული. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულაცია მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილოთ თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში.

„თანაზომიერების პრინციპი“ უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს⁵. დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონმდებელი ვალდებულია გონივრულად დააბალანსოს კერძო და საჯარო ინტერესები ისე, რომ, ერთი მხრივ,

¹ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ. 284.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი,

³ ათანდილ დემეტრაშვილი, გიორგი გოგიაშვილი. კონსტიტუციური სამართალი. 2016 წელი. მერიდიანი. გვ.101.

⁴ იქვე.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/3/393,397.

დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას.¹

თანაზომიერების პრინციპის გამოხატვის მაგალითისთვის გამოდგება შეკრება-მანიფესტაციების ჩატარებისთვის სავალი ან საავტომობილო გზის გადაკეტვა, თუმცა სავალი გზის მუდმივი გადაკეტვა და შემოვლითი გზის არარსებობა დაარღვევს მიმოსვლის თავისუფლებას, რაც დაუშვებელია. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იკრძალება განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისთვის, ხოლო 111-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად ბლოკირება, აგრეთვე სავალი ნაწილის გადაკეტვა ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციით ან/და საგნებით. შესაბამისად, კონკრეტული პირის (მათ შორის შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილის) მიერ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე გამოხატვის უფლების რეალიზაციისა და სხვათა გადაადგილების უფლებას შორის კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში ხელისუფლება (პოლიცია) უფლებამოსილი ხდება გადაწყვიტოს ორ უფლებას შორის წარმოქმნილი კოლიზია. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, მათ შორის მე-11 და მე-11' მუხლების, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ასეთი კოლიზიის გადასაჭრელად მკაფიო და განჭვრეტადი კრიტერიუმების დადგენის მცდელობაა.² ამ საკითხის შესახებ იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და შეაფასა მიზნის თანაზომიერი კანონმდებლის მიერ დაწესებული შეზღუდვები.³

საქართველოს ტერიტორიაზე შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტები.

ამდენად, „თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე“ მიზანშეწონილია განვიხილოთ სად გადის სამართლებრივი ზღვარი საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებასა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შედგენილობას შორის.

ამისათვის წარმოვიდგინოთ მოცემული მუხლების შედგენილობის შედარებითი ანალიზი;

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482, 483, 487, 502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, 116-ე პუნქტი.

² ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ღორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ. 283.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

1.ორივე ქმედება არის ჯგუფური;

კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი სიტყვა არის „ყველას“, ხოლო სსკ-ის 226-ე მუხლის პირველი წინადადების პირველი სამი სიტყვა არის „ჯგუფური მოქმედების ორგანიზება“. შესაბამისად ორივე მუხლის შემადგენელი ნაწილია საზოგადოების ჯგუფი და ორივე ქმედებას ჰყავს ორგანიზატორი;

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიხედვით როგორც შეკრებას, ასევე მანიფესტაციას ჰყავს „მარწმუნებელი“, რომელიც „შეკრებებსა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორი¹, „მარწმუნებელი“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილების თანახმად, არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტია, გაერთიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი.

გარდა მარწმუნებლისა, შეკრებას და მანიფესტაციას ჰყავს „ორგანიზატორი“, რომელიც არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ აქციის ორგანიზების ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილი პირი².

სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლის მიხედვით, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას,³ ორგანიზატორი ჩადენილი დანაშაულის მოთავეა, მისი საქმიანობა შეიძლება წმინდა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით შემოიფარგლოს, როგორცაა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, დანაშაულებრივი გეგმის შედგენა და მოსამზადებელ ქმედებათა განხორციელება. იგი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ადგილზე იყოს და დანაშაულის აღსრულებას თავად ხელმძღვანელობდეს, მაგრამ უშუალოდ ქმედებას არ ასრულებდეს ანდა წმინდა ორგანიზაციული საქმიანობის გვერდით ქმედებასაც ასრულებდეს. ისიც შესაძლებელია, რომ დანაშაულის ჩადენისას იგი საერთოდ არ იყოს დანაშაულის ჩადენის ადგილზე.⁴

ორგანიზატორის განზრახვა უნდა მოიცავდეს საკუთარ ორგანიზაციულ საქმიანობას, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ცოდნას, სურვილს, მართლსაწინააღმდეგო შეგნებას.⁵

2. ორივე ქმედებას აქვს მიზანი.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიზანი ფუნდამენტურად განსხვავდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიზნებისაგან, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი არ იძლევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს, როგორც ეს გათვალისწინებულია 24-ე მუხლით, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასებისთვის. თუმცა, ვინაიდან კონსტიტუციის 24-ე მუხლი შეკრების (მანიფესტაციის) ფორმით აზრის გამოხატვასაც მოიცავს, ამ ფარგლებში 24-ე და 25-ე მუხლებით დაცული

¹ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. მოქ. რედ.

² „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. მოქ. რედ.

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2-ე მუხლი. ნაწილი პირველი. მოქ. რედ.

⁴ ქეთევან მჭედლიშვილ-ჰიდრიხი. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. 2011 წ. გვ. 213-214.

⁵ იქვე.

უფლებების შინაარსი და მათი შეზღუდვის საფუძველი იდენტური შეიძლება იყოს. შესაბამისად, შეკრების (მანიფესტაციის) უფლების შემზღუდველი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაწესებული სტანდარტით შეიძლება შეფასდეს.¹

ამავე დროს, კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას ავტონომიური შინაარსიც აქვს. შეკრების (მანიფესტაციის) უფლების შეზღუდვა ყველა შემთხვევაში შეიძლება არ იწვევდეს გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას. ამიტომ, მუხლებს შორის არსებული მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყოველთვის მართებული არ იქნება. სადავო ნორმის კონსტიტუციის მუხლთან მიმართების დადგენისათვის აუცილებელია შეფასდეს რეგულაციის არსი, განისაზღვროს უფლების ის ასპექტი, რომლის შეზღუდვისკენ არის მიმართული ნორმა.²

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლისაგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიზანია:

1. საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევა;
2. ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობა;
3. ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება.

განვიხილოთ თითოეული მიზანი

საზოგადოებრივი წესრიგი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდეს და ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ეს კი გამოიხატება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქალაქეთა ღირსეული ქცევით, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ნორმალური მუშაობით, პირის ხელშეუხებლობით³.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევას უნდა ჰქონდეს კანონსაწინააღმდეგო მიზანი იმისათვის, რომ შეფასდეს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად.

მუხლის მეორე, ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობა. ამ კუთხით, განიხილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც არ შეცვალა წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და 2007 წლის 24 იანვარს მიღებულ განჩინებაში განმარტა შემდეგი: 2005 წლის 30 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოძალვისათვის ბრალდებულებს – ა. დავითაშვილსა და გ. რევაზიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა 3 თვის ვადით. აღნიშნულ პროცესს, სხვა პირებთან ერთად, ესწრებოდნენ ი. ზურაბაშვილი, დ. ტურაშვილი, ბ. გოგია, გ. საური და კ. კუბლაშვილი. მოსამართლის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

² იქვე.

³ მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, ნინო გვენეტაძე, გონა მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. 2006 წ. გვ. 241.

ზემოაღნიშნულმა პირებმა, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა სასამართლოში მყოფი საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში. განაწყენებული ი. ზურაბაშვილი, დ. ტურაშვილი, ბ. გოგია, გ. საური და კ. კუბლაშვილი ხმამაღლა აგინებდნენ ხელისუფლებასა და სასამართლოს, რასაც თან ერთვოდა ძალადობა. მათ დაამტკრიეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს №3 დარბაზში არსებული ინვენტარი, კერძოდ დარბაზის 500 ლარად ღირებული ბარიერი და სამსეკციიანი ორი სკამი, ორივე 498 ლარი ღირებულების. ამდენად, ი. ზურაბაშვილმა, დ. ტურაშვილმა, გ. საურმა, კ. კუბლაშვილმა და ბ. გოგიამ თავიანთი ქმედებით უზენაეს სასამართლოს მიაყენეს სულ 998 ლარის ზიანი.¹

მათვე, აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემდეგ, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად განიზრახეს, პროტესტის ნიშნად, უკანონოდ გადაეკეტათ რუსთაველის გამზირი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს ი. ზურაბაშვილმა, დ. ტურაშვილმა, ბ. გოგიამ, გ. საურმა და კ. კუბლაშვილმა ორგანიზება გაუკეთეს საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევ ჯგუფურ მოქმედებას და იმავე დღეს დ. ტურაშვილმა, ბ. გოგიამ გ. საურმა და კ. კუბლაშვილმა ორჯერ - 19 საათზე, ხოლო ი. ზურაბაშვილმა აღნიშნულ პირებთან ერთად - 23 საათზე და მათივე ორგანიზებით ორასამდე ადამიანმა გადაკეტეს რუსთაველის გამზირი, რის გამოც შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა და უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშნულის გამო, ადგილზე მისული პოლიციის კანონიერ მოთხოვნას დაშლილიყვნენ და გაეთავისუფლებინათ გამზირი, ი. ზურაბაშვილი, ბ. გოგია, დ. ტურაშვილი, გ. საური და კ. კუბლაშვილი არ დაემორჩილნენ, უფრო მეტიც, ისინი დანაშაულებრივ ქმედებაში გააქტიურდნენ, გააგრძელეს პოლიციის მუშაკების ლანძღვა-გინება და წინააღმდეგობის გაწევა. ი. ზურაბაშვილმა დააზიანა საპატრულო პოლიციის ავტომანქანა „ფოლკსვაგენპასატი“, კერძოდ თავით ჩაამტკრია უკანა, მარჯვენა კარის მინა (ღირებული 200 ლარად), რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.²

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, ი. ზურაბაშვილს, დ. ტურაშვილს, ბ. გოგიას, გ. საურსა და კ. კუბლაშვილს მიესაჯათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. ი. ზურაბაშვილმა, ბ. გოგიამ, კ. კუბლაშვილმა და გ. საურმა სასჯელის მოხდა დაიწყეს 2005 წლის პირველი ივლისიდან, ხოლო დ. ტურაშვილმა - 2005 წლის 2 ივლისიდან. ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა დაზარალებულის წარმომადგენლის - მ. ლომიძის სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულებს დაზარალებულის - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასარგებლოდ დაეკისრა 998 ლარის, ხოლო ი. ზურაბაშვილს - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სასარგებლოდ დაეკისრა 200 ლარის გადახდა.³

25-ე მუხლის მეხამე, მნიშვნელოვან მიზნად გვევლინება ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის 598-ე აპ. განჩინება.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის 598-ე აპ. განჩინება.

³ იქვე.

შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების ადგილის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე 2-ჯერ იმსჯელა. პირველ საქმეში გასაჩივრებული იყო „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. სასამართლო კოლეგიამ ამ გადაწყვეტილებაში არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს ხელისუფლებას იმის უფლებამოსილებას, რომ მან წინასწარ დაადგინოს აღნიშნული უფლებით სარგებლობის გეოგრაფია. სადავო ნორმით კანონი პირებს სთავაზობდა ორ ალტერნატივას იმ შემთხვევისათვის, როცა, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სავალდებულოა შეკრების სასწრაფოდ ჩატარება: უზრუნველყონ გაფრთხილება ან მისი ვერმოსწრების შემთხვევაში ჩაატარონ შეკრება ან მანიფესტაცია ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ადგილას, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. სასამართლოს აზრით, ხელისუფლების მიერ შეკრების ადგილის განსაზღვრა გულისხმობს ასევე იმას, რომ სათანადო ორგანოებს მიღებული აქვთ ყველა ის ზომა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ ადგილზე შეკრების შეუფერხებელ ჩატარებას ისე, რომ დაცული იყოს როგორც შეკრებაში მონაწილეთა, ისე გარეშე პირთა ინტერესები. მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ იმსჯელა შეკრებისა და მანიფესტაციის ადგილის შესახებ. ამ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელეთა პრეტენზიები. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ იმ ნორმებს, რომლებიც აწესებდა შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების შეზღუდვას განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.¹

სასამართლოს შეფასების საგანი ამ შემთხვევაში აკრძალვის ბლანკეტური ხასიათი იყო. მსგავსი შეზღუდვის არსებობა ზოგიერთ დაწესებულებასთან, მისი კომპეტენციისა და საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებული იყოს, ზოგიერთთან კი – არა. დაწესებულებების განსხვავებულობის მიუხედავად, კანონმდებელმა ერთგვაროვანი მიდგომით ყველა დაწესებულებასთან მიმართებით იდენტური შეზღუდვა დაადგინა. პლენუმმა, აღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, სადავო რეგულირება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ მიიჩნია.²

შეკრებისა და მანიფესტაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია კანონის მე-11¹ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა. ამ მუხლის მიხედვით, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის თვითნებურად, ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა იკრძალება. აღსანიშნავია, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის აუცილებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ შეკრების ან მა-

¹ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ. 285.

² ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2015 წ. გვ. 285.

ნიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შეუძლებელია.¹

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მართალია შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილენი თავად განსაზღვრავენ იმ ფორმას, რომელიც შეკრების მიზანს საუკეთესოდ გამოხატავს, მაგრამ ვინაიდან შეკრების (მანიფესტაციის) უფლების განხორციელებისას პირი უშუალოდ ეხება საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებს, მას საზოგადოებასა და სხვათა უფლებებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ჩნდება ამ უფლებებით სარგებლობის ორგანიზაციული და პროცედურული საკითხების კანონმდებლობით მოწესრიგების აუცილებლობა. კანონმდებლობამ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს უფლების რეალიზების შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას გონივრული ბალანსი ამ უფლებას, საზოგადოებრივ ინტერესებსა და სხვათა უფლებებს შორის, რომელთაც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება შეიძლება დაუპირისპირდეს. ამავე დროს, რაც უფრო ინტენსიურად იჭრება შეკრების უფლება სხვათა უფლებებში, მით უფრო ფართოა შეკრების (მანიფესტაციის) პროცესში ხელისუფლების ჩარევის უფლებამოსილება.²

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ, როდესაც მანიფესტაციის შესაძლებლობა სხვათა უფლებების შელახვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარეშე არის შესაძლებელი იმ ადგილას, სადაც პროტესტის ან მხარდაჭერის ადრესატი იმყოფება, ხელისუფლებას შეუძლია, შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება თუ ის ქუჩის ბლოკირებით, მისი გადაკეცივით გამოიხატება, რომელიც სხვათა უფლებების და თავისუფლებების დარღვევას იწვევს ან საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას უპირისპირდება.³ „რწმუნებულნი“, რომელიც არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი, „ორგანიზატორი“ რომელიც არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ აქციის ორგანიზების ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილი პირი, ასევე „პასუხისმგებელი პირები“ და „უფლებამოსილი წარმომადგენელი“.

საკონსტიტუციო სასამართლომ სრულიად მართებულად მიიჩნია, რომ „ქუჩის გადაკეცივის შესაძლებლობის ნებისმიერ დროს და ადგილას გარანტირება სხვათა უფლების გაუმართლებლად ხშირ შეზღუდვას გამოიწვევს“. სხვათა უფლებებზე კი იგი ამ შემთხვევაში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას მოიაზრებს.⁴

იმისათვის, რომ გავიგოთ რა შემთხვევაში დაირღვევა კანონი, რომელიც მიზნად ისახავს – საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას,

¹ იქვე.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³ იქვე.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 482, 483, 487, 502. საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ – რა არის საწარმო, რა არის დაწესებულება და ორგანიზაცია.

საწარმოდ ითვლება წარმონაქმნი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილია ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი; უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაცია, კომპანია, ფირმა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება; გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე.¹

ორგანიზაციად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაცია (გაერთიანება), დაწესებულება, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან შექმნილია და მოქმედებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით), ასევე საბიუჯეტო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კორპორაცია, დაწესებულება; საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაცია – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაცია, დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაცია.²

დაწესებულების ცნებაში, სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებში მიხანშეწონილია მოვაცდიოთ საჯარო დაწესებულება – ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი;³ ასევე მუდმივი დაწესებულება. საქართველოში უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დაწესებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილი, რომლის გამოყენებითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში, რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით, გარდა გარკვეული შემთხვევებისა. მუდმივ დაწესებულებას უთანაბრდება: სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყოობო ობიექტი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობა; დანადგარი ან კონსტრუქცია; საბურღი დანადგარი ან ხომალდი, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი რესურსების დასაზვერად, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება; მუდმივი ბაზა, სადაც არარეზიდენტი ფიზიკური პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას; უცხოური საწარმოს მართვის ადგილი, ფილიალი, წარმომადგენლობა, განყოფილება, ბიურო, ოფისი, სააგენტო, საამქრო, საბადო, კარიერი, ბუნებრივი რესურსების მოპოვების სხვა ადგილი, ნებისმიერი სხვა ქვედანაყოფი ან ამ საწარმოს საქმიანობის სხვა ადგილი.⁴

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 21. მოქ. რედ.

² საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 30. მოქ. რედ.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 27. მოქ. რედ.

⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 29. მოქ. რედ.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ კაზუს – 2016 წლის 10 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ გაიმართა აქცია, რომლის ზედაპირული მიზანი იყო რექტორის გადადგომა, მაგრამ ორგანიზატორის რეალური მიზანი ფინანსური სარგებლის მიღება იყო. ორგანიზატორის მითითებების საფუძველზე დაიკავეს ადმინისტრაციული კორპუსის შესასვლელი, რის გამოც ხელი შეუშალეს სასწავლო პროცესის წარმართვას და უნივერსიტეტის ნორმალურ ფუნქციონირებას. შესაძლოა თუ არა ეს აქცია განეკუთვნოს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის ფარგლებს?¹

გფიქრობთ ეს შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი მოიაზრებს მიზანს – აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მოყვანილი კაზუსის მიზანი კი ფინანსური სარგებლის მიღება აზრის გამოხატვის სანაცვლოდ, რაც აქციას აკარგვინებს მართლზომიერ მიზანს - აზრის გამოხატვის და ნების გამოვლენის სამართლებრივ ბუნებას. ასევე გასათვალისწინებელია მეორე საკითხიც, ქმედება მიმართულია არა აზრის გამოხატვისაკენ, არამედ სსიპ-ის ფუნქციონირების ხელის შეშლისა და შეწყვეტისაკენ, რაც, კაზუსიდან გამომდინარე, მიღწეულ იქნა, ეს კიდევ უფრო აშორებს მსგავს ქმედებებს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისაგან.

ამდენად, შევეცადეთ გაგვევლო სამართლებრივი ზღვარი, რა დროს შეიძლება შეიქმნას საფრთხე, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებისა და მანისფესტაციის უფლების განხორციელება გარდაიქმნას მართლსაწინააღმდეგო ქმედებად.

¹ კაზუსში მოდიფიცირებულია რეალობა.

ირაკლი გაბისონია,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

**შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების სამართლებრივი ჩარჩოები,
თანაზომიერების პრინციპი**

სად გადის ზღვარი გამოსატვის უფლებასა და წესრიგს შორის? გამოსატვის უფლება არის დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტი, მაგრამ დემოკრატია ვერ იარსებებს წესრიგის გარეშე.

IRAKLI GABISONIA,
doctor of law, professor

**LEGAL FRAMEWORK OF MEETING AND THE MANIFESTATION RIGHT
THE PRINCIPLE OF PROPORTIONALITY**

Where is the boundary between order and right of expression, the right of expression is one of the foundations of democracy, but democracy cannot exist itself without order.

ИРАКЛИ ГАБИСОНИЯ,
доктор права, профессор

**ПРОЯВЛЕНИЕ ПРАВА НА СВОБОДУ СОБРАНИЙ И ПРАВОВЫХ РАМОК ПРИНЦИП
ПРОПОРЦИОНАЛЬНОСТИ**

Где граница между порядком и правом выражения. Право выражения является одним из основ демократии, но демократия не может существовать без самого порядка.

**დემოკრატია დიდ ბრიტანეთში და შოტლანდიისთვის დელეგირებული
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებები**

2014 წლის 18 სექტემბერს შოტლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, შოტლანდია დარჩებოდა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში თუ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. მოსახლეობამ ხმათა 55.3%-ით 44.7%-ის წინააღმდეგ უარი თქვა შოტლანდიის დამოუკიდებლობაზე და მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მომხრეებმა შოტლანდიის მხოლოდ ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში მოიპოვეს უმრავლესობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვაობა დამოუკიდებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ხმებს შორის მთელი ქვეყნის მასშტაბით ოთხასი ათასზე ოდნავ მეტი იყო.¹

როგორც ჩანს, შოტლანდიის ნაციონალური პარტიისა და ამ პარტიით დაკომპლექტებული შოტლანდიის მთავრობისათვის ასეთი შედეგი მოულოდნელი იყო, ვინაიდან რეფერენდუმამდე რამდენიმე თვით ადრე, 2014 წლის ივნისში, შოტლანდიის მთავრობამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა შოტლანდიის დამოუკიდებლობის ბილი – დამოუკიდებელი შოტლანდიის გარდამავალი (დროებითი) კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც თან ერთვის შოტლანდიის პირველი მინისტრის მაშინდელი მოადგილე ნიკოლა სტარჯენის (Nicola Sturgeon) წინასიტყვაობა და შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდგომი პროცესის აღწერა.²

რეფერენდუმამდე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ქემერონმა თხოვნით მიმართა შოტლანდიელ ხალხს, ნუ დაშლიდნენ ერთიან, მრავალეროვან „ოჯახს“ და სანაცვლოდ დაჰპირდა ავტონომიური უფლებების მნიშვნელოვნად გაფართოებას. ამ დაპირების შესრულება ქემერონმა პრაქტიკულად რეფერენდუმის მეორე დღიდანვე დაიწყო, როდესაც განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ შეექმნა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი შოტლანდიისათვის კომპეტენციათა გადაცემის თაობაზე. ჩამოყალიბდა ინტერპარტიული კომისია, რომელშიც ორ-ორი წარმომადგენლით შევიდნენ შოტლანდიის ძირითადი პარტიები: კონსერვატიულ-უნიონისტური, მწვანეთა, ლეიბორისტული, ლიბერალური და ნაციონალური.³ კომისიას ხელმძღვანელობდა კელვინის ლორდი რობერტ სმიტი (Lord Smith of Kelvin), რის გამოც ამ კომისიას სმიტის კომისია ეწოდა.

კომისიამ მალევე შეიმუშავა ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები (რაც კომისიის მიერ შედგენილ საბოლოო შემაჯამებელ დოკუმენტშიც აისახა), რომლებსაც უნდა დაეყარებოდა მომავალი დოკუმენტი. ამ პრინციპების მიხედვით, კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოო დოკუმენტს:

¹ Scottish Independence Referendum 2014: Results. http://www.scottish.parliament.uk/ResearchBriefingsAndFactsheets/Scottish_Independence_Referendum_2014_Results.pdf

² იხ. The Scottish Independence Bill: a Consultation on an Interim Constitution for Scotland. The Scottish Government, Edinburgh, 2014. <http://www.gov.scot/resource/0045/00452762.pdf>

³ The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.8. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

1. უნდა ჩამოეყალიბებინა მნიშვნელოვანი და მტკიცე უფლებამოსილებათა პაკეტი, რაც არსებითი იქნებოდა შოტლანდიელი ხალხისთვის თავისი მიზნების მისაღწევად;
2. უნდა გაეძლიერებინა შოტლანდიის დევიოლუციის ხარისხი და შოტლანდიის პარლამენტი გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში (პარლამენტის ფინანსური პასუხისმგებლობის დონის ჩათვლით);
3. უნდა განემტკიცებინა დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი, რომელიც გაამყარებდა შოტლანდიის ადგილს გაერთიანებულ სამეფოში და გააძლიერებდა ურთიერთთანამშრომლობასა და პარტნიორობას;
4. არ უნდა ჰქონოდა დამოკიდებულება გაერთიანებულ სამეფოში გამართული სხვა პოლიტიკური მოლაპარაკების შედეგებზე;
5. არ უნდა დაეზარალებინა როგორც მთლიანად გაერთიანებული სამეფო, ისე მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილი;
6. არც გაერთიანებული სამეფოს და არც შოტლანდიის მთავრობისათვის არ უნდა გამოეწვია ფინანსური შემოსავალი ან დანაკარგი როგორც სპეციფიკური უფლებამოსილების გადაცემის შედეგი;
7. შესაძლებელი უნდა ყოფილიყო იმპლემენტირება; შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, ევროკავშირის კანონმდებლობის ჩათვლით; ასევე პოტენციურად დაკავშირებული ხარჯების ფართო გაგებასთან.¹

კომისიამ ასევე განსაზღვრა, რომ შოტლანდიის პარლამენტისა და მთავრობისათვის დამატებითი კომპეტენციების გადაცემა უნდა ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს:

- შოტლანდიის მართვის მტკიცე და ამავე დროს პასუხისმგებლიანი კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა;
- კეთილდღეობის, ჯანსაღი ეკონომიკის, სამუშაო ადგილებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;
- შოტლანდიის პარლამენტის ფინანსური ანგარიშვალდებულების განმტკიცება.

სმიტის კომისიამ იმავე წლის 26 ნოემბერს დაასრულა საბოლოო დოკუმენტზე მუშაობა და გამოაქვეყნა. სწორედ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2015 წლის მაისში შემუშავებულ იქნა კანონთა პროექტის პაკეტი, რომელიც ცნობილია „შოტლანდიის ბილის“ (The Scotland Bill) სახელწოდებით,² ხოლო კანონი საბოლოოდ მიღებულ იქნა 2016 წლის 23 მარტს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტით ცვლილებები იქნა შეტანილი ბევრ კანონში, რომელთა შორის არის 1998 წლის კანონი „შოტლანდიის შესახებ“ (The Scotland Act), 1983 წლის კანონი „ხალხის წარმომადგენლობის შესახებ“ (The Representation of the People Act), 1984 წლის კანონი „საგზაო მოძრაობის მოწესრიგების შესახებ“ (The Road Traffic Regulation Act), 1998 წლის კანონი „ნავთობის შესახებ“ (The Petroleum Act), 2000 წლის კანონი „პოლიტიკური პარტიების, არჩევნებისა და რეფერენდუმების შესახებ“ (The Political Parties, Elections and Referendums Act), 2007 წლის კანონი „საშემოსავლო გადასახადის

¹ იქვე, P. 9.

² იხ. Scotland Bill. <http://www.publications.parliament.uk/pa/bills/cbill/2015-2016/0003/16003.pdf>

შესახებ“ (The Income Tax Act), 2010 წლის კანონი „თანასწორობის შესახებ“ (The Equality Act) და სხვა.¹

შოტლანდიისათვის დელეგირებული უფლებები შინაარსის მიხედვით პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავეყოთ: 1. პოლიტიკური და მმართველობითი; 2. სოციალურ-ეკონომიკური; 3. საგადასახადო და საფინანსო ხასიათის უფლებები.

ერთი სტატიის ფორმატში ყველა ამ დელეგირებულ უფლებამოსილებაზე საუბარი შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ამჯერად მხოლოდ პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის უფლებებზე შევჩერდები.

კომპეტენციათა ამ ჯგუფში თავმოყრილია ისეთი საკითხები, როგორცაა შოტლანდიის პარლამენტისა და მთავრობის სტატუსი, არჩევნები, წარმომადგენლობა ევროკავშირში, მაუწყებლობა, ფოსტა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა და სხვა.

სტატუსი

პირველი საკითხი, რომლითაც იწყება პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის კომპეტენციებზე საუბარი სმიტის კომისიის დასკვნით აქტში შოტლანდიის უმაღლესი ორგანოების სტატუსია. კერძოდ, დასკვნის 21-ე პუნქტში ნათქვამია: დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა დაადგენს, რომ შოტლანდიის პარლამენტი და მთავრობა მუდმივმოქმედი დაწესებულებებია.² კანონში ეს დებულება კიდევ უფრო განივრცო. „შოტლანდიის შესახებ“ 1998 წლის კანონს დაემატა თავი 2A, რომლის 63A მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შოტლანდიის პარლამენტი და მთავრობა არის გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციური წყობილების მუდმივი ნაწილი (permanent part), ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ შოტლანდიის პარლამენტი და შოტლანდიის მთავრობა არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა შოტლანდიელი ხალხის მიერ რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილებისა.³ „შოტლანდიის შესახებ“ 1998 წლის კანონის (იგივე „შოტლანდიის აქტი“) საფუძველზე შეიქმნა შოტლანდიის პარლამენტი და მთავრობა, რაც, თავისი არსით, გულისხმობდა იმას, რომ ეს ორგანოები მუდმივი ხასიათის იყო, თუმცა მსგავსი მკვეთრი ჩანაწერი მათ მუდმივმოქმედებასთან დაკავშირებით არ ყოფილა.⁴

სმიტის კომისიის დასკვნითი აქტის 22-ე პუნქტი სავალდებულოდ აცხადებს ე.წ. სიველის დებულებას (The Sewel Convention).⁵ სიველის დებულება ეს არის პრინციპი, რომელიც გულისხმობს შოტლანდიის პარლამენტის თანხმობის სავალდებულებას დიდი ბრიტანეთის პარლამენტისათვის, თუ საკითხი ეხება შოტლანდიის კომპეტენციათა სფეროს.⁶ ლორდმა სიველმა ეს პრინციპი ლორდთა პალატას შესთავაზა 1998 წლის 21 ივლისს „შოტლანდიის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის პროცესში, თუმცა შოტლანდიის აქტში ეს პრინციპი არ აისახა. სიველის დებულება მოგვიანებით შეტანილ იქნა, ერთი მხრივ, გაერთიანებული

¹ დეტალურად იხ. Scotland Act 2016. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>

² The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.13. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

³ Scotland Act 2016, მუხლი 1. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>

⁴ იხ. Scotland Act 1998. http://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/46/pdfs/ukpga_19980046_en.pdf

⁵ The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.13. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

⁶ Derek Birrell, Comparing Devolved Governance, Palgrave Macmillan, UK, 2012. P.86.

სამეფოს და, მეორე მხრივ, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობათა შორის 1999 წელს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში. მართალია, ეს მემორანდუმი არ იყო გათვალისწინებული როგორც იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი, მაგრამ ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.¹ 2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, შოტლანდიის აქტის 28-ე მუხლს დაემატა მე-8 პუნქტი, რომლითაც დიდი ბრიტანეთის პარლამენტისათვის სავალდებულო გახდა შოტლანდიის პარლამენტის თანხმობა შოტლანდიის კომპეტენციათა სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად.²

არჩევნები

საკანონმდებლო ცვლილებებით შოტლანდიის პარლამენტს მიენიჭა ყველა უფლება შოტლანდიის პარლამენტისა და შოტლანდიაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით (მაგრამ არა ვესტმინსტერისა და ევროკავშირის არჩევნებთან დაკავშირებით). ეს უფლებები მოიცავს უფლებამოსილებებს საარჩევნო კამპანიის ხარჯების ზღვრულ ოდენობასთან, ვადასა და პარტიულ პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შოტლანდიის პარლამენტს მანამდე უკვე ჰქონდა მრავალი ამ უფლებათაგან შოტლანდიის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, თუმცა ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებით ეს უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სმიტის კომისიის დასკვნიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში ცვლილებები განხორციელდა შოტლანდიის 1998 წლის აქტში და შოტლანდიას უფლება მიეცა შოტლანდიის პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის აქტიური საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირთა მინიმალური ასაკი განესაზღვრა 16 წლით. აღნიშნული კანონის მიღებიდან 1 თვეში, 2015 წლის აპრილში უკვე შოტლანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირის მინიმალური ასაკი 18-დან 16 წლამდე შეამცირა.³ 2016 წლის 5 მაისის შოტლანდიის საპარლამენტო არჩევნებში პირველად მიიღეს მონაწილეობა 16 წლის ამომრჩევლებმა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოში აქტიური საარჩევნო უფლება 18 წლის ასაკიდან იწყება.⁴

სმიტის კომისიის დასკვნის 24-ე პუნქტი შეიცავს დათქმას, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს შოტლანდიის პარლამენტის უფლებებს არჩევნებთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. შოტლანდიის პარლამენტს არ ექნება უფლებამოსილებები პოლიტიკური პარტიების რეგულაციასთან დაკავშირებით (შემოწირულობების ჩათვლით);
2. საარჩევნო კომისია გააგრძელებს მუშაობას გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში. შოტლანდიის პარლამენტს ექნება კომპეტენცია საარჩევნო კომისიის ფუნქციების მიმართ შოტლანდიის პარლამენტის არჩევნებსა და შოტლანდიის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით. საარჩევნო კომისია ანგა-

¹ Paul Bowers, The Sewel Convention, Parliament and Constitution Centre, 25 November 2005. www.parliament.uk/briefing-papers/SN02084.pdf

² Scotland Act 2016, მუხლი 2. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>

³ Scottish Elections (Reduction of Voting Age) Act 2015, მუხლი 1. http://www.legislation.gov.uk/asp/2015/7/pdfs/asp_20150007_en.pdf

⁴ იხ. Representation of the People Act 2000, მუხლი 1, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "d". http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/2/pdfs/ukpga_20000002_en.pdf

რიშს ჩააბარებს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს გაერთიანებული სამეფოსა და ევროპულ არჩევნებთან დაკავშირებით და შოტლანდიის პარლამენტს შოტლანდიის საპარლამენტო და შოტლანდიის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით;

3. საზღვრების დამდგენი კომისია (Boundary Commission - კომისია, რომელიც პერიოდულად განიხილავს საპარლამენტო საარჩევნო ოლქების საზღვრების საკითხს და მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებების შესაბამისად იძლევა საზღვრების შეცვლის რეკომენდაციას) შოტლანდიისათვის გააგრძელებს საქმიანობას, როგორც გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო დაწესებულება. ის ანგარიშს ჩააბარებს შოტლანდიის პარლამენტს შოტლანდიის პარლამენტის საარჩევნო ოლქების საზღვრების შესახებ. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების უფლებამოსილებანი, შოტლანდიის პარლამენტის საზღვრებთან დაკავშირებით, შოტლანდიის ხელისუფლებას გადაეცემა;
4. შოტლანდიის პარლამენტს არ შეუძლია შოტლანდიის საპარლამენტო არჩევნები დაამთხვიოს გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო, ევროპის პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს.¹

მოცემული შეზღუდვები შესაბამისად აისახა კანონშიც.²

შოტლანდიის პარლამენტის სხვა უფლებამოსილებანი

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა შოტლანდიის პარლამენტს მისცემს უფლებამოსილებას გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება შოტლანდიის პარლამენტისა და შოტლანდიის მთავრობის მოწივობასა და ფუნქციონირებას, მათ შორის:

1. უფლებამოსილებანი შოტლანდიის პარლამენტის წევრთა ან საარჩევნო ოლქების რაოდენობასა და შოტლანდიის პარლამენტის წევრთა სიასთან დაკავშირებით;
2. უფლებამოსილებანი შოტლანდიის პარლამენტის წევრისათვის წევრობის უფლების ჩამორთმევის (disqualification) და იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც შოტლანდიის პარლამენტის წევრის ადგილი შეიძლება გაუქმებულ იქნეს.³

საკანონმდებლო ცვლილებებით აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული არ იქნა და მათი დიდი ნაწილი ე.წ. დაცულ საკითხებად (protected subject-matter – საკითხები, რომლებიც დარჩა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის კომპეტენციაში) გამოცხადდა. კერძოდ, 2016 წლის შოტლანდიის აქტის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით დაცულია საკითხები, რომელიც დაკავშირებულია:

- ა) საპარლამენტო არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირებთან;
- ბ) პარლამენტის საარჩევნო სისტემასთან;
- გ) საარჩევნო ოლქებისა და რეგიონების რაოდენობასთან;

¹ The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.13, პუნქტი 24. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

² დეტალურად იხ. Scotland Act 2016, მუხლები 3-5. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>

³ The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.14, პუნქტი 26. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

დ) თითოეული საარჩევნო ოლქიდან და რეგიონიდან ასარჩევი პარლამენტის წევრების რაოდენობასთან.¹

თუ პარლამენტში მაინც მოხდა ისეთი კანონპროექტის ინიცირება, რომელიც, სხდომის თავმჯდომარის შეხედულებით, მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია დაცულ საკითხებთან, ამ კანონპროექტის მისაღებად აუცილებელია პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. ამასთანავე, გენერალურ ადვოკატს (Advocate General), ლორდ ადვოკატს (Lord Advocate) ან გენერალურ პროკურორს (Attorney General), რომლებიც წარმოადგენენ გაერთიანებული სამეფოს ინტერესებს შოტლანდიაში, შეუძლიათ მიმართონ უზენაეს სასამართლოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის კომპეტენციის დასადგენად. თუ უზენაესი სასამართლო დაადგენს, რომ კანონპროექტი ეხება დაცულ საკითხებს, რომლის განხილვის უფლება შოტლანდიის პარლამენტს არ აქვს, კანონპროექტის განხილვა უნდა შეწყდეს, ხოლო თუ კანონი უკვე მიღებულია, თავმჯდომარემ ის დედოფალს არ უნდა გადაუგზავნოს ხელმოსაწერად.

მთავრობათაშორისი ურთიერთობა

მრავალდონიან სახელმწიფოში ურთიერთობა ცენტრალური და ავტონომიური ერთეულის მთავრობებს შორის მეტად მნიშვნელოვანია. როგორც პროფესორი მაიკლ კიტინგი აღნიშნავს, მთავრობათაშორისი ურთიერთობებს ორი ძირითადი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, კონფლიქტის გადაწყვეტა და, მეორე მხრივ, ერთობლივად გადაწყვეტილების მიღება იქ, სადაც ორი ან რამდენიმე ადმინისტრაციის კომპეტენციები ურთიერთდამოკიდებულია ან ცალკეულ შემთხვევებში გადადის ერთი იურისდიქციიდან მეორეში.²

ამდენად, სმიტის კომისიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო გაერთიანებულ სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობათა შორის ურთიერთობის მექანიზმებს. კერძოდ, დასკვნაში ნათქვამია, რომ შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს არსებული მთავრობათაშორისი ორგანო, გაერთიანებული მინისტრთა კომიტეტის (გმკ) სტრუქტურების ჩათვლით, უნდა იქნეს რეფორმირებული სასწრაფო წესით და მნიშვნელოვნად გაფართოვდეს, რათა ასახოს მთელი არსი იმ ცვლილებებისა, რასაც მხარეებმა მიადწინეს სმიტის კომისიის ფარგლებში. სხვა რეგიონული ადმინისტრაციების (იგულისხმება ჩრდილოეთ ირლანდია და უელსი) შეხედულებები ასევე სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ ახალი მექანიზმის დაპროექტებისას.³

უფრო ინტენსიური უნდა გახდეს თანამშრომლობა შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტებს შორის იმ სფეროებში, სადაც ერთობლივი ინტერესები აქვთ.⁴

ამასთან, კომისიის დასკვნის 30-ე პუნქტში მოცემულია ის პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ზემოთ ნახსენები მთავრობათაშორისი მექანიზმი. კერძოდ:

¹ Scotland Act 2016, მუხლი 11, პუნქტი 5. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>

² Written evidence from Professor Michael Keating (IGR0003), Inter-governmental Relations in the United Kingdom, HOUSE OF LORDS, Select Committee on the Constitution, 11th Report of Session 2014-15, published 27 March 2015. P. 7. <http://www.publications.parliament.uk/pa/ld201415/ldselect/ldconst/146/146.pdf>

³ The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.14, პუნქტი 28. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

⁴ იქვე, P.14, პუნქტი 29.

1. უნდა შეიცავდეს ახალ და ყოველსმომცველ ურთიერთგაგების მემორანდუმს (უმ) დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და ხელისუფლების რეგიონულ ორგანოებს შორის. იმ საკითხების გარდა, რომლებსაც მოქმედი უმ შეიცავს, განახლებული უმ უნდა:

- ა) შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას მართვის ახალი ორმხრივი შეთანხმებების შესახებ, რომლებიც აუცილებელი იქნება საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გადაცემული უფლებამოსილებების იმპლემენტაციასა და მუშაობაზე ზედამხედველობის მიზნით. ეს ახალი მექანიზმები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ფისკალურ ჩარჩოებს, რომლებიც შემუშავდება ამ შეთანხმების 95-ე მუხლის თანახმად;
- ბ) არსებულ ქვეკომიტეტებთან ერთად ითვალისწინებდეს დამატებით ქვეკომიტეტებს გმკ-ის ფარგლებში. ახალი ქვეკომიტეტების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდეს ისეთი სფეროებით, როგორცაა: საშინაო პოლიტიკა, აგრარული პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა და თევზჭერა; სოციალური უსაფრთხოება/სოციალური უზრუნველყოფა.

2. იყოს განმტკიცებული ძლიერი და გამჭვირვალე საპარლამენტო კონტროლით, მათ შორის:

- ა) შესაბამისი პარლამენტების წინაშე ანგარიშების წარდგენა უმ-ის იმპლემენტაციისა და ეფექტიანი ფუნქციონირების შესახებ;
- ბ) შესაბამისი პარლამენტის წინაშე აქტიური ანგარიშგება იმ დასკვნებისა, რომლებიც მიღებული იქნება გაერთიანებული მინისტრთა კომიტეტის მიერ, გაერთიანებული სახაზინო კომიტეტის მიერ და ამ შეთანხმების პირობების საფუძველზე შექმნილი სხვა მთავრობათაშორისი ორმხრივი შეხვედრების შედეგად.

3. ადმინისტრაციათა შორის დაგების დროული და კონსტრუქციული მოგვარების მიზნით, უნდა უზრუნველყოფდეს უფრო ეფექტიან და ქმედით მექანიზმებს გამართულად ფუნქციონირებადი საარბიტრაჟო პროცესის სახით.¹

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობათაშორისი ურთიერთობის მექანიზმები დიდ ბრიტანეთში ამჟამად განისაზღვრება 2013 წლის ოქტომბრის ურთიერთგაგების მემორანდუმით გაერთიანებული სამეფოს, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობებს შორის,² ხოლო ახალი მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სმიტის დასკვნაში აღნიშნულ პრინციპებს, ჯერჯერობით მიღებული არ არის, თუმცა უკვე მიღებულია მისი ცალკეული კომპონენტები. კერძოდ, 2016 წლის თებერვალში მიღებულ იქნა „შეთანხმება გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობებს შორის შოტლანდიის მთავრობის ფისკალური ჩარჩოების შესახებ“³, რასაც ითვალისწინებს ზემოხსენებული სმიტის კომისიის 30-ე პუნქტის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹ იქვე, P.15, პუნქტი 30.

² იხ. Memorandum of Understanding and Supplementary Agreements Between the United Kingdom Government, the Scottish Ministers, the Welsh Ministers, and the Northern Ireland Executive Committee, https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/316157/MoU_between_the_UK_and_the_Devolved_Administrations.pdf

³ იხ. The agreement Between the Scottish Government and the United Kingdom Government on the Scottish Government's Fiscal Framework. <http://www.gov.scot/Resource/0049/00494765.pdf>

შოტლანდიის მთავრობის წარმომადგენლობა ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის მეშვეობით

კომისიის დასკვნის თანახმად, საგარეო კომპეტენციები დაცული დარჩა, თუმცა იმ პირობით, რომ სრულად იქნეს ასახული რეგიონული ადმინისტრაციების შეხედულებები ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლობაში. ამ კონტექსტში უნდა გაუმჯობესდეს ევროკავშირისა და საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაციის შესახებ არსებული კონკორდატის იმპლემენტაცია.¹ ეს მიღწეული უნდა იქნეს შემდეგი საშუალებებით:

1. უზრუნველყოფილ იქნეს შოტლანდიის მინისტრების სრულად ჩართვა გაერთიანებული სამეფოს პოზიციის შემუშავებაში ევროკავშირთან დელეგირებულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მინისტრის თავმჯდომარეობით რეგიონული ადმინისტრაციების მინისტრთა შეხვედრა, სადაც რეგიონული ადმინისტრაციების მინისტრები თავიანთ ინტერესებს წარმოადგენენ;
2. უზრუნველყოფა იმისა, რომ დელეგირებული პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით შოტლანდიის მინისტრები ჩართულები იქნებიან კონსულტაციებში და მათი შეხედულებები გათვალისწინებული იქნება გაერთიანებული სამეფოს საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბების პროცესში;
3. შესაძლებელია, რომ რეგიონული ადმინისტრაციის მინისტრმა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე წარმოადგინოს გაერთიანებული სამეფო და გაახმოვანოს დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან შეთანხმებული პოზიცია, თუ რეგიონული ადმინისტრაციის მინისტრს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აქვს უპირატესი პოლიტიკური ინტერესი და დიდი ბრიტანეთის მთავრობის შესაბამის წამყვან მინისტრს არ შეუძლია დაესწროს ამ შეხვედრას.²

The Crown Estate (სამეფო მამული)

„სამეფო მამული“ არის მიწებისა და მამულების ერთობლიობა, რომელიც ითვლება დიდი ბრიტანეთის მონარქის ე.წ. „საზოგადოებრივ საკუთრებად“ და არ არის არც სახელმწიფოს და არც მონარქის კერძო საკუთრება. სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, შოტლანდიაში Crown Estate-ის ეკონომიკური აქტივების მართვა და ამ აქტივებიდან მიღებული შემოსავლები გადაეცემა შოტლანდიის პარლამენტს. იგი მოიცავს ზღვის ფსკერს, ურბანულ აქტივებს, სოფლის მამულებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და თევზჭერის უფლებებს და შოტლანდიის სასაზღვრო ზოლს, რაზეც ის არის პასუხისმგებელი.³

კომისიამ ასევე განსაზღვრა, რომ შოტლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ერთობლივი ურთიერთგაგების მემორანდუმში ასახონ მოცემული საკითხები, რათა ასეთმა დელეგირებამ არ დააზიანოს დიდი ბრიტანეთის საერთო მნიშვნელობის ნაციონალური ინტერესები ისეთ სფეროებში, როგორცაა თავდაცვა და უსაფრთხოება, ნავთობი, გაზი და

¹ იგულისხმება 1999 წლის 25 ნოემბრის Concordat on Co-ordination of EU, International and Policy Issues on Public Procurement. <http://www.gov.scot/Publications/1999/11/procurement>

² The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.15-16, პუნქტი 31. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

³ იქვე, P.16, პუნქტი 32.

ენერგეტიკა, მონარქის ქონების, საზღვაო ზოლისა და ზღვის ფსკერის აქტივების დაცვა და უსაფრთხოება მოელი დიდი ბრიტანეთის მასშტაბით.¹

საკანონმდებლო ცვლილებებით დიდი ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს დაევალა ზემოაღნიშნული ქონების ტრანსფერის დეტალური გეგმის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება ქონების გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ამ ქონებაზე პასუხისმგებელი შოტლანდიის თანამდებობის პირების უფლებამოსილების, უსაფრთხოების, ფინანსური და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.²

კომუნიკაცია, ტრანსპორტი, ენერგეტიკა

სმიტის კომისიის მიხედვით, იზრდება შოტლანდიის უფლებები ტელეკომუნიკაციის, საფოსტო მომსახურებისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროშიც. კერძოდ, შოტლანდიის მთავრობას ექნება უფლებამოსილება დანიშნოს კომუნიკაციების ოფისის (OFCOM - Office of Communications), საზღვაო და სანაპიროს დაცვის სააგენტოს (MCA- Maritime and Coastguard Agency) და ჩრდილოეთ შუქურის საბჭოს (NLB - Northern Lighthouse Board) თითო წევრი, ხოლო შოტლანდიის მთავრობასა და პარლამენტს ექნება ოფიციალური საკონსულტაციო როლი ამ უწყებების სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შოტლანდიის მედიასერვისის (MG Alba - Gaelic Media Service)³ გამგეობის დანიშნის უფლებამოსილებას, იგი მთლიანად გადაეცემა შოტლანდიის მთავრობას.⁴

შოტლანდია-გაერთიანებული სამეფოს ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ენერგეტიკა. სმიტის კომისიამ დაადგინა, რომ შოტლანდიის მთავრობასა და პარლამენტს ექნება ოფიციალური საკონსულტაციო როლი განახლებადი ენერჯის სტიმულირებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების შემუშავებაში, რაც მოცემულია „ენერგეტიკული სტრატეგიისა და პოლიტიკის დებულებაში“ (Energy Strategy and Policy Statement). ამასთან, გაზისა და ელექტროსისტემის ბაზრების ოფისი (OFGEM - Office of Gas and Electricity Markets) თავის ყოველწლიურ მოხსენებასა და ანგარიშს წარუდგენს შოტლანდიის პარლამენტს და გამოცხადდება შოტლანდიის პარლამენტის კომიტეტების წინაშე.⁵

დასკვნა

შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმითა და მის შემდგომ განხორციელებული დევიოლუციური პროცესებით, გაერთიანებულმა სამეფომ რეგიონებთან ურთიერთობის ახალი ეპოქა დაიწყო, რაც გულისხმობს ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების პრობლემებისადმი არა თვალის დახუჭვას და მათი მისწრაფებების უგულებელყოფას, არამედ მათი ნების პატივისცემას და სათანადო მექანიზმების შექმნას.

¹ იქვე, P.16, პუნქტი 34.

² იხ. Scotland Act 2016, muxli 36. <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>

³ Alba არის შოტლანდიის სახელწოდება ადგილობრივ (გაელიკურ) ენაზე.

⁴ The Smith Commission. Report of the Smith Commission for further devolution of powers to the Scottish Parliament. 27 November 2014. P.17, პუნქტები36-40. <https://www.smith-commission.scot/smith-commission-report/>

⁵ იქვე, P.17, პუნქტი 41.

საინტერესოა სმიტის კომისის დასკვნის მე-18 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „ეს აქტი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ შოტლანდია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო მომავალში, რაც შოტლანდიის მოსახლეობის გადასაწყვეტია.“¹ ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად სმიტის კომისიის დასკვნა და მის საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მაინც გარდამავალი აქტებია და შოტლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი მომავალში კიდევ არაერთხელ დადგება დღის წესრიგში.² ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას არ მიეცემა მოდუნების საშუალება. იგი მუდმივად უნდა გრძნობდეს თავისი რეგიონების (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შოტლანდიის) მაჯის-ცემას და ყოველთვის იფიქროს ახალ შეთავაზებებსა თუ კომპრომისებზე. ამ თვალსაზრისით, დიდი ბრიტანეთი გარკვეულ კონკურენტულ დამოკიდებულებაში იმყოფება თავის რეგიონებთან. 2014 წლის 18 სექტემბერს ეს კონკურენცია ქვეყნის ერთიანობით დამთავრდა. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

¹ იქვე, P.12, პუნქტი 18.

² ეს უკვე გამოჩნდა დიდ ბრიტანეთში ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხზე 2016 წლის 23 აპრილს გამართული რეფერენდუმის შემდეგ, როდესაც შოტლანდია არ დაეთანხმა რეფერენდუმის შედეგებს და ევროკავშირში დარჩენის სურვილის საფუძველზე კვლავ დაიწყო გაერთიანებული სამეფოდან გამოსვლის კამპანია.

**დევოლუცია დიდ ბრიტანეთში და შოტლანდიისთვის დელეგირებული
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებები**

სტატია მიზნად ისახავს 2014 წლის 18 სექტემბერს, შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდგომ, დიდ ბრიტანეთსა და შოტლანდიას შორის განვითარებული პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესებისა და შოტლანდიისათვის დელეგირებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებების განხილვას.

რეფერენდუმის ჩატარებიდან მეორე დღესვე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა სმიტის კომისია, რომელშიც პარიტეტულ საწყისებზე წარმოდგენილი იყვნენ შოტლანდიის 5 ძირითადი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. კომისიის მიზანი იყო შოტლანდიისათვის კომპეტენციათა გადაცემის შესახებ პროექტის შემუშავება.

კომისიამ მალევე შეიმუშავა და გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის საფუძველზე დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კანონთა ცვლილებების პაკეტი. კანონით გათვალისწინებული ცვლილებები მოიცავდა კომპეტენციათა მთელ სპექტრს, რომელშიც სამი სხვადასხვა სფერო შედიოდა: 1. პოლიტიკური და მმართველობითი; 2. სოციალურ-ეკონომიკური; და 3. საგადასახადო და საფინანსო ხასიათის უფლებები.

მოცემულ სტატიაში განხილულია მხოლოდ პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის უფლებები. მასში დეტალურად არის საუბარი ისეთი ტიპის საკითხებზე, როგორცაა შოტლანდიის უმაღლესი ორგანოების სტატუსი, შოტლანდიის პარლამენტის კომპეტენციები, არჩევნები, შოტლანდიის მთავრობის კომპეტენციები საგარეო ურთიერთობებში და სხვა.

სტატიაში შოტლანდიისათვის დელეგირებული კომპეტენციები განხილულია ორ ჭრილში: ერთი, სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, რომელი კომპეტენციების და რა მოცულობით გადაცემა მიიჩნია კომისიამ მიზანშეწონილად და, მეორე, როგორ აისახა სმიტის კომისიის რეკომენდაციები საკანონმდებლო აქტებში.

დასასრულ გამოთქმულია ვარაუდი, რომ სმიტის კომისიის დასკვნა და მის საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გარდამავალი აქტებია და შოტლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი მომავალში კიდევ არაერთხელ დადგება დღის წესრიგში. ამის საფუძველს ავტორს აძლევს სმიტის კომისიის დასკვნის მე-18 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „ეს აქტი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ შოტლანდია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო მომავალში, რაც შოტლანდიის მოსახლეობის გადასაწყვეტია.“

GIORGI GORADZE,
doctor of law, professor

**DEVOLUTION IN THE GREAT BRITAIN AND DEVOLVED
POLITICAL-ADMINISTRATIVE POWERS OF SCOTLAND**

The article - “Devolution in The Great Britain and Devolved Political-Administrative Powers of Scotland” - aims a consideration of political-legal processes emerged after Independence Referendum between the Great Britain and Scotland, September 18, 2014, and delegated political-administrative rights for Scotland.

Next day, right after the referendum, the Smith Commission was announced by the prime minister of the Great Britain, in which at the parity basis, the representatives of 5 of the largest political parties were presented. The aim of the Commission was a creation of a project of entitling Scotland with the competences.

On the basis of a report, which was soon elaborated and published by the Commission, the Parliament of the Great Britain passed a package of legislation amendments. Legislation amendments included a whole specter of competences, which encompasses three different spheres: 1. Political and managerial/regulatory rights; 2. Social-economic rights and 3. Tax and financial rights.

In the given article only political and managerial/regulatory rights are discussed. Issues such as status of Scotland supreme authorities, competences of Scottish Parliament, Elections, competences/jurisdiction of Scottish Parliament in foreign affairs, etc, are discussed in details.

In the article, delegated competences for Scotland are mainly discussed in two aspects: first, according to the report of the Smith Commission, delegation of which competences and in what amount the Commission considers relevant, and secondly, how the Smith Commission recommendations were reflected in legislative acts.

In conclusion, it is presumed, that the report of the Smith Commission and on-based legislative amendments are transitional acts and the issue of Independence of Scotland will be actual consistently. The author firmly relies on part 18 of the report of the Smith Commission, which quotes: "It is agreed, that nothing in this report prevents Scotland becoming an independent country in the future which the people of Scotland should so choose".

ГИОРГИЙ ГОРАДЗЕ,
доктор права, профессор

ДЕВОЛЮЦИЯ В ВЕЛИКОБРИТАНИИ И ДЕЛЕГИРОВАННЫЕ ПОЛИТИКО-УПРАВЛЕНЧЕСКИЕ ПОЛНОМОЧИЯ ШОТЛАНДИИ

Целью статьи "Деволюция в Великобритании и делегированные политико-управленческие полномочия Шотландии" является рассмотрение политико-правовых процессов развернувшихся между Великобританией и Шотландией после референдума о независимости 18 сентября 2014 года и делегированных Шотландии политико-административных полномочий.

На следующий день сразу после референдума, по инициативе премьер-министра Великобритании, была создана Комиссия Смита, в которую на паритетной основе вошли представители 5 крупнейших политических партий Шотландии. Целью Комиссии было создание проекта о делегировании компетенций Шотландии.

На основе доклада, который вскоре был подготовлен и опубликован комиссией, парламент Великобритании принял пакет законодательных поправок. Эти поправки касались всего спектра полномочий, которые включали в себя три различные сферы: 1. Полномочия политического и управленческого характера; 2. Социально-экономические полномочия и 3. Права налогового и финансового характера.

В данной статье рассматриваются только полномочия политического характера. В ней детально обсуждаются такие вопросы, как статус высших органов Шотландии, компетенция Шотландского парламента, выборы, полномочия Шотландского правительства во внешних отношениях и т.д.

В статье делегированные полномочия Шотландии в основном рассматриваются в двух аспектах: первый - в соответствии с докладом Комиссии Смита, передача каких компетенций и в каком объеме посчитала комиссия уместной, и второй - как отразились рекомендации Комиссии Смита в законодательных актах.

В заключении высказано предположение, что доклад Комиссии Смита и законодательные поправки, осуществлённые на его основе, всё-таки переходные акты и вопрос о независимости Шотландии в будущем ещё не раз будет подниматься на повестке дня. Основу для такого рассуждения автору даёт пункт 18 доклада Комиссии Смита, где отмечается, что "Этот акт не протворечит тому, чтобы Шотландия стала независимой страной в будущем по решению жителей Шотландии".

მკვლევლის საქმეთა კვალიფიკაციის ზოგიერთი ასპექტი

ადამიანის სიცოცხლის დაცვაში განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია სისხლის სამართალი. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი სწორედ ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით იწყება. კანონმდებლობა იცავს ადამიანს მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ამიტომ, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს როგორც სიცოცხლის დასაწყისი, ასევე სიკვდილის დადგომის მომენტი. სიცოცხლის დასაწყისად ითვლება ბავშვის დაბადების დაწყების მომენტი. რაც შეეხება სიკვდილის დადგენის დროს, ასეთად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ბიოლოგიური სიკვდილი ანუ ორგანიზმის დაღუპვის შეუქცევი პროცესი. მკვლევლობა განუყოფლად დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლესა და სიკვდილთან, ამდენად სიცოცხლისა და სიკვდილის ცნების განმარტების გარეშე შეუძლებელია სწორად განვმარტოთ თუ რას ნიშნავს მკვლევლობა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლში აღიარებულია ადამიანის უფლება სიცოცხლეზე. ეს დებულება განმტკიცებულია საქართველოს ძირითადი კანონითაც, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას კანონი“ იცავს. ამდენად, ადამიანის სიცოცხლე უმადლესი ღირებულებაა და დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა კანონმდებლობითაც.

სამედიცინო ლიტერატურაში სიკვდილის დადგომის მომენტთან დაკავშირებით აზრთა სხვაობაა. ავტორთა ნაწილის აზრით, სიკვდილის დადგომის მომენტად გულისცემისა და სუნთქვის შეწყვეტა ითვლება ე.წ. „კლინიკური სიკვდილი“, ნაწილი კი სიკვდილის დადგომის დროდ ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტს მიიჩნევს. ხშირია შემთხვევები, როცა თანამედროვე მედიცინის პირობებში კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის დაუბრუნებიათ სიცოცხლე.¹ ამდენად, სწორედ ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტი ითვლება სიკვდილის დადგომის მომენტად, ვინაიდან ამ პერიოდთან სიკვდილი გარდაუვალია. რაც შეეხება ხელყოფას გვამზე, რომელიც შეცდომით ცოცხალი ადამიანი ჰგონიან უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლევლობის მცდელობა უვარგის ობიექტზე.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანი ძალადობის გზით პირის სიკვდილია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გარდა, აუცილებელია ასევე იურიდიული ფაქტორის არსებობაც, რომელსაც ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ ძალადობრივი სიკვდილი შეიძლება მართლზომიერიც იყოს (მაგ., აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, საომარი მოქმედების დროს და ა.შ.). ყველა სახის მკვლევლობა მატერიალური შედეგინიშნებისაა. იგი დამთავრებულია დანაშაულებრივი შედეგის – სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება დაუმთავრებელ დანაშაულს, კონკრეტულად კი დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას. ამასთან, პირის მოქმედებას თუ უმოქმედობას, ერთი მხრივ, და დამდგარ შედეგს – სიკვდილს შორის, მეორე მხრივ, უნდა არ-

¹ Раймони М. Жизнь после смерти. 1990, с 91.

სებობდეს მიზეზობრივი კავშირი. მისი არსებობისათვის აუცილებელია, რომ დამნაშავეს ქმედება დროში წინ უსწრებდეს სიკვდილს და იყოს მისი აუცილებელი პირობა.

მკვლელობის სწორი კვალიფიკაციის საკითხის განხილვისას აუცილებელია მიმოვიხილოთ მისი შედგენილობის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ განვიხილოთ მისი ობიექტური და სუბიექტური შედგენილობა. განსაკუთრებით ყურადღება გავამახვილოთ ობიექტური შედგენილობის ისეთ ნაწილზე, როგორსაც შედეგის ობიექტური შერაცხვის ინსტიტუტი წარმოადგენს. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია შედგენილობის ყოველი ნიშნის ანალიზი სათითაოდ და ერთობლიობაში, რათა ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს შესაბამისი ნორმის საფუძველზე.

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტია სხვა ადამიანის სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მკვლელობად შეფასდეს ქმედება, როდესაც დამნაშავე მკვლელობის განზრახვით აწარმოებს გასროლას უკვე გარდაცვლილი პირის მიმართ, ასეთ ვითარებაში ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობის მცდელობა უფარვის ობიექტზე.¹ აქვე უნდა ითქვას, რომ, ხშირ შემთხვევაში, „ობიექტში“ შეცდომად იწოდება ისეთი მკვლელობა, როცა დამნაშავე ერთი პირის ნაცვლად შეცდომით კლავს მეორეს, ამ დროს ობიექტი – ადამიანის სიცოცხლე უცვლელია და დამნაშავე შეცდომას უშვებს მხოლოდ „პიროვნებაში“. მკვლელობა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, რადგან დაზარალებულის სიკვდილი გამორიცხავს მიყენებული ზიანის გამოსწორებას. რაც შეეხება ობიექტური შედგენილობის მეორე ნიშანს – ქმედებას, ის შეიძლება ჩადენილ იქნეს მოქმედებით ან უმოქმედობით. ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ მას შედეგად აუცილებლად უნდა მოჰყვეს დაზარალებულის სიკვდილი. ასეთი შედეგის არარსებობა გამორიცხავს ქმედების მკვლელობად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას და უნდა მიეცეს მკვლელობის მომზადების ან მცდელობის კვალიფიკაცია. ობიექტური შედგენილობის მნიშვნელოვან ნიშანს განეკუთვნება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის დასადგენად მიზეზობრივი კავშირის გარდა აუცილებლად უნდა შევეხოთ ქმედების ობიექტური შედგენილობის ნაწილს, კერძოდ: შედეგის ობიექტური შერაცხვის საკითხს, ვინაიდან ქმედების ობიექტური შედგენილობის დასადგენად, შედეგიანი დანაშაულის ჩადენისას მიზეზობრივი კავშირის დადგენის გარდა, აუცილებელია შედეგის ობიექტურად შერაცხვის საკითხის გადაწყვეტაც. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს პროფ. მერაბ ტურავა, რომელიც აღნიშნავს, რომ შედეგის ობიექტური შერაცხვის საკითხი განხილული უნდა იქნეს მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის (კაუზალობის) დადგენის შემდეგ. იმისათვის, რათა დანაშაულის ჩამდენ პირს შედეგი შეერაცხოს, აუცილებელია თავდაპირველად დადგინდეს მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და ამის შემდეგ გადაწყდეს შედეგის ობიექტურად შერაცხვის საკითხი.² აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობა არ განაპირობებს შედეგის ობიექტურად შერაცხვას, რადგანაც პრაქტიკაში მიზეზობრივი განვითარების ჯაჭვში გვხვდება ისეთი სახის არსებითი გადახრები, რა დროსაც ერთი შეხედვით მიზეზობრივი კავშირის არსებობის

¹ С.В. Бородин. Ответственность за убийство: квалификация и наказание по российскому праву, 1994 г. с. 17.

² სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. პროფ. მერაბ ტურავა. 2013 წელი. გვ.105.

მიუხედავად შედეგის ობიექტურად შერაცხვა არ ხორციელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მიზეზობრივი კავშირი დამნაშავეს წარმოდგენისაგან განსხვავებულად წარმართება, ასეთი შედეგი მას ობიექტურად არ შეერაცხება, თუ მიზეზობრივი კავშირი ატიპიურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან პროფ. ტურავას მაგალითს: ა-მ ბ-ს მოკვლის განზრახვით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, რომელიც არ იყო სასიკვდილო. საავადმყოფოში გადაყვანისას გზაში ავტოავარიის შედეგად იგი დაიღუპა. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი (ა-ს რომ ბ. არ დაეჭრა, ეს უკანასკნელი არ მოხვდებოდა ავტოავარიაში და არ გარდაიცვლებოდა), ა-ს არ შეერაცხება ობიექტურად დამდგარი შედეგი, ვინაიდან სახეზეა მიზეზობრიობის ჯაჭვიდან არსებითი გადახრა, რამაც გამოიწვია მიზეზობრივი კავშირის ატიპიური განვითარება.¹

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობს კიდევ დამატებითი გარემოებები, რომელიც, კაუზალობის არსებობის მიუხედავად, გამორიცხავს შედეგის შერაცხვას. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება მიზეზობრიობის ისეთი ფორმა, როცა შედეგი წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესაბამისი ალტერნატიული მოქმედების შესრულების დროსაც დადგებოდა; როცა დაზარალებულის პირადი პასუხისმგებლობით გამოწვეულმა თვითსაფრთხემ გამოიწვია შედეგი, როცა პირველ მოქმედებასა და შედეგს შორის განხორციელდა დაზარალებულის – მესამე პირის ან დამნაშავეს ნებელობითი მეორე მოქმედება, რომლითაც ახალი დამატებითი საფრთხე შეიქმნა და ა.შ.

რაც შეეხება მკვლელობის სუბიექტური შედეგნილობის ელემენტს – დანაშაულის სუბიექტს, კანონმდებლობით განისაზღვრა ასაკი 14 წელი, რომლიდანაც პირი პასუხს აგებს ჩადენილი ქმედებისათვის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონმდებლობით სუბიექტის ასაკი განსაზღვრული იყო 12 წლით, რაც შემდგომში გაიზარდა 14 წლამდე. ჩვენი აზრით, 12 წლის მოზარდს შეგნებული აქვს, რომ სიცოცხლის მოსპობა არის წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ამასთან მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად ან პირთა ჯგუფთან ერთად ხელყოს ადამიანის სიცოცხლე ან საფრთხე შეუქმნას, რის გამოც მიგვაჩნია, რომ სუბიექტის ასაკის 12-დან 14 წლამდე გაზრდა გაუმართლებელია. რაც შეეხება განზრახვას, ქმედება შესაძლებელია ჩადენილ იქნეს განზრახვის ორივე სახით – როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. დასასრულ, მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციასთან მიმართებაში ვიზიარებთ მეცნიერ ს. ბოროდინის პოზიციას, რომლის თანახმად, მცდელობა სახეზეა მაშინ თუ დამნაშავე ქმედებას პირდაპირი განზრახვით სჩადის და მისი ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ მიაღწევს შედეგს, ხოლო არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებისას მოქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ფაქტობრივად დამდგარი შედეგით. აქედან გამომდინარე, მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დამნაშავე მოქმედებდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.²

ამდენად, განზრახ მკვლელობა ნიშნავს სხვისი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ მოსპობას პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით, რომელიც ჩადენილია მოქმედებით ან უმოქმედობით. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს

¹ იქვე, გვ.106.

² С.В. Бородин. „Ответственность за убийство: квалификация и наказание по Российскому праву“, 1994 г., стр 20.

ედღენება სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 თავი. აღნიშნულ თავში განზრახ მკვლელობები სამ სახეობად იყოფა, კერძოდ: შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად, განზრახ მკვლელობად და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეტად რთულია ერთ ნაშრომში ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მკვლელობის ყველა სახის დახასიათება. აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ნაწილს, კერძოდ: დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობებს, მათ შორის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობას; არასრულწლოვნის და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განზრახ მკვლელობას და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. როგორც პრაქტიკოსი მუშაკი, შევეხები ჩემს საგამოძიებო და სამოსამართლო პრაქტიკაში არსებულ მაგალითებს, რომლებიც შეეხება წინასწარი შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობას და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას.

წინასწარი შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობის სპეციფიკური ნიშნების საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითს საგამოძიებო პრაქტიკიდან: 1998 წელს გ. დ., რომელიც მუშაობდა თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, იქორწინა მასზე 8 წლით უმცროს, 19 წლის ს. კ.-ზე. ახალშეუღლებულები საცხოვრებლად გადავიდნენ რუსთავში მდებარე გ.დ-ს ბინაში, სადაც ასევე ცხოვრობდა ამ უკანასკნელის დედა მ. დ. ვინაიდან ს. კ. არ მუშაობდა, მეუღლის სამსახურიდან დაბრუნებამდე მარტო რჩებოდა დედამთილთან. უნდა აღვნიშნოს ის გარემოება, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ს.კ. სამკურნალოდ დაჰყავდა გ.დ-ს, რადგან ს.კ. არ ორსულდებოდა. დროთა განმავლობაში რძალ-დედამთილს შორის, სხვადასხვა ყოფით საკითხებთან დაკავშირებით, დაიძაბა ურთიერთობა, რამაც საბოლოო ჯამში კონფლიქტური ხასიათი მიიღო. არც ერთი არ ეუბნებოდა გ.დ-ს არსებული კონფლიქტის შესახებ. გ.დ. ამჩნევდა მეუღლესა და დედის დაძაბულ ვითარებას და ამ უკანასკნელს შეეკითხა თუ რა იყო ამის მიზეზი. დედამ კონფლიქტში რძალი დაადანაშაულა. ამის ნიადაგზე ცოლ-ქმარს შორის წარმოიქმნა კონფლიქტური სიტუაცია, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო. მორიგი კონფლიქტის დროს ს.კ-მ დატოვა მეუღლის სახლი და დაბრუნდა თბილისში დედისა და ძმის ბინაში. შინ დაბრუნებულმა გ.დ-მ მეუღლე რომ ვერ ნახა, ს.კ-ს სახლში დასაბრუნებლად გაემართა სიდერის ბინაში, სადაც სიდერისა და ცოლისძმის თანდასწრებით ესაუბრა ს.კ-ს, დაჰპირდა, რომ შემდგომში კონფლიქტი აღარ ექნებოდა და სთხოვა სახლში დაბრუნება. მეუღლის სიტყვებით დაიმედებული ს.კ. კვლავ რუსთავში დაბრუნდა. ჩატარებულმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო და ს.კ. დაორსულდა. გარკვეული დროის შემდეგ კონფლიქტებმა კვლავ იჩინა თავი და ს.კ. საბოლოოდ დაბრუნდა დედის სახლში. გ.დ-მ კვლავ მიაკითხა მეუღლეს და თხოვა დაბრუნება, რაზედაც მან კატეგორიული უარი განუცხადა. მიუხედავად მიღებული პასუხისა, გ.დ-მ უთხრა, რომ საბოლოო პასუხის მისაღებად მეორე დღეს მიაკითხავდა. მართლაც, მეორე დღით გ.დ. გაეთავისუფლა სამსახურიდან და შინ ნაქონი „მაკაროვის“ სისტემის ტაბელური პისტოლეტით შეიარაღებული გაემართა მეუღლის სანახავად. ამ დროს ბინაში იმყოფებოდა ს.კ. და მისი ძმა. მეუღლეები განმარტოვდნენ მისაღებ ოთახში, ხოლო ცოლისძმა სამზარეულოში იყო. გ.დ-ის თხოვნისა და დაპირების მიუხედავად ს.კ-მ უარი განაცხადა მასთან თანაცხოვრებაზე და მეუღლის ბინაში დაბრუნებაზე. აღნიშნულის საპასუხოდ გ.დ-მ განუცხადა „რა

გაეწეობა, მე წავედი“, გამოვიდა მისადები ოთახიდან და გაემართა გასასვლელი კარისკენ. იმ მომენტში, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე სახლიდან გასვლას აპირებდა, კარებში მდგომმა დაუძახა მეუღლეს, რომ საბოლოოდ სურდა მასთან გამომშვიდობება. როდესაც ს.კ. მიუახლოვდა მას, გ.დ-მ მარცხენა ხელი კისერზე მოხვია, ხოლო მარჯვენა ხელით საქამრიდან ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მიბჯენით ესროლა ჯერ ნიკაპის არეში ქვემოდან ზემოთ, ხოლო შემდეგ გულის მიდამოში. მიღებული ჭრილობებისგან ს.კ. ადგილზე გარდაიცვალა, გ.დ. კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. მაგრამ შემდეგ ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს. გ.დ-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე კვალიფიკაციით დადგა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი.

მიცემულ ჩვენებაში ბრალდებულმა მიუთითა, რომ მან არ იცოდა მეუღლის ორსულობის შესახებ, განმარტა, რომ მეუღლის მოკვლა არ უნდოდა და შეშინების მიზნით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, რის შემდეგაც ანერვიულებულს აუკანკალდა ხელი, შემთხვევით მოუხვდა თითი სასხლეტზე და მოხდა გასროლები. ის გარემოება, რომ მან არ იცოდა მეუღლის ორსულობის შესახებ დაადასტურა მისმა დედამ, როდესაც განაცხადა, რომ არც მისთვის და არც მისი შვილისათვის არ იყო ცნობილი რძლის ორსულობის შესახებ. თავის მხრივ, ს.კ-ს დედამ და ძმამ თქვეს, რომ ს.კ-ს ორსულობა ცნობილი იყო გ.დ-თვის. გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ს.კ აღმოჩნდა 6 კვირის ორსული. გამოძიების მიერ გაზიარებული არ იქნა ბრალდებულის ჩვენება არც იარაღიდან შემთხვევით გასროლის და არც ორსულობის არცოდნის შესახებ. ის გარემოება, რომ გ.დ-ს სასხლეტზე თითის ერთჯერადი გამოკვრის შედეგად შემთხვევით გაუვარდა იარაღი, რასაც შედეგად მოჰყვა ს.კ. გაუფრთხილებლობით სიკვდილი, არ იქნა გაზიარებული, რადგან „მაკაროვის“ სისტემის იარაღის კონსტრუქციისა და მიყენებული ჭრილობების ადგილმდებარეობის მხედველობაში მიღებით ცალსახად დადასტურდა გ.დ-ს მხრიდან ს.კ-ს განზრახ მკვლელობა. „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი არ არის ავტომატური და შეუძლებელია სასხლეტზე ერთჯერადი ზემოქმედებით მომხდარიყო ორი გასროლა. ამასთან, ჭრილობების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებში მიყენება ადასტურებდა გ.დ-ს მხრიდან ს.კ-ს განზრახ მკვლელობას. რაც შეეხება გ.დ-ს განმარტებას, რომ მისთვის უცნობი იყო მეუღლის ორსულობის შესახებ, ეს გარემოებაც უარყოფილ იქნა, რადგანაც საქმეზე დაკითხული ნეიტრალური მოწმის, გ.დ-ს მეზობლის ჩვენებით დადასტურდა, რომ გარდაცვალებამდე დაახლოებით თვენახევრის წინ მასთან სტუმრად იმყოფებოდა ს.კ., რომელიც სიხარულს ვერ მალავდა იმის გამო, რომ მალე შვილი შეეძინებოდა და ამის გამო ძალიან გახარებული იყო მისი მეუღლე. ამდენად, ნეიტრალური წყაროდან მიღებულმა მტკიცებულებამ დაადასტურა ის გარემოება, რომ გ.დ-სთვის ცნობილი იყო მეუღლის ორსულობის შესახებ.

ზემოაღნიშნული დანაშაულის განსხვავებული კუთხით შესაფასებლად განვიხილოთ იგივე შემთხვევა, იმ განსხვავებით, რომ ბრალდებულმა მკვლელობის მომენტში არ იცოდა, რომ ორსულ ქალს კლავდა. შეერაცხებოდა თუ არა ობიექტურად მას შედეგი. იმისათვის, რომ შედეგის ობიექტურად შერაცხვამდე მივიდეთ, აუცილებელია თავდაპირველად დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი დამნაშავის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში გ.დ-ს მიერ იარაღიდან გასროლას მოჰყვა შედეგი – ორსული მეუღლის სიკვდილი. აღნიშნულის შემდეგ შესაძლებელია ვიმსჯელოთ შედეგის ობიექტურ

შერაცხვაზე. მიზეზობრივი კავშირის განვითარების ჯაჭვიდან მნიშვნელოვან გადახრას ან შედეგის ობიექტური შერაცხვის სხვა გამომრიცხავ გარემოებებს არ აქვს ადგილი, კერძოდ ს.კ. ორსულად იქნებოდა თუ არა მისი სიკვდილი მაინც დადგებოდა. ამდენად, ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია გადავიდეთ ქმედების სუბიექტური შედგენილობის განხილვაზე ანუ დამნაშავის განზრახვის დადგენაზე. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში თუ გ.დ. შეგნებულად გულგრილად ეკიდებოდა მეუღლის ორსულობას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო თუ დარწმუნებული იყო, რომ მსხვერპლი არ იყო ორსულად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობა, ვინაიდან მკვლელობის ჩადენის მომენტში მას მაკვალიფიცირებელი ნიშანი – ორსულობა, შეცნობილი არ ჰქონდა.

განვიხილოთ ანალოგიური შემთხვევა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დამნაშავე არასწორად ფიქრობდა, რომ კლავდა ორსულ მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ს.კ. ბოროდინს თავის ნაშრომში¹ მოჰყავს მაგალითი რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან: სასამართლოს მიერ განხილულ იქნა ლ-ს ბრალდების საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა მასთან ინტიმურ კავშირში მყოფი შ-ს განზრახ მკვლელობაში. საქმის მასალების მიხედვით ლ. ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა შ-თან. მას სურდა, რომ ლ-ს მიეტოვებინა მეუღლე. ამ მიზნით მოატყუა ის და განუცხადა, რომ თითქოს ორსულად იყო. იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინა „პრობლემები“ სამსახურსა და ოჯახში, ლ-მ განიზრახა შ-ს განზრახ მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ტყეში დაპატიჟა შ. თითქოსდა სოკოების შესაგროვებლად და განახორციელა კიდევ საკუთარი განზრახვა. ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შ. ორსულად არ იყო. სასამართლომ ლ-ს მსჯავრი დასდო ორსული ქალის განზრახ მკვლელობაში. აღნიშნულ კვალიფიკაციას იზიარებს ავტორიც. მისი მოსაზრებით, ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით სსკ 108-ე, და სსკ მე-19 და 109-ე მუხლების მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არ იქნებოდა სამართლებრივად დასაბუთებული, ვინაიდან დამნაშავეს არ ჩაუდენია ორი დანაშაული. ავტორის აღნიშნულ შეფასებას ვერ დავეთანხმები, რადგანაც დამნაშავემ განიზრახა ორსული ქალის განზრახ მკვლელობა და შეეცადა განზრახვის სისრულეში მოყვანას, თუმცა მისი ნებისგან დამოუკიდებელი გარემოების გამო ვერ შეძლო დანაშაულის დასრულება, რის გამოც სახეზეა ორსული ქალის მკვლელობის მცდელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განზრახვას. ორსული ქალის მკვლელობის არც კაუზალობა და არც შედეგის ობიექტური შერაცხვა არ არსებობს, არამედ განხორციელდა არაორსულ მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა. ამდენად, განზრახვიდან გამომდინარე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მე-19 და 109-ე მუხლების მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ამასთან, დამნაშავემ რეალურად ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, კერძოდ სახეზეა ობიექტური შედგენილობის ორივე ელემენტი და დამნაშავის განზრახვა, რაც ქმედების სსკ 108-ე მუხლით დაკვალიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ამდენად მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით სსკ მე-19 და 109-ე მუხლების მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-10 მუხლით (მუხლები შესაბამისობაშია ქართულ კანონმდებლობასთან).

¹ С.В. Бородин. Ответственность за убийство: квалификация и наказание по Российскому праву, 1994 г., стр 78.

რაც შეეხება მკვლელობის მაკვალიფიცირებელ მეორე გარემოებას, კერძოდ უმწეო მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის დახასიათებას, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: უმწეო მდგომარეობა როდი ნიშნავს მხოლოდ ისეთ მდგომარეობას, როცა ადამიანს არ შეუძლია ადგომა, დიდი ხნის ავადმყოფია, ინვალიდია და ა.შ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი თავისთავად უმწეო მდგომარეობაშია და იგი ქმედების დაკვალიფიცირებისას მხედველობაშია მისაღები, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დროის სხვადასხვა მონაკვეთში უმწეო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, მათ შორის უძლიერესი სპორტსმენი, მსოფლიოს ჩემპიონი ხელჩართულ ბრძოლაში, კრივში და სპორტის სხვა სახეობაში. ქმედების დაკვალიფიცირებისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მდგომარეობაში იყო მსხვერპლი დანაშაულის დაწყებიდან დასრულების მომენტამდე. თუ მკვლელი მძინარეს მიეპარება და შეიარაღებული თავზე დაადგება, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი აღმოჩნდება უმწეო მდგომარეობაში. უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს მძინარე ადამიანის გახით მოწამვლა, უგრძობლად მთვრალისათვის ყელის გამოჭრა, მკვლელობა უსინათლობის ან სმენის დაკარგვის გამოყენებით. მაგ., ყრუ-მუნჯს დამნაშავე მიეპარა ზურგიდან, ჩაარტყა თავში მძიმე საგანი და მოკლა. ასეთ შემთხვევაში უმწეობის გამოყენებაა სახეზე. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კომენტარების თანახმად, უმწეო მდგომარეობად მიიჩნევა ასევე ხანდაზმულის და მცირეწლოვნის განზრახ მკვლელობაც.¹ ქმედების უმწეო მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობად დასაკვალიფიცირებლად აუცილებელია, რომ დამნაშავეს შეცნობილი ჰქონდეს, რომ სხადის უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობას. მითითებული დანაშაულის ჩადენას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს პირის მძევლად აყვანასთან ერთობლიობაში, რა დროსაც ქმედების დაკვალიფიცირება მოხდება ორივე მუხლით, როგორც მძევლად ხელში ჩაგდება და უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობა.

მკვლელობის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად კანონმდებლობით დადგენილია ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა. ამგვარი მიდგომა სამართლიანია, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მკვლელობის მძიმე შედეგს, რამდენიმე ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას, ასევე დამნაშავე პირის გაზრდილ საშიშროებას. საქართველოს სსკ 109-ე მუხლის მესამე ნაწილის “ა” ქვეპუნქტით კვალიფიცირდება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა, თუ პირის მკვლელობა მოცული იყო ერთიანი განზრახვით და, როგორც წესი, მკვლელობა ერთდროულად იყო ჩადენილი. ანუ ორი ან მეტი პირის მკვლელობაში იგულისხმება ორი ან მეტი ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან/და დაზარალებულის მკვლელობა, ჩადენილი პირველი მსხვერპლის მკვლელობიდან დროის მცირე მონაკვეთში. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მკვლელობის ამ პუნქტით კვალიფიკაციისათვის დამნაშავე უნდა მოქმედებდეს, როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი განზრახვით. ამიტომ, თუ მეორე მკვლელობა ერთიანი განზრახვით არ უკავშირდება პირველს, მისი დაკვალიფიცირება „ა“ პუნქტით მცდარი იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში „არაერთგზისობის“ ცნების შეცვლის შემდეგ (რაც ცვლილებამდე არ ითვალისწინებდა იმავე ქმედებისათვის ნასამართლობის არსებობას), შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ ამ მკვლელობამ მოიცვას ორი ან

¹ Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации. Скуратов, Лебедев, 1998 г., ст. 228.

მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა ერთიანი განზრახვის გარეშე, თუ პირი ნასამართლები არ არის წინა მკვლელობის გამო.

აღნიშნული მოსაზრება არ იქნება სამართლებრივად სწორი, რადგან ამ შემთხვევაში ერთიან განზრახვაზე უარის თქმა, ნიშნავს უარის თქმას ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი (გარდა თანამდევი შედეგისა) პირს ბრალად შეეცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავს მისი განზრახვა.

აქედან გამომდინარე, თუ ადგილი ექნება ორ ან მეტ მკვლელობას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა და ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით არ იყო მოცული, მაშინ თითოეულ მკვლელობას ცალკე კვალიფიკაცია მიეცემა და ყოველი მათგანი დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ 108-ე მუხლით.

ერთი ადამიანის მკვლელობა და მეორის მკვლელობის მცდელობა არ განიხილება, როგორც ორი პირის მკვლელობის დამთავრებული დანაშაული. ამ შემთხვევაში დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 108-ე მუხლით და სსკ მე-19 და 109-ე მუხლების მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. სასამართლოები გარკვეულ შემთხვევაში ასეთ მკვლელობას მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აკვალიფიცირებს, რაც არამართებულია. ამასთან, არამართებულად მიგვაჩნია ორი პირის მკვლელობად ისეთი ქმედების დაკვალიფიცირება, როცა ყაჩაღური თავდასხმისას ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დამნაშავე, დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის დაძლევის განზრახვით სხადის ერთ-ერთის განზრახ მკვლელობას, ხოლო მეორე დაზარალებულს სიცოცხლისათვის უსაფრთხო მიდამოში (ქვედა კიდურის არეში) აყენებს ჭრილობას.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1999 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით,¹ უ. აბულაძეს (ვინაობა არ შეესაბამება რეალურს) მსჯავრი დაედო იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად სხვისი ქონების დაუფლების მიზნით ბინაში შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა და დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

მისი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 1999 წლის 15 აპრილს დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე უ. აბულაძე, რომელიც შეიარაღებული იყო 9 მმ ცეცხლსასროლი იარაღით, თანამზრახველებთან: ზ. სირაძესთან, მ. ესებუასა და ელ. ღვთაძესთან ერთად ვაზ-2107 მარკის ავტომანქანით მივიდნენ ვ. ძაგანიას საცხოვრებელ ბინასთან. მათ მოილაპარაკეს, რომ ვ. ძაგანიას ბინაში ყაჩაღურად შეიჭრებოდნენ აბულაძე და სირაძე, ხოლო ესებუა და ღვთაძე ქვემოთ დაელოდებოდნენ მათ. ამ დროს ბინაში, ვ. ძაგანიას გარდა, იმყოფებოდნენ მისი მეუღლე ნ. დავითაშვილი და შვილი ზ. ძაგანია. თავდამსხმელების მისვლის მომენტში ბინის შესასვლელი კარი გააღო ზ. ძაგანია, რომელიც აპირებდა სამსახურში წასვლას. კარის გაღებისთანავე აბულაძე და სირაძე შეცვივდნენ მისადებ ოთახში. ძაგანია ბინაში მყოფ სირაძეს წინააღმდეგობა გაუწია, ცდილობდა ბინიდან მის გაძევებას.

ამ დროს აბულაძემ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მდგომი ზ. ძაგანია ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მარჯვენა ბარძაყის არეში, რითაც მიაყენა ჯანმრთელობისთვის ნაკლებად მძიმე დაზიანება. მიყენებული ჭრილობის შედეგად ეს უკანასკნელი იატაკზე

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე. 2000 წ.

დაეცა. გაანეიტრალა რა ზ. ძაგანიას წინააღმდეგობა, აბულაძემ აღარ განახორციელა მეორე გასროლა დაჭრილის მიმართულებით. ხმაურზე სამზარეულოდან მისაღებში გამოვიდა ვ. ძაგანია, რომელმაც დაინახა იატაკზე დავარდნილი გასისხლიანებული შვილი. გაემართა აბულაძის დასაკავებლად. ამ უკანასკნელმა ვ. ძაგანიას სამჯერ ესროლა პისტოლეტიდან და მიაყენა ჭრილობები გულ-მკერდისა და სხეულის სხვა ადგილებში, რის შედეგადაც ვ. ძაგანია ადგილზევე გარდაიცვალა. აბულაძე და სხვა პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აბულაძემ გამოძიებისათვის თავის არიდების მიზნით ყალბი პასპორტის გამოყენებით დატოვა საქართველო და მიიმალა რუსეთის ფედერაციაში.

განაჩენი დაუსაბუთებელია ვ. ძაგანიას მკვლელობისა და ზ. ძაგანიას ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდებში. რადგან მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეს განზრახვის, დანაშაულის ჩადენის ხერხის და ფორმის მხედველობაში მიღებით მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობად.

სასამართლომ ჩათვალა, რომ აბულაძეს წინასწარ ჰქონდა განზრახული მამა-შვილ ძაგანიების განზრახ მკვლელობა, რაზედაც მეტყველებს შეიარაღებული აბულაძის მიერ ყაჩაღობის ჩადენა ბინაში შეღწევით. აბულაძეს ბინაში შეღწევის დროს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბინის მესაკუთრის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მართალია არ სურდა მისი განზრახ მკვლელობა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგის დადგომას. მამა-შვილ ძაგანიების წინააღმდეგობის გაწევის მომენტში ამ უკანასკნელმა ერთიანი განზრახვით ჩაიდინა მათი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა. აბულაძის ქმედებას მიეცა დაუმთავრებელი დანაშაულის შეფასება, რადგანაც მან განახორციელა განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო ორი პირის განზრახ მოსაკლავად, მაგრამ მისი ნებისაგან დამოუკიდებლად დანაშაული ვერ მიიყვანა ბოლომდე.

ამდენად სასამართლომ ჩათვალა, რომ აბულაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა დამამძიმებელ გარემოებებში ძაგანიების განზრახ მკვლელობის მცდელობას, რის გამოც ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 109-ე მუხლების მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, როგორც განზრახ ორი პირის მკვლელობის მცდელობა.

ვფიქრობ, რომ სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნა არ შეეფერება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მიმაჩნია, რომ აბულაძის ქმედება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების გარდა უნდა დააკვალიფიცირდეს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, კერძოდ სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად და სსკ 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობა ჩადენილი სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით.

აღნიშნული შეფასება დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით: სუბიექტური მხრივ აბულაძეს ამოძრავებდა ზ. ძაგანიას წინააღმდეგობის დაძლევის და ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზანი, რის გამოც ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთჯერადი გასროლით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა ზ. ძაგანიას. აბულაძეს რომ დაზარალებულის განზრახ მკვლელობის სურვილი ჰქონოდა, ჭრილობებს მიაყენებდა სიცოცხლისათვის სახიფათო მიდამოებში – გულ-მკერდის ან თავის არეში. დაზარალებულისათვის მხოლოდ სხეულის დაზიანების განზრახვა დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ

აბულაძეს შესაძლებლობა ჰქონდა კიდევ განეხორციელებინა გასროლა ზ. ძაგანიას მისამართით, მაგრამ არ განახორციელა, რაც ცალსახად მიანიშნებს დამნაშავეს მხრიდან დაზარალებულისათვის მხოლოდ სხეულის დაზიანების მიყენების განზრახვაზე. რაც შეეხება აბულაძის ქმედებას ვ. ძაგანიას მიმართ, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა დაზარალებულის წინააღმდეგ დამნაშავეს მხრიდან მისი განზრახ მკვლელობის სურვილი, რაც მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე. აღნიშნული დასტურდება ცეცხლსასროლი ჭრილობის ლოკალიზაციითა და რაოდენობით. კერძოდ, ახლო მანძილიდან იარაღიდან სამი გასროლა გულ-მკერდის არეში ცალსახად მიანიშნებს აბულაძის მხრიდან, ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, დაზარალებულის პირდაპირი განზრახვით მკვლელობაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში აბულაძის ქმედებაში გამოირიცხება ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა. მიმაჩნია, რომ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ და 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით.

ვთვლით, რომ სასამართლომ შეცდომა დაუშვა ასევე ქმედების სუბიექტური შედგენილობის შეფასების სტადიაზე, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 109-ე მუხლების მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის დასჯადობას. განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შედგენილობის განხორციელების ცოდნასა და ერთიანი განზრახვით ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის სურვილს. აბულაძეს მოცემულ შემთხვევაში ამოძრავებდა ზ. ძაგანიას წინააღმდეგობის დაძლევის სურვილი, მისთვის ჯანმრთელობის დაზიანებით, რაც გამოიხატა არასასიცოცხლო მნიშვნელობის მიდამოში ჭრილობის მიყენებით, აღნიშნული კი გამოირიცხავს ზ. ძაგანიას მკვლელობის განზრახვას. რაც შეეხება ვ. ძაგანიას სიცოცხლის მოსპობას, აბულაძეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ გულმკერდის არეში რამდენიმე გასროლას შეეძლო დაზარალებულის მოკვლა და სურდა ასეთი შედეგის დადგომა.

ქმედების ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობად დასაკვალიფიცირებლად აუცილებელია დამნაშავეს თავიდანვე ამოძრავებდეს ორი ან მეტი პირის ერთობლივად განზრახ მკვლელობის სურვილი, თუ ასეთი განზრახვა თავიდანვე არ არის სახეზე და დამნაშავეს ერთი პირის მკვლელობის შემდეგ აღედრა მეორე პირის მკვლელობის სურვილი, სახეზეა ორი დამოუკიდებელი მკვლელობა, რაც ცალ-ცალკე უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. ამდენად ვთვლი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა უგულებელყოფს აღნიშნულ შეფასებას და ქმედებას არასწორად აკვალიფიცირებს.

აღნიშნულის დასადასტურებლად განვიხილოთ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი.

აღნიშნული განაჩენით ვ. მამაცაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 109-ე მუხლების მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ხულიგნური ქვენაგრძნობით და ორი პირის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 01 საათზე, ვ. მამაცაშვილი ახლობლებთან – ვ. ხუროძესთან და ს. მოდებაძესთან ერთად იმყოფებოდა რუსთავში, გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორან „გემოში“, სადაც დალიეს ალკოჰოლური სასმელი. სუფრის დაშ-

ლის შემდეგ ვ. მამაცაშვილი მარტო გამოვიდა რესტორნიდან და ახლობლების მოლოდინში ავტომანქანების სადგომთან გაჩერდა. ამ დროს რესტორნიდან გამოვიდნენ მისთვის უცნობი პირები – ზ. ბეგაშვილი და ნ. შავაძე. მთვრალმა ვ. მამაცაშვილმა მოიხმო ზ. ბეგაშვილი და მიახლოებისთანავე წინასწარ მომარჯვებულნი დანა, ხულიგნური ქვენაგრძნობით, მოკვლის მიზნით, ორჯერ ჩაარტყა მუცლისა და გულ-მკერდის არეში, რითაც მიაყენა ჯანმრთელობისთვის მძიმე დაზიანება. აღნიშნულის დანახვისთანავე ზ. ბეგაშვილთან დასახმარებლად მიიბრინა ნ. შავაძემ. ვ. მამაცაშვილმა მასაც ორჯერ ჩაარტყა დანა გულ-მკერდის უკანა ნაწილში და მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით: მარცხენა მხარეს – წელის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა და გულ-მკერდის მარცხენა მხარეს – ნაკვეთი ჭრილობა, არშემავალი პლევრის ღრუში. ვ. მამაცაშვილმა განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში, რადგან დაზარალებულების ყვირილზე რესტორნიდან გამოვიდნენ იქ მყოფი პირები. ვ. მამაცაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მაგრამ მალევე დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იარაღით ხელში. ზ. ბეგაშვილი და ნ. შავაძე მოათავსეს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საავადმყოფოში და სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენის შედეგად გადაურჩნენ სიკვდილს. ვფიქრობთ, რომ სასამართლოს მიერ ქმედების შეფასება არ გამომდინარეობდა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, რომლის ანალიზი არ იძლევა მოცემული ქმედების სასამართლოს მიერ დაკვალიფიცირების საფუძველს. საქმეში არსებული მასალები, მათი სრულად გამოკვლევისა და ობიექტური ანალიზის პირობებში, იძლევა მტკიცების საგნის ყველა გარემოების დადგენის შესაძლებლობას და ამის საფუძველზე ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭებას.

იმისათვის, რათა სწორი შეფასება მიეცეს ქმედებას, აუცილებელია მისი ობიექტური შედგენილობის დადგენა, კერძოდ საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და ამის საფუძველზე დამნაშავეს საბოლოო განზრახვის ან/და გაუფრთხილებლობის არსებობა-არარსებობის საკითხის გარკვევა. განვიხილოთ ობიექტური ფაქტორები არსებული მტკიცებულებების ანალიზის მეშვეობით, კერძოდ დაზარალებულებმა მიუთითეს, რომ რესტორანში ისხდნენ მუსიკოსების ოთახში, სადაც ხალხი მოძრაობდა, მაგრამ ვინმესთან შელაპარაკებას ადგილი არ ჰქონია. რესტორანში ვ. მამაცაშვილის თანმხლებმა ვ. ხუროძემ განმარტა საპირისპირო – მუსიკოსების ოთახში შესულს, მუსიკის შეკვეთასთან დაკავშირებით, უთანხმოება მოუვიდა ზ. ბეგაშვილთან. ეს უკანასკნელი ძალიან აგრესიული იყო და ამიტომ მოხდა ყოველივე. რესტორნის მუსიკოსმა გ. დადალაძემ განმარტა, რომ ვ. მამაცაშვილი წავიდა ოთახში მყოფი ბიჭებისკენ და ერთმანეთს რაღაც უთხრეს, საუბარი 10–15 წუთს გაგრძელდა, მაგრამ ხმაურში მისი შინაარსი ვერ გაიგო. დაზარალებულ ზ. ბეგაშვილის ჩვენების საპირისპიროდ, რომ მას ვ. მამაცაშვილი რესტორანში არც კი უნახავს, მოწმე გ. დადალაძემ განმარტა, რომ ოთახიდან გამოსვლის შემდეგ ზ. ბეგაშვილსა და მის თანმხლებ პირებთან ვ. მამაცაშვილი ორ მეტრში იდგა, თუმცა მუსიკის გამო ვერ გაიგო რაზე საუბრობდნენ. ავტოსადგომის დარაჯმა ი. ფაცაცამ აღნიშნა, რომ მუსიკოსების ოთახთან მისთვის უცნობი 5–6 ბიჭი საუბრობდა. გარდა ამისა, მოტივის დასადგენად მნიშვნელობა ჰქონდა ვ. მამაცაშვილის დამკავებულ პოლიციელთა ჩვენებებს, რომელთაც სათანადო ყურადღება არ მიექცა. მათ აღნიშნეს, რომ ვ. მამაცაშვილი ადევლებული იყო, დანა დააგდო და იძახდა დედის გინება არ შევარჩინეო. ამდენად იკვეთება, რომ მსჯავრდებულსა და ერთ-ერთ დაზარალებულს შორის ჯერ კიდევ

რესტორანში წარმოიშვა კონფლიქტური ვითარება სიტყვიერი შეურაცხყოფის – დედის გინების გამო და ვ. მამაცაშვილმა დანა გამოიყენა შურისძიების მოტივით, რის გამოც ვთვლით, რომ ადგილი აქვს არა ხულიგნურ ქვენაგრძნობას, არამედ მოქმედებას შურისძიების მოტივით. ზოგჯერ პირი შესაძლოა მოქმედებდეს შურისძიების მოტივით, თუმცა ობიექტურად ამის საბაბი არ არსებობდეს (შეცდომით ჩათვალოს, რომ მას შეაგინეს), ასეთ შემთხვევაშიც კი მატერიალური კანონის სწორად გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნებს აქვს, რომელთა უტყუარად დადგენას ემსახურება ქმედების ობიექტური მხარის ნიშნები.

ამდენად, ვ. მამაცაშვილს ამოძრავებდა შურისძიების მოტივი და ზ. ბეგაშვილის მიმართ მისი ქმედების ხულიგნური ქვენაგრძნობით ანუ უმნიშვნელო საბაბით ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირება არ მიგვაჩნია მართებულად. მკვლელობის მოტივი იყო არა უმნიშვნელო საფუძველი, არამედ შურისძიება, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფით (დედის გინებით). ამასთან, დაზარალებულ ბეგაშვილზე მიყენებული ჭრილობების ლოკალიზაცია და ხასიათი აშკარად მეტყველებს მამაცაშვილის პირდაპირ განზრახვაზე, კერძოდ მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ თავისი მოქმედებით – დანის დარტყმით შესაძლებელია სიცოცხლე მოესპო ბეგაშვილისათვის და სურდა კიდევ ამ შედეგის დადგომა, თუმცა მისი ნებისგან დამოუკიდებელი გარემოების გამო (დროული სამედიცინო ჩარევა) ვერ აღასრულა ჩანაფიქრი, რის გამოც მისი ქმედება ბეგაშვილის მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა. რაც შეეხება მისი ქმედების შეფასებას ნ. შავაძის მიმართ, მიგვაჩნია, რომ მამაცაშვილს ამ უკანასკნელის განზრახ მკვლელობის სურვილი წარმოექმნა მას შემდეგ, რაც შავაძე დასახმარებლად გაემართა უკვე დაჭრილი ბეგაშვილისაკენ, რაც იმთავითვე გამორიცხავს ერთიანი განზრახვით (ორი პირის მკვლელობას) მამაცაშვილის მოქმედებას, რის გამოც მისი ქმედება შავაძის მიმართაც უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 108-ე მუხლებით. სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნების დადგენა. ცალკეულ შემთხვევებში პირის განზრახ ქმედებას შესაძლოა არც მოჰყვეს შედეგი (ადამიანს ასცდეს ნასროლი ტყვია ან მოქნეული დანა, ან/და დანის დარტყმის შედეგად მიიღოს სხეულის მსუბუქი დაზანება), მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ქმედების შედეგის მიხედვით დაკვალიფიცირების საფუძველი. მართლსაწინააღმდეგო შედეგი განზრახ დანაშაულებზე ვერ იქნება ქმედების სამართლებრივად სწორად შეფასების კრიტერიუმი. მოცემულ შემთხვევაში უნდა გარკვეულიყო განზრახვის შინაარსი, კერძოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებში ორ-ორჯერ დანის დარტყმისას ვ. მამაცაშვილი ითვალისწინებდა თუ არა დაზარალებულების სიკვდილის შესაძლებლობას, სურდა თუ არა ეს შედეგი და თუ არ სურდა–შეგნებულად ხომ არ უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. დადებით შემთხვევაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხომ არ აღედრა მსჯავრდებულს ნ. შავაძისა და ზ. ბეგაშვილის მოკვლის განზრახვა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, სახეზეა პირდაპირი განზრახვით თავდაპირველად ზ. ბეგაშვილის, ხოლო შემდგომ შავაძის განზრახ მკვლელობის სურვილი.

გვინდა მოვიყვანოთ მაგალითი საგამოძიებო პრაქტიკიდანაც: 2002 წლიდან ნ. ჩხიკვაძე ქორწინებაში იმყოფებოდა გ. დანელიასთან. წყვილს იმავე წელს შეეძინათ შვილი. ნ.

ჩხიკვაძის მეგობარი ს. დარჩია პერიოდულად სტუმრობდა დანელიების ოჯახს. გ. დანელია თავიდანვე უარყოფითად განეწყო ს. დარჩიას მიმართ, ვინაიდან არ მოწონდა მისი მხრიდან მათი ოჯახის საქმეებში ჩარევა და დარჩიას მიერ ჩხიკვაძისათვის სხვადასხვა რჩევის მიცემა ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებით. დარჩიას მიერ ჩხიკვაძისათვის მიცემულმა მორიგმა რჩევამ კონფლიქტი გამოიწვია დანელიასა და ჩხიკვაძეს შორის. შეიტყორა, რომ კონფლიქტის მიზეზი იყო საოჯახო საქმეებში დარჩიას ჩარევა, დანელიამ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა მას. განაწყენებულმა დარჩიამ მომხდარის შესახებ უამბო თავის შეყვარებულს დ. იმნაძეს, რომელიც საქმეში გარკვევის მიზნით ტელეფონით დაუკავშირდა დანელიას. მათ შორის წარმოებული სატელეფონო საუბარი კონფლიქტში გადაიზარდა, რის შემდეგაც დ. იმნაძემ საქმის გარჩევის მიზნით, იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე შეხვედრა დაუნიშნა დანელიას ლოტკინის მთაზე. დანელია შეიარაღდა „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც უკანონოდ ატარებდა და გაემართა ლოტკინის მთაზე იმნაძესთან შესახვედრად. ადგილზე მისვლისას იმნაძის გარდა მას დახვდნენ ამ უკანასკნელის მეგობრები – ზ. ხოტივარი და კ. ნინუა. ახალგაზრდებს შორის დაწყებული საუბარი გადაიზარდა ურთიერთშეურაცხყოფაში. დანელიაზე ფიზიკურად ძლიერმა იმნაძემ დაუწყო მას ცემა სხეულის სხვადასხვა მიდამოში. ამავდროულად იმნაძეს დაეხმარენ იქ მყოფი მეგობრები და მათ ერთობლივად დაუწყეს დანელიას ლანძღვა-გინება და ცემა. თავის მხრივ, დანელიაც აგინებდა მითითებულ პირებს, ჰქონდა შემთხვევის ადგილის დატოვების შესაძლებლობა, მაგრამ არ მიატოვა ადგილი, ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და ჩხუბის დროს ერთი გასროლით იმნაძეს თავის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. დაინახეს რა ცეცხლსასროლი იარაღი, ხოტივარი და ნინუა შეეცადნენ შემთხვევის ადგილიდან გაქცევას, დანელიამ გაქცეულ ნინუას დაახლოებით 7–10 მეტრი მანძილიდან ერთჯერადად ესროლა და დაჭრა ბარძაყის არეში და მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება, ნინუა დაეცა და გაუნძრევლად იწვა, რათა დანელიას ის გარდაცვლილი გონებოდა და აღარ მოეხდინა მისი მისამართით დამატებითი გასროლა. რაც შეეხება ხოტივარს, მან გაქცევით უშველა თავს. თავის მხრივ, დანელიაც შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. რამდენიმე დღეში დანელია ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს. დანელიას წარედგინა ბრალი საქართველოს სსკ 108-ე, მე-19 და 109-ე მუხლების მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. სასამართლო პროცესზე განსახველმა განმარტა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ თავდაცვის მიზნით ჰქონდა და მიუთითა, რომ არც იმნაძის და არც ნინუას მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია და აუცილებელი მოგერიების მიზნით გამოიყენა, რადგან სამი ადამიანის თავდასხმისგან იცავდა თავს. ბრალდებულის პოზიცია არ იქნა გაზიარებული. ცეცხლსასროლი იარაღით „საქმის გარჩევაზე“ წასვლა არაპირდაპირი განზრახვით მაინც მიუთითებს იმნაძის მკვლელობის განზრახვაზე, რადგან შეიარაღებულ დანელიას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების მკვლელობის შესაძლებლობას და თუ არ სურდა ასეთი შედეგი, შეგნებულად მაინც უშვებდა მის დადგომას. დაზარალებულმა ნინუამ განმარტა, რომ დანელიამ ახლო მანძილიდან ესროლა იმნაძეს, რის შემდეგაც მან შეშინებულმა სცადა გაქცევა და სწორედ ამ დროს მოახდინა მისი მისამართით გასროლა დანელიამ, რაც მიუთითებს შურისძიების მოტივით, ერთიანი განზრახვით და დროის მცირე მონაკვეთში როგორც იმნაძის, ისე ნინუას მკვლელობის განზრახვაზე.

არცთუ იშვიათად პრაქტიკაში მკვლევლობის საქმეებზე ადგილი აქვს შეცდომას დანაშაულის ობიექტში.

ამ საკითხის შესწავლისას გაგვიჩნდა ჩვენებური ხედა. თავდაპირველად განვიხილოთ ქმედება, როდესაც დამნაშავე შეცდომას უშვებს პიროვნებაში. მაგ., ა-ს შური უნდოდა ეძია გამომძიებელ დ-ზე, რომელმაც დააკავა ის დანაშაულის ჩადენის მომენტში. მკვლევლობის განზრახვით შევიდა გამომძიებლის საცხოვრებელი სახლის ეზოში, სიბნელეში ფანჯრის მიღმა მდგომი ადამიანის სილუეტი დაინახა და ვინაიდან დ. მარტო ცხოვრობდა, ეგონა, რომ სახლში მარტო იქნებოდა. ა-მ მოკვლის განზრახვით ესროლა ადამიანის სილუეტს, მისი წარმოდგენით დ-ს, რომელიც სინამდვილეში დ-ს მეგობარი ნ. აღმოჩნდა. დ. ამ დროს სახლში საერთოდ არ იყო. მიღებული ჭრილობისგან ნ. ადგილზე გარდაიცვალა. ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია პროფ. მ. ტურავას მოსაზრება, რომლის თანახმად, მიუხედავად შეცდომისა და არასასურველი პირის მოკვლისა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით. პიროვნებაში შეცდომისა და ობიექტში შეცდომის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგს: რეალურად ხელყოფილი და ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის ხელყოფაც იყო განზრახული, არის თუ არა თანაბარი სამართლებრივი ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთე. თუ ორივე ობიექტს თანაბარი სამართლებრივი ღირებულება აქვს (მაგ., შეცდომაა დაშვებული პიროვნებაში, კერძოდ ერთი პირის მაგივრად შეცდომით იქნა მოკლული სხვა პირი), ქმედების კვალიფიკაცია ხდება როგორც დამთავრებული განზრახი მკვლევლობა. მოცემულ შემთხვევაში თუ ქმედებას დავაკვალიფიცირებთ, როგორც გამომძიებლის მეგობრის განზრახ მკვლევლობას, არ იქნება მართებული, ვინაიდან პასუხისმგებლობას ვაკისრებთ ისეთი ქმედებისათვის, რაც დამნაშავეს არ ჰქონდა განზრახული, რადგანაც, მოქმედების ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მისი ქმედება მიმართული იყო გამომძიებლის განზრახ მკვლევლობისკენ და არა მისი მეგობრის სიცოცხლის მოსპობისკენ. მოცემულ შემთხვევაში უპირატესი ძალა უნდა მიენიჭოს დამნაშავეს განზრახვას და არა დამდგარ შედეგს.¹

ზემოაღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, დამნაშავეს ქმედება გამომძიებლის მეგობრის სიცოცხლის ხელყოფის ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით, როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რადგან გამომძიებლის მეგობრის სიცოცხლის ხელყოფას არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა. რაც შეეხება გამომძიებლის განზრახ მკვლევლობის მცდელობას, დამნაშავეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 109-ე მუხლების მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, როგორც განზრახ მკვლევლობის მცდელობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. მან განახორციელა ქმედება – გასროლა იარაღიდან, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად – გამომძიებლის განზრახ მკვლევლობისთვის, მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ქართულ სისხლის სამართალში აღიარებულია დებულება იმის შესახებ, რომ პიროვნების შეცდომით მოკვლა ზეგავლენას ვერ მოახდენს პასუხისმგებლობაზე, ვინაიდან ერთი ადამიანის სიცოცხლეს, სამართლებრივი თვალსაზრისით, იგივე ღირებულება აქვს, როგორც მეორის სიცოცხლეს.

¹ მერაბ ტურავა. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. 2013 წ., გვ. 156.

რაც შეეხება სხვადასხვა ღირებულების სამართლებრივ სიკეთეს, მაგ., ტყვია აცდა ადამიანს და მოკლა ხარი – ასეთ შემთხვევაში შეცდომას კვალიფიკაციისათვის აქვს მნიშვნელობა. კერძოდ, იქნება განზრახი მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობითი დანაშაული იმ ობიექტთან მიმართებაში, რომელიც რეალურად იქნა ხელყოფილი, მოცემულ შემთხვევაში სხვისი ქონება – ხარი. თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იქნება სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანება.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ისეთ შეცდომაზე, რომელიც დაკავშირებულია მიზნის აცდენასა და გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფასთან.

შეცდომის ეს შემთხვევა სახეზეა მაშინ, როცა პირი გადაწყვეტს ხელყოს მის მიერ იდენტიფიცირებული სამართლებრივი სიკეთე, მაგრამ ქმედება მიზანს სცდება (განზრახი დანაშაულის მცდელობა) და სხვა გაუთვალისწინებელ ობიექტს ხელყოფს (გაუფრთხილებელი დანაშაული), რომლის დაზიანება ან განადგურება მიზნად არ ჰქონია. იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ მოვლენას უწოდებენ „აცდენილი ისრის“ თეორიას. აღნიშნული თეორია განსხვავდება ზემოაღნიშნული შეცდომისგან, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ან ობიექტის შეცდომასთან. სისხლის სამართალში ასეთ შემთხვევას ორმაგი კვალიფიკაცია ეძლევა. კერძოდ, ა-მ გადაწყვიტა ბ-ს მოკლა, მაგრამ მის მიერ გამოყენებული იარაღი ან საშუალება ასცდა დაზარალებულს და გამოიწვია გ-ს სიკვდილი. ამ დროს ა-ს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იდეალური ერთობლიობით, კერძოდ ბ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 108-ე მუხლებით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, ვინაიდან ა-ს მოქმედება უშუალოდ მიმართული იყო ბ-ს განზრახ მკვლელობისაკენ, ითვალისწინებდა მის სიკვდილს და სურდა ამ შედეგის დადგომა, მაგრამ მისი ნებისგან დამოუკიდებლად ვერ შეძლო მიზნის მიღწევა, ხოლო გ-ს მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, მას აზრადაც არ ჰქონდა.

სხვაგვარად შეფასდება ზემოაღნიშნულ მაგალითში ა-ს მოქმედება, თუ მას განზრახული ჰქონდა ბ-ს მკვლელობა, ხოლო გ-ს მკვლელობა მართალია არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. ქართული კანონმდებლობით, მკვლელობის დროს, როცა პირი ერთი ადამიანის მიმართ, რომელსაც ტყვია ასცდა მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორის მიმართ, რომელიც მოკვდა – არაპირდაპირი განზრახვით, უშვებდა ერთდროულად ორივე ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას, სახეზე გვექნება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 109-ე მუხლების მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვის არსებობა.

თუ ა-ს განზრახული ჰქონდა ან შეგნებულად უშვებდა ერთ-ერთის – ბ-ს ან გ-ს განზრახ მკვლელობას და ერთ-ერთი გარდაიცვლება, ასეთ შემთხვევაში ა-ს მოქმედებაში არ იქნება იდეალური ერთობლიობა და ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დამდგარი შედეგიდან გამომდინარე. მეორე პირის მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირება არ მიგვაჩნია სამართლებრივად დასაბუთებულად, ვინაიდან ა-ს განზრახვა მოიცავდა მხოლოდ ერთ-ერთი დაზარალებულის

სიკვდილს. ასეთად ქმედება დაკვალიფიცირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ა-ს მიერ გასროლილი ტყვია მოკლავდა ბ-ს და მის სხეულში გასვლის შედეგად მძიმედ დაჭრიდა გ-ს.

საინტერესოა ისეთი შემთხვევის კვალიფიკაცია, როდესაც დამნაშავე შეცდომით ახორციელებს მისთვის სასურველი ობიექტის ნაცვლად სხვა პირის სიცოცხლის ხელყოფას და სუბიექტურად, გაუფრთხილებლობით უსპობს სიცოცხლეს სასურველ ობიექტს. მაგ., ნ. გაბუნია, რომელსაც უნდოდა შურისძიების მიზნით მეზობლის მოკვლა, შევიდა მის ეზოში, სიბნელეში ფანჯრის მიღმა მდგომი ადამიანის სილუეტი დაინახა. ვინაიდან მეზობელი მარტო ცხოვრობდა, ეგონა, რომ სახლში მარტო იქნებოდა. გაბუნიამ ესროლა ადამიანის სილუეტს, მისი წარმოდგენით მეზობელს, რომელიც სინამდვილეში მეზობლის მეგობარი ქალი აღმოჩნდა, რომელსაც შემთხვევით აცდა ტყვია და მოხვდა მეზობელს, რომელიც ამ დროს გამოვიდა სამზარეულოდან. ამის შედეგად მეზობელი ადგილზე გარდაიცვალა.

მოცემულ შემთხვევაში ერთი მხრივ შეცდომაა პიროვნებაში, რადგან პირს სიბნელეში მეზობელი მის მეგობარ ქალში შეეშალა, ხოლო მეორე მხრივ მიზნის აცდენასთან გვაქვს საქმე, რადგან ტყვია მოხვდა არა მეგობარ ქალს, არამედ მის მეზობელს.

ამ კაზუსის პრობლემა იმაშია, რომ გაბუნიამ თავის განზრახვას – მეზობლის მკვლელობას შემთხვევით მაინც მიაღწია. სწორედ ამის გამო, თითქოს პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ე.წ. თანაბარდირებულების თეორიით და ეს შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამთავრებული განზრახ მკვლელობა, რაც არ იქნებოდა დასაბუთებული. ამ შემთხვევაში პირის დასჯა უნდა განხორციელდეს „აცდენილი ისრის“ თეორიის მიხედვით, როგორც დამთავრებული მკვლელობის მცდელობა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობასთან ერთობლიობაში.

მკვლელობის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე საპროცესო კანონმდებლობის სწორი მისადაგება ჩადენილი ქმედებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია დაცულ იქნეს ზოგადი ხასიათის შემდეგი პირობები, კერძოდ:

1. უნდა დადგინდეს როგორც დამნაშავეს პიროვნული მონაცემები, ისე მომხდარი დანაშაულის ყველა გარემოება, ვინაიდან კანონმდებლობის მიზანია დანაშაულებრივი ფაქტის ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლა. აღნიშნული მოთხოვნის უზუღუბელყოფა ხშირ შემთხვევაში იწვევს განზრახ მკვლელობის საქმეების არასწორ კვალიფიკაციას. მოცემული კატეგორიის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენის და საქმის უსაფუძვლო შეწყვეტის ან კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველს ხშირად ის გარემოებაა, რომ არ არის დადგენილი დანაშაულის მოტივი, არ არის გამოვლენილი დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. ამ სახის შეცდომების გამომწვევი მიზეზი საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ცალმხრივი მიდგომაა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, რა დროსაც სათანადო ყურადღება არ ეთმობა ისეთ გარემოებებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც ვერ ხერხდება საქმის ყველა მნიშვნელოვანი დეტალის დადგენა;
2. სწორი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დანაშაულებრივი ქმედების შემადგენელი ნაწილების როგორც ცალ-ცალკე შეფასება და შესწავლა, ისე მათი შეფასება ერთობლიობაში. მკვლელობის საქმეების არასწორი კვალიფიკაცია ზოგ შემთხვევაში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არ ხორციელდება გარემოე-

ბების ერთობლივად შესწავლა. მოცემული კატეგორიის საქმეებზე ძირითადად აქცენტი გადატანილია დანაშაულებრივ ქმედებასა და დამნაშავის პიროვნებაზე და არ ხდება დაზარალებულის მოქმედების დეტალური შესწავლა და სათანადო შეფასება;

3. სისხლისსამართლებრივი ნორმის შეფარდება უნდა განხორციელდეს მისი ზუსტი შინაარსიდან გამომდინარე, რაც ქმედების სწორი კვალიფიკაციის გარანტიაა. ამ დროს ზუსტად უნდა დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები და უნდა მოხდეს მათი შესაბამისობის დადგენა არსებულ კანონმდებლობასთან.

კანონის ნორმა არ შეიძლება იყოს კონკრეტული ხასიათის, მისი შინაარსი ზოგადია მაშინ, როცა დანაშაულებრივი ქმედება ატარებს კონკრეტულ ხასიათს. ამდენად, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა მოხდეს მათი ურთიერთთანხვედრა, რაც შექმნის დანაშაულის სრულად გახსნისა და მისი სწორი კვალიფიკაციის საფუძველს.

დასასრულ ვასკვნით, რომ დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს მთავარი პრინციპის – კანონიერების პრინციპის რეალიზაციას მაშინ, როცა დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია არღვევს კანონიერებისა და სამართლიანობის ზოგადსამართლებრივ პრინციპს. ამასთან, სასჯელის მიზნის მიღწევა მხოლოდ დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის შემთხვევაშია შესაძლებელი, რადგან ყოველ დამნაშავეს მის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისი სასჯელი შეეფარდოს. აქედან გამომდინარე, დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებათა დაცვის მყარი გარანტიაა.

(სტატიაში მითითებული ყველა გვარი გამოგონებულია)

ვლადიმერ ჯერეთელი,
პროფესორი

მკვლელობის საქმეთა კვალიფიკაციის ზოგიერთი ასპექტი

განხილულია მკვლელობის საქმეებზე მიზეზშედეგობრივი, ბრალეული და მართლწინააღმდეგობის გამომხატველი ზოგიერთი ქმედება, რომელიც სშირად გვხვდება როგორც პრაქტიკაში, ასევე სამართლის თეორიაში.

სტატიაში მოყვანილია მაგალითები საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც შეძლებისდაგვარად განზოგადებულია და გაკეთებულია დასკვნები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მკვლელობის საქმეთა სწორი კვალიფიკაციისთვის.

ყურადღება გამახვილებულია პირის სუბიექტურ მხარეზე, როდესაც საკმაოდ რთულია დამნაშავეს დაუდასტურდეს მისი განზრახვის რეალური არსი. მაგალითად, მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან მკვლელობის განზრახვის განსხვავება სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანებისაგან, რომელსაც შედეგად დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სტატია დაეხმარება როგორც პრაქტიკოს მუშაკებს, ასევე სტუდენტ-ახალგაზრდობას მკვლელობის საქმეთა ზოგიერთი თავისებურების განხილვისას.

VLADIMIR TZERETELI,
professor

SOME ASPECTS OF QUALIFICATION OF MURDER CASES

In the presented article: "Some aspects of qualification of murder cases" there are considered some of the actions expressing cause and effect relationship, guilt and unlawful acts in murder cases, that are often encountered in practice and there is also discussed in the theory of law.

This article contains examples from investigative and judicial practice, which are generalized and the conclusions are drawn for the proper qualification of murder cases.

The emphasis is laid on a person's state of mind, when it is difficult to confirm the offender's real intention; for example, intentional killing of a pregnant woman or distinguishing between the intention of killing and grave bodily injury resulting in the victim's death.

We believe, that the article will help the professionals and students to consider some of the peculiarities of murder cases.

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ КВАЛИФИКАЦИИ УБИЙСТВ

В представленной статье: "Некоторые аспекты квалификации убийств" рассмотрены некоторые действия, выражающие причинно-следственную связь вины и противоправного поведения в делах об убийстве, которые часто встречаются на практике и также обсуждаются в теории права.

Эта статья содержит обобщенные примеры из следственной и судебной практики, и сделаны выводы для правильной квалификации дел об убийстве.

Акцент делается на субъективной стороне личности, когда трудно подтвердить реальное намерение правонарушителя; например, умышленное убийство беременной женщины или различие между намерением убийства и тяжким телесным повреждением, которое привело к смерти потерпевшего.

Мы считаем, что статья поможет профессионалам и студентам рассмотреть некоторые из особенностей дел об убийстве.

**კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის, ვიდეო- და კინოგადაღების,
აუდიოჩაწერის გამოყენების საკითხები მტკიცებულებათა ფიქსირების
დაგაბრუნისა და გამოკვლევის პროცესში**

კრიმინალისტიკური ტექნიკის საშუალებებს მიეკუთვნება კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის, ვიდეო- და აუდიოჩაწერის ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც იყენებენ სამართალდამცავი ორგანოები სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების პროცესში, ჭეშმარიტების დასადგენად და დანაშაულის პრევენციის მიზნით.

თანამედროვე პირობებში, აღნიშნული კუთხით, კინოგადაღება პრაქტიკულად არ გამოიყენება, სასწავლო-მეთოდური ფილმების გადასაღებად პრიორიტეტს ციფრულ კინოკამერებს ანიჭებენ.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა როგორც კრიმინალისტიკური ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, მეცნიერული დებულებების სისტემაა, ასევე ობიექტებისა და ფაქტების დაფიქსირების მიზნით შემუშავებული იმ ტექნიკური საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების კომპლექსი, რაც პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით გამოიყენება მტკიცებულებათა შეკრებისათვის, ფიქსირებისა და გამოკვლევისათვის, ასევე გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისა და კრიმინალისტიკური რეგისტრაციის დროს, დანაშაულის სწრაფი გახსნისა და გამოძიების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ტრადიციულად იყენებენ ტერმინებს: „კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, ვიდეო- და კინოგადაღება“, ასევე „სასამართლო ფოტოგრაფია ვიდეო- და კინოგადაღება“.¹

ვიდეოგადაღებამ პრაქტიკულად მთლიანად შეცვალა კინოგადაღება, როდესაც ვიდეოკამერით ხორციელდებოდა მოვლენებისა და ობიექტების ფიქსირება კინოგადაღების ანალოგიურად. მაგრამ კინოგადაღებასთან შედარებით ვიდეოგადაღებას აქვს გარკვეული უპირატესობა, რაც გამოიხატება მისი გამოყენების და გადაღებულის დემონსტრირების სიმარტივეში, ოპერატიულობაში, კადრების, მათ შორის გაჩერებული კადრებისა და ხმის უშუალოდ გადაღების დამთავრების მომენტშივე შემოწმების შესაძლებლობაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც კრიმინალისტიკური ამოცანების გადასაწყვეტად არსებობს კადრის ფალსიფიცირების საფრთხე ადვილად შესაძლებელი ციფრული გამოსახულების გადაკეთებით, მიზანშეწონილია გადაღება ასევე ვაწარმოთ ფირის გამოყენებით, რადგან ამ შემთხვევაში ფირზე ასახული გამოსახულების შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ცნობილია თანამედროვე კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის ორი მეთოდი, პირველი – დასაფიქსირებელი, მეორე – კვლევითი და სამი მიმართულების:²

- ოპერატიულ - სამძებრო (დასაფიქსირებელი);
- სასამართლო - საგამოძიებო (დასაფიქსირებელი);
- საექსპერტო (დასაფიქსირებელი და კვლევითი).

ოპერატიულ-სამძებრო, სასამართლო-საგამოძიებო და საექსპერტო ფოტოგრაფიის გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება დასაფიქსირებელი და კვლევითი ფოტოგადაღება.

¹ შ. ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბილისი: მერიდიანი, 2013.
² რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა. თბილისი: მერიდიანი, 2009 წ., გვ.127-132.

დასაფიქსირებელი ფოტოგადაღების მიმართულებებია: 1. ჩვეულებრივი, 2. რეპროდუქციული, 3. განზომილებითი, 4. სტერეოსკოპული, 5. ამოსაცნობი (სიგნალიტიკური), 6. დეტექტიური, 7. პანორამული.

1. ჩვეულებრივი ფოტოგრაფირება ხორციელდება ნებისმიერი, პრაქტიკაში გავრცელებული აპარატებით, რომლებსაც არ გააჩნია სპეციალური მოწყობილობები. ასეთი ფოტოგადაღება იძენს კრიმინალისტიკური გადაღების სტატუსს მაშინ, რომ საქმე გვაქვს გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ობიექტსა და გადაღების პროცესუალური ხასიათის ამოცანებთან.

ამ სახის ფოტოგადაღება და ვიდეოგადაღება, როგორც წესი, გამოიყენება შემთხვევის ადგილის და იქ არსებული ვითარების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ასევე სხვა საგამოძიებო მოქმედების პროცესების ფრაგმენტების დასაფიქსირებლად.

2. რეპროდუქციული ფოტოგრაფირება გამოიყენება ბრტყელი ობიექტების ფიქსირებისათვის (ტექსტების, სქემების და ა.შ.); გადაღების წარმოება ხორციელდება როგორც პორტატიული ფოტოაპარატების, ისე სტაციონარული და პორტატიული რეპროდუქციული დანადგარების გამოყენებით.

3. განზომილებითი ფოტოგრაფირება გამოიყენება ფოტოსურათზე გამოსახული ობიექტების ზომების და მათ შორის მანძილების დასაფიქსირებლად. განზომილებითი ფოტოგრაფიის სახეებია:

- მასშტაბური გადაღება მასშტაბური სახაზავის გამოყენებით წარმოებს ცალკეული ობიექტების ფიქსაციის მიზნით. მასშტაბს განაღებენ გადასაღები ობიექტის საბრტყეში;
- მასშტაბური გადაღება სიღრმითი მასშტაბის გამოყენებით; იგი 10 სანტიმეტრამდე სიგანის და 10 მეტრამდე სიგრძის თანაბარი კონტრასტული ხაზებით დაყოფილი ლენტია;
- გადაღება კვადრატული მასშტაბით. გამოიყენება ფოტოსურათზე ფიქსირებული ობიექტების ზომების დასადგენად სიღრმითი და განივი პარამეტრებით, კვადრატზე დატანილი დანაყოფების გამოყენებით.

4. სტერეოსკოპული (სტერეოფოტოგადაღება) დაფიქსირება გამოიყენება სივრცის მოცულობის (შესასწავლ ობიექტებთან ერთად) და ობიექტებს შორის ურთიერთგანლაგებისა და მანძილების აღქმისათვის.

5. ამოსაცნობის დროს სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია მიზნად ისახავს დააფიქსიროს ამოცნობის ადგილი, ამოსაცნობთა შორის მონაწილე პირები, აგრეთვე საგნები, ნივთები, ფოტოსურათები, გვამები, ცხოველები. ამოსაცნობი (სიგნალიტიკური) ფოტოგადაღება ძირითადად გამოიყენება ცოცხალი პირებისა და გვამების გადასაღებად შემდგომი ამოცნობის, რეგისტრაციის, დაძებნის, საექსპერტო იდენტიფიკაციის მიზნით.

ცოცხალ პირთა გადაღება ხდება ამოსაცნობი ფოტოგრაფიის წესით სპეციალურად აღჭურვილ ოთახში და თუ გადაღება წარმოებს იგივე წესით, მაგრამ სხვა პირობებში, აუცილებელია, რომ ჩატარდეს ოპტიმალურ, სპეციალურად შერჩეულ განათების პირობებში, საწყის ეტაპზე ამოსაცნობი პირის ანფასისა და მარჯვენა პროფილის ფიქსაციით, ყურის ნიჟარასთან ერთად, თანხლები ნივთების გარეშე (ქუდი და ა. შ.). ორივე სურათი იბეჭდება მასშტაბში 1:7-თან. ფოტოქადაღებზე ზომით 9X12 სმ, პროფილის გამოსახულების

მარცხნივ განლაგებით. თუ მარცხენა პროფილს აქვს რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, უნდა მოხდეს მისი გადაღება $\frac{3}{4}$ -ით თავის მოტრიალებით და დაფიქსირებით.

ამოუცნობი გვამის ფოტოგადაღება ასევე წარმოებს ამოსაცნობი ფოტოგრაფიის წესების დაცვით.

6. დეტექტიური ფოტოგრაფირება გამოიყენება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც შენიღბულია ფოტოაპარატი ან ობიექტივი, ან ფოტოგადაღება ხორციელდება ატიპიური გადასაღები აპარატის საშუალებით (ფოტოგადასაღები სისტემით აღჭურვილი მობილური ტელეფონით, სანთებელით, ავტოკალმით და ა. შ.).

7. პანორამული ფოტოგადაღება გამოიყენება იმ ობიექტების ფიქსირებისათვის, რომლებიც არ ეტევა ერთ კადრში. ამისათვის ობიექტის გადაღების შედეგად მიღებული ფოტოსურათები ერთიანდება ერთ საერთო სურათში მათი მონტაჟით. პანორამული ფოტოგადაღება შეიძლება იყოს წრიული და წრფივი. პირველ შემთხვევაში ფოტოაპარატი მოძრაობს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ღერძის გარშემო, მეორე შემთხვევაში ფოტოაპარატს გადავაადგილებთ ობიექტის პარალელურად.

მიზანშეწონილია გადაღებისას გამოყენებულ იქნეს შტატივი, შერჩეულ იქნეს კადრების „გადაფარვის ზონა“ რეკომენდებული კადრის 10–15%-ს ფარგლებში. ფოტოსურათების ბეჭდვა ხორციელდება გადიდების ერთ მასშტაბში და ერთი და იგივე დაყოვნების შერჩევით.

კვლევათი ფოტოგადაღების მიმართულებებია: 1. მაკროფოტოგადაღება და მიკროფოტოგადაღება; 2. გადაღება დიდი ფორმატით; 3. ფერდაშლა, კონტრასტულობის შეცვლა და კონტრასტის ფოტოგრაფიული გაძლიერება; 4. გადაღება უხილავ სხივებში.

1. მაკროფოტოგადაღება სრულდება მცირე ზომის ობიექტების გამოსახულების მისაღებად ნატურალურ ზომებში, რაც ხორციელდება ამ გამოსახულების მთლიანად კადრში მოქცევით. გადაღებას ექვემდებარება მიკროკვლები და დეტალები, რომელთა ვიზუალური დათვალიერება არ იძლევა სრული კვლევის შესაძლებლობას. გამოიყენება აპარატები მოკლეფოკუსიანი ობიექტივებით და მიკროსკოპები ფოტორეგისტრაციის სისტემის 20–30-ჯერ გადიდებით. მიკროფოტოგადაღება ხდება დიდი გადიდებით, რაც შესაძლებელია ფოტორეგისტრაციის სისტემებით აღჭურვილი სტერეო და ელექტრონული მიკროსკოპების საშუალებით. გადაღების შედეგად გამომჟღავნებული დეტალების კვლევა ხდება მათი გადიდებული გამოსახულებების მიხედვით.

2. დიდი ფორმატით გადაღების მიზანია მცირე ობიექტებისა და კვლების გადაღება, რაც ხორციელდება აპარატებით, რომლებიც აღჭურვილია უნივერსალური ობიექტივებით ან ისეთი ობიექტივებით, რომლებზეც დამაგრებულია სპეციალური რგოლები.

3. ფერდაშლა, კონტრასტულობის შეცვლა და კონტრასტის ფოტოგრაფიული გაძლიერება მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ხილვადი გავხადოთ გამოსაკვლევი ობიექტის ის ნიშნები, რომლებიც ვიზუალურად შეუმჩნეველია ან ცუდად ხილვადი; შევამციროთ ან გავზარდოთ კონტრასტულობა; შევასუსტოთ ან გავაძლიეროთ რომელიმე ფერი. ამ მიზნით გამოიყენება შუქფილტრები, სპეციალური განათება, კონტრასტული ფოტომასალა. შუქფილტრების შერჩევის ხერხის გარდა გამოიყენება პოზიტივიდან ნეგატივის მიღების და, პირიქით, მრავალჯერ ამ პროცედურის გამეორების ხერხი კონტრასტული გამოსახულების მიღებამდე, ასევე საკვლევი ობიექტის განსაკუთრებული სიზუსტით გადაღებით ერთნაირი ნეგატივების დამზადება და მათი

ერთად დალაგების შემდეგ გაერთიანებული ნეგატივიდან კონტრასტული გამოსახულების მიღება.

4. გადაღება უხილავ სხივებში ხდება სპეციალური ტექნიკური საშუალებების კომპლექსის გამოყენებით, რომელიც ძირითადად შედგება ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, რენტგენის სპექტრის ტალღების წყაროსაგან, ფილტრებისა და სპეციალური შესაბამისი ფოტომასალის ადჭურვილი ფოტოაპარატისაგან.

ულტრაიისფერ, ინფრაწითელ და ხილვადი სინათლის ზოგიერთი ზონის ინტენსიურ სხივებს უნარი აქვს სპექტრის არახილვად ზონებში გამოიწვიოს ზოგიერთი ნივთიერების ლუმინესცენცია. გამოსაკვლევი ობიექტის აღნიშნული ლუმინესცენცია (ნათება) შეიძლება დაფიქსირდეს სხივების შესაბამისი სპექტრის მიმართ მგრძობიარე ფირზე. შედეგად მივიღებთ გამოსაკვლევი ობიექტის გამოსახულებას ან დავადგენთ ლუმინესცენციური ობიექტის სახეობას.

ფოტოგრაფირება ულტრაიისფერ და ინფრაწითელ არეკლილ სხივებში დაფუძნებულია მათი, ობიექტიდან ნაწილობრივი არეკვლის და ამ სხივების ნივთიერებაში ნაწილობრივი გატარების შესაძლებლობაზე.

კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიას აქვს ორი მიმართულება მკვეთრად გამოსახული თავისებურებებით:¹

1. ფოტოგადაღება ფირების (ფოტოფირფიტების) გამოყენებით;
2. ფოტოგადაღება ციფრული აპარატურის (სისტემების) გამოყენებით.

გამოყენების თვალსაზრისით, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის სფეროა:

- ოპერატიული, საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკა;
- ის გადასაღები ობიექტები, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულის მატერიალურ კვლებს, საგნებს, დოკუმენტებს, გვამებს, შემთხვევის ადგილს, სამალავებს, ე.ი. ყველა სახის კრიმინალისტიკური ინფორმაციის მატარებლებს;
- გადაღების სპეციალური მიზნები, გამოსახული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ობიექტებისა და მოვლენების დაფიქსირებაში;
- საერთო და კრიმინალისტიკის სფეროში შემუშავებული გადაღების სპეციალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენება;
- საპროცესო კოდექსით განსაზღვრული გადამღებ პირთა წრის დადგენა;
- ფოტოსურათების გაფორმების სპეციფიკისა და წესების თავისებურება;
- საერთო და კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული გადასაღები სპეციალური აპარატურისა და მოწყობილობების გამოყენება.²

აღნიშნული ახასიათებს როგორც კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიას, ისე კრიმინალისტიკურ ვიდეოგადაღებასა და აუდიოჩაწერას. ამავე დროს ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა კონკრეტულ სიტუაციაში უზრუნველყოფს არა მარტო ობიექტების სტატიკაში ფიქსირებას (გაჩერებული კადრი), არამედ პროცესებისა (მოვლენების) და პარალელურ რეჟიმში სხვა გარკვეული ინფორმაციის მქონე თანმხლები ბგერების (ხმაურის, საუბრის, მუსიკის და სხვა) დინამიკაში ფიქსირებას.

კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა ხდება საერთო დანიშნულების ფიქსირებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით, როდესაც გადაღების პროცესს სა-

¹ Пальчевский Б. В. Фотография, изд. „Полымя“, Минск, 1982.

² ფოტოგრაფია. პრაქტიკული კურსი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014.

ფუძვლად უძევს ერთობლიობაში შემუშავებული ხერხები და მეთოდები. მათი გამოყენება კრიმინალისტიკაში ღებულობს სახეს, რომელიც კავშირშია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სპეციფიკურობასთან და განპირობებულია მოქმედების სამართლებრივი თავისებურებით.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის ანალოგიურად, განვასხვავებთ კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღების (პარალელური აუდიოჩაწერით ან მის გარეშე) და აუდიოჩაწერის სამ სახეს:

- ოპერატიულ - სამძებრო (დასაფიქსირებელი);
- სასამართლო - საგამოძიებო (დასაფიქსირებელი);
- საექსპერტო (ექსპერტიზის წარმოებისას დასაფიქსირებელი და კვლევითი).

კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღების (აუდიოჩაწერის) სფეროს ცნებაში იგულისხმება როგორც ვიდეო-აუდიოაპარატურა, ისე აპარატურის გამოყენების ხერხები, მეთოდები და სადემონსტრაციო საშუალებები (მოწყობილობები).

ეს საშუალებები გამოიყენება სხვადასხვა მოქმედების მსვლელობის და დამდგარი შედეგების ფიქსირებისათვის, ერთი მხრივ, ამ პროცესებში მონაწილე პირების ფიქსირების მიზნით და, მეორე მხრივ, იმ აღმოჩენილი ობიექტების (საგნები, კვლები და ა.შ.) და მიმდინარე პროცესების (ხანძრის გავრცელების, ხანძრით წარმოქმნილი ბოლის გავრცელების მიმართულების, სხვა მოვლენების ასახვის და ა.შ.) ფიქსირებისათვის, რაც შემდგომში უზრუნველყოფს მიღებული ფაქტობრივი მასალის სრულყოფილ გამოკვლევას.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის სისტემა მოიცავს:

- წარმოებული გადაღებების (ჩანაწერების) არსს;
- დასაფიქსირებელ და კვლევით კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიას;
- დასაფიქსირებელ კრიმინალისტიკურ ვიდეოგადაღებას და აუდიოჩაწერას (დემონსტრირებისათვის ან საექსპერტო კვლევისათვის); ექსპერტიზების წარმოებისას კი – დასაფიქსირებელ და კვლევითს.

კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის ამოცანებია:

- მტკიცებულებების ფიქსაციის ტექნიკური საშუალებების და ხერხების შემუშავება და გაუმჯობესება;

- მტკიცებულებების ფიქსაციის აპრობირებული მეთოდებისა და მეთოდიკების სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების დაყენება და რეალიზაციის გზების განსაზღვრა (წარმოჩენა);

- მტკიცებულებების გამოკვლევის ტექნიკური საშუალებებისა და ხერხების შემუშავება და გაუმჯობესება;

- მტკიცებულებების გამოკვლევის აპრობირებული მეთოდებისა და მეთოდიკების სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში დანერგვის მიზნით საკითხების ჩამოყალიბება და რეალიზაციის გზების განსაზღვრა (წარმოჩენა).

როგორც აღვნიშნეთ, კრიმინალისტიკური ფოტოგადაღების ან ვიდეოგადაღების დროს გამოიყენება გამოსახულების ციფრული ან ფირზე ფიქსაცია (ფოტოფირზე, ფოტოფირფიტაზე, ვიდეოკადრზე, ვიდეოფირზე). აქ აუდიოჩაწერა განიხილება მხოლოდ როგორც ვიდეოგადაღების თანმხლები პროცესი. აუდიოჩაწერა ხორციელდება ასევე შემდგომი დიაგნოსტიკური და საიდენტიფიკაციო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. ეს ამოცანა რეა-

ლიზდება ფონოსკოპური ექსპერტიზის დანიშნისა და ჩატარების შედეგად სპეციალური მეთოდის შესაბამისი გამოყენებით, რაც ცალკე განხილვის საგანია.

ფოტოფიქსირების (ვიდეოფიქსირების) ორივე (გადაღება ფირზე და ციფრული მეთოდით) პროცესი შედგება ოთხი სტადიისგან, მაგრამ ხორციელდება განსხვავებული სქემებით:

1. ფოტოგრაფირებისა და ვიდეოგადაღებისათვის (აუდიოჩანაწერით პარალელურ რეჟიმში) საჭირო ტექნიკური საშუალებების მომზადება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
2. გამოსახულების ფიქსაცია ტექნიკური საშუალებებით (ფოტო-, ვიდეოგადაღება);
3. ნეგატივების მომზადება (პირველ შემთხვევაში) და კომპიუტერული დამუშავება (მეორე შემთხვევაში);
4. ფოტოსურათების დაბეჭდვა (პირველ შემთხვევაში); ამობეჭდვა სპეციალური საბეჭდი საშუალებით (პრინტერი), ასევე გამოსახულების დემონსტრირება (ფოტოსურათებისა და ეკრანზე პროექტორების გამოყენებით, კერძოდ ფირების, მათ შორის „სლაიდების“ საშუალებით პირველ შემთხვევაში; კომპიუტერული ტექნიკის და პროექტორების მეშვეობით – მეორე შემთხვევაში).

უნდა აღვნიშნოთ, რომ დასმული ამოცანის შესაბამისად გამოიყენება ფოტო-, ვიდეოგადაღების როგორც ცალკე დასაფიქსირებელი ან კვლევითი, ისე თანამიმდევრულად ორივე მეთოდი. კრიმინალისტიკური კვლევითი ფოტოგადაღების და ვიდეოჩანაწერის შედეგი, საკვლევი მასალის სახით, როგორც წესი, გამოიყენება საექსპერტო კვლევების წარმოების დროს.

ობიექტების ხედი, მათი სტრუქტურის გამოსახულება ფოტოფირებზე (ფოტოფირფიტებზე) შესაბამისი ფოტოაპარატებით გადაღებისას შეიძლება მიღებულ იქნეს ხილვადი ან უხილავი სპექტრის (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, რენტგენის) გამოყენებით. ფირების გამჟღავნება და ფიქსირება ხდება ქიმიური რეაქტივების გამოყენებით. ციფრული მეთოდით მიღებული გამოსახულება კი ფორმირდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. საბოლოო ჯამში გამოსახულება მიიღება ფოტოსურათების დაბეჭდვით ან გამოსახულების ამობეჭდვით.

უნდა აღვნიშნოს, რომ სასამართლო-საგამომძიებო ორგანოების ან ექსპერტიზის წინაშე დასახული ამოცანის მიხედვით, ფოტოსურათები და ვიდეომასალა გამოიყენება როგორც საილუსტრაციო, ისე საკვლევი მასალის სახით, თუ ეს მასალა მიღებულია შესაბამისი საპროცესო ნორმების დაცვით.

კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღებისას პარალელურად შესაძლებელია აუდიოჩანაწერის წარმოება და ვიდეომასალის ყურება, რადგან კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღება და აუდიოჩანაწერა ხდება საერთო დანიშნულების ტექნიკური საშუალებებით და გადაღების პროცესს საფუძვლად უძევს ამ მიზნებისათვის შემუშავებული ხერხები და მეთოდები. მათი გამოყენება კრიმინალისტიკაში იღებს სახეს, რაც კავშირშია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სპეციფიკურობასთან და განპირობებულია სამართლებრივად განსხვავებული დანაშაულებრივი ქმედებების შედეგების ფიქსირების თავისებურებით.

ამ თავისებურების გათვალისწინებით, კრიმინალისტიკური მიზნების განსახორციელებლად, საჭირო ხდება გამოსახულების მიღების მხოლოდ იმ მეთოდების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფს ფიქსირების სიზუსტეს და ობიექტურობას, მათი გამოყენებით მიღებული ინფორმაციის რეალურ ფაქტებთან შესატყვისობის დადგენის შესაძლებლობას.

კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღების და აუდიოჩაწერის გამოყენება სხვადასხვა პრინციპს ეფუძნება. ამ პრინციპებიდან ძირითადია: ფიქსირებული მასალის მონტაჟის და მასალაში რაიმე ტექნიკური შესწორებების შეტანის დაუშვებლობა; გადაღების (ჩაწერის) წარმოება გამოძიების პრაქტიკულად განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ან მათი ხელმძღვანელობით და კონტროლით, მოწვეული, შესაბამისი სპეციალობის მქონე ექსპერტების მიერ; შესაბამისი დოკუმენტების შედგენის ობიექტურობა; იმ წესების დაცვა, რომლებიც შემდგომში უზრუნველყოფს ფიქსირებული ობიექტების მოცულობის და ზომების, ასევე ხმის (ბგერების) სპეციფიკური ნიშნების და მოდულაციის დადგენას. ბოლო საკითხი მნიშვნელოვანია ფონოსკოპური ექსპერტიზის დანიშვნის და შემდგომი წარმოების დროს.¹ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოთხოვნები გასათვალისწინებელია არა მარტო კრიმინალისტიკური, არამედ სხვა სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის და წარმოების დროს, რომლებიც მოცემულია მათ შესახებ არსებულ კლასიფიკაციებში.²

იმის მიხედვით, თუ რა ამოცანები დგას კრიმინალისტიკური ვიდეოგადაღების წინაშე და რა მეთოდებია გამოსაყენებელი საკითხის რეალიზაციისათვის, გამოიყენება გადაღების შესაბამისი მეთოდები (ხერხი):

1. აღმბეჭდავი (დამაფიქსირებელი) ვიდეოგადაღება;
2. კვლევიითი (საექსპერტო).

ვიდეოგადაღება ხორციელდება საპროცესო (საგამოძიებო) მოქმედების წარმოების დროს, თვით გამოძიებლის ან დამხმარე პირის მიერ, რომელსაც კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად გამოძიებელი იწვევს.

პირველ შემთხვევაში აღიბეჭდება საგამოძიებო მოქმედების ადგილზე არსებული დასაფიქსირებელი გარემოება, გადაღების (ჩაწერის) პროცესის მსვლელობა და შედეგი.

საწყის ეტაპზე გადაღება სრულდება საორიენტაციო გადაღების მეთოდის გამოყენებით, რა დროსაც ფიქსირდება შემთხვევის ადგილი მის გარეთ არსებული ადგილმდებარეობის ხედით.

შემდეგ გადაღებული უნდა იქნეს თვით შემთხვევის ადგილი, მიმოხილვითი გადაღების მეთოდის გამოყენებით, ერთი ან რამდენიმე წერტილიდან, შემთხვევის ადგილზე ცვლილებების შეტანამდე, რომელიც მოყვება შემდგომ წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებებს.

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება საკვანძო გადაღება, რა დროსაც ასახული უნდა იყოს შემთხვევის ადგილზე არსებული და გამოსაძიებელ საქმესთან შესაძლო კავშირში მყოფი ინფორმაციის შესაბამისი მატარებლების (ნიშნების) შემცველი ცალკეული ადგილები ე.წ. „კვანძები“. ამ ნიშნების მატარებელი ცალკეული ადგილების გადაღება ხდება ახლომდებარე საგნებთან ერთად, მასშტაბური გადაღების ხერხის (მეთოდის) გამოყენებით.

ბოლო ეტაპზე ცალკეული კვლების, დეტალების (ელემენტის) ან დაზიანების გადაღება ხდება დეტალური გადაღების ხერხის (მეთოდის) გამოყენებით, გადასაღები დეტალის (კვლის) ზომების დაფიქსირებით. გადაღებისას გამოიყენება მასშტაბური გადაღების ხერხი.³

¹ ლ. ქობულაშვილი. სასამართლო ექსპერტიზის კლასიფიკაციის საკითხის შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №3(449). თბილისი, 2003.

² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი). ავტორთა ჯგუფი ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტირებით. თბილისი: იურისტების სამყარო, 2015.

³ რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა. თბილისი: მერიდიანი, 2009.

ვიდეოგადაღება შეიძლება განვახორციელოთ წინა (მცირე), საშუალო და დიდი (მსხვილი) პლანით, პლანიდან პლანზე თანამიმდევრულად ნელი გადასვლით.

წინა (მცირე) პლანით გადაღება, როგორც წესი, გამოიყენება საორიენტაციო გადაღების დროს;

გადაღება საშუალო პლანით გამოიყენება მიმოხილვითი გადაღების დროს;

დიდი (მსხვილი) პლანით ვიდეოგადაღება, რომელიც ძირითადად ხორციელდება საკვანძო და დეტალური გადაღების მეთოდის რეალიზაციის პროცესში, საშუალებას გვაძლევს დავაფიქსიროთ გამოძიებისათვის განსაკუთრებლად მნიშვნელოვანი ცალკეული ობიექტების კვანძები და მათ ფრაგმენტებზე ასახული თავისებურებანი და ნიშან-თვისებები (ზოგადი, კერძო), ასევე მონაწილე პირთა მოქმედებები.

კონკრეტულ სიტუაციაში ამა თუ იმ სახის ვიდეოგადაღების შერჩევა დაკავშირებულია მიზანმიმართულად მიზნული გარემოების მთლიანი თუ ნაწილობრივი ფიქსირების საჭიროებასთან.

ამასთან, ოპერატიულ-სამძებრო, სასამართლო-საგამოძიებო გადაღებებს (აუდიოჩაწერებს) განვასხვავებთ კვლევით დასაფიქსირებელ და საექსპერტო ფოტო-ვიდეოგადაღებებისაგან (აუდიოჩაწერებისაგან).

საექსპერტო კვლევითი გადაღება (შესაძლო პარალელური აუდიოჩაწერით) ხორციელდება ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნივთმტკიცებების, ასევე საექსპერტო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსირებისათვის, მიღებული მასალის დემონსტრირებისთვის, კვლევის და ნიშან-თვისებების აღბეჭდვისათვის.

კვლევა საექსპერტო სამუშაოების წარმოებისას სრულდება ლაბორატორიის პირობებში აპრობირებული მეთოდიკების გამოყენებით.

გამოძიების პროცესში პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით წარმოებული გადაღების (აუდიოჩაწერის) შედეგად დაფიქსირებული მასალა იღებს მტკიცებულების სახეს. ამავე დროს, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ექსპერტი აღარ გვევლინება დამოუკიდებელ საპროცესო საქმიანობის სუბიექტად და მხოლოდ მოწმის სტატუსით სარგებლობს. ე. ი. ექსპერტის ცალკე გამოყოფა, როგორც მტკიცების წყაროსი, კანონმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ.¹

აუცილებელი პირობაა, რომ ვიდეოგადაღების (აუდიოჩაწერის) დროს საგამოძიებო მოქმედებები იყოს დაფიქსირებული მთლიანად, დასაწყისიდან ბოლო მომენტამდე, დაცული უნდა იყოს შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილის სქემატური თანამიმდევრობა.

შესავალ ნაწილში ფიქსირდება ვიდეოგადაღების (აუდიოჩაწერის) დრო და სხვა საპროცესო კანონით გათვალისწინებული მოქმედებები. ასევე გაითვალისწინება მონაწილეთა დიალოგის სინქრონული ჩაწერა.

საგამოძიებო მოქმედების ადგილმდებარეობა, საგამოძიებო მოქმედების მსვლელობის ფიქსირების პროცესი ძირითად ნაწილში აღიბეჭდება.

საგამოძიებო მოქმედების მონაწილე პირთათვის შესავლისა და ძირითადი ნაწილის დემონსტრირების შემდეგ გადავდივართ ვიდეოგადაღების (აუდიოჩაწერის) დასკვნითი ნაწილის ფიქსირების ეტაპზე.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), მესამე გამოცემა. ავტორთა ჯგუფი ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტირებით. თბილისი: იურისტების სამყარო, 2015.

ამ ეტაპზე საშუალო და დიდი (მსხვილი) პლანით გადაღებულ კადრებში (შინაარსში) ფიქსირდება გამომძიებლის მიერ საგამომძიებლო მოქმედებაში მონაწილე პირთა გამოკითხვის შესახებ, შეესაბამება თუ არა პირველ და მეორე ეტაპზე გადაღებულ ფირზე ასახული ვიდეოჩანაწერი საგამომძიებლო მოქმედების შინაარსს და შედეგებს. დაფიქსირებული უნდა იქნეს პასუხები დასმულ კითხვებზე და გამომძიებლის განცხადება საგამომძიებლო მოქმედების დამთავრების დროის შესახებ.

ფირს დასაწყისსა და ბოლოში უნდა ჰქონდეს 1–1,5 მ ზომის რაკორდები. საწყისი რაკორდის ზედაპირზე მეტნით დაეწერება სასტარტო ხაზი, საქმის ნომერი, წარმოებული საგამომძიებლო მოქმედების დასახელება, ფირის მეტრაჟი, გადაწებების რაოდენობა, საგამომძიებლო მოქმედების მწარმოებლის მონაცემები.

აღნიშნული მოქმედებების შედეგად მიღებული ფირი უნდა მოთავსდეს სპეციალურ ჩასადებში ან პარკში, შეიფუთოს და დაილუქოს. ფუთაზე მაგრდება საჭდე, რომელსაც საგამომძიებლო მოქმედების შესახებ გაუკეთდება განმარტებითი წარწერა, გამომძიებლისა და დამსწრე პირთა ხელმოწერებით.

აღნიშნული მოქმედება უნდა გაფორმდეს საპროცესო კანონის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ კი ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია (გამომძიებლის, საგამომძიებლო მოქმედების ადგილმდებარეობის, დროის, ფოტოაპარატის ტიპის, გამოყენებული ფირის შესახებ და ა.შ.) თანამიმდევრულად უნდა აისახოს საგამომძიებლო მოქმედების ოქმში.

ლევან კობულაშვილი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

**კრიმინალისტიკური ფოტობრაჟის, ვიდეო- და კინოგადაღების,
აუდიოჩაწერის გამოყენების საკითხები მტკიცებულებათა ფიქსირების,
დამაბრუნისა და გამოკვლევის პროცესში**

განხილულია ფოტო-, ვიდეო- და კინოგადაღების, ასევე აუდიოჩაწერი აპარატურის გამოყენების საკითხი, დაკავშირებული კრიმინალისტიკური, სასამართლო-საგამოძიებო და საექსპერტო ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

ნაჩვენებია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენების ხერხები, ნივთმტკიცებების და დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებულ მოვლენათა ფიქსირების, დამაბრუნისა და გამოკვლევის მიზნით.

LEVAN KOBULASHVILI,
doctor of law, professor

**THE ISSUES OF CRIMINALISTIC PHOTOGRAPHY, VIDEO AND FILMING OR AUDIO
RECORD USAGE THROUGH THE EVIDENCE PERPETUATION AND RESEARCH**

There are discussed the issues of photo, video and filming, also the audio recording gear usage related to the solving of criminalistics, court examination and expert tasks.

There are shown the usage of modern technical means in perpetuation and research purposes towards the events related to the evidences and criminal actions.

ЛЕВАН КОБУЛАШВИЛИ,
доктор права, профессор

**ВОПРОСЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ФОТОГРАФИИ, ВИДЕО- И КИНОСЪЕМКИ,
АУДИОЗАПИСИ В ПРОЦЕССЕ ФИКСИРОВАНИЯ, ЗАКРЕПЛЕНИЯ И ИССЛЕДОВАНИЯ
ДОКАЗАТЕЛЬСТВ**

Рассмотрен вопрос применения фото-, видео- и киносъемочной аппаратуры для решения криминалистических, судебно-следственных и экспертных задач.

Показаны способы применения современных технических средств для целей фиксации, закрепления и исследования вещественных доказательств и явлений, связанных с преступными действиями.

კრიმინოლოგია და სუიციდი. სუიციდის კრიმინოლოგიური დახასიათება

სუიციდი (Suicidium) ლათინური სიტყვაა და საკუთარი სიცოცხლის ხელყოფას ნიშნავს. სუიციდის მეცნიერული შესწავლა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება. პირველად ტერმინი „სუიციდი“ მეცნიერებაში იტალიელმა ფსიქოლოგმა გ. დეზემ 1947 წელს შემოიღო. სუიციდი მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა. იგი იმ სამ მთავარ მიზეზთა შორის დგას, რომელიც სიკვდილს იწვევს 44 წლამდე ასაკის ადამიანებში.¹ თავდაპირველად მიჩნეული იყო, რომ სუიციდი მხოლოდ სულიერი ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, თუმცა აღნიშნული შეხედულება ფსიქიატრებმა მალევე უარყვეს და თვითმკვლელობათა მცდელობის განმასხვრციელებელი პირების გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ თვითმკვლელობას სწადის ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი და თვითმკვლელთა შორის მხოლოდ 18%-ია ფსიქიკურად დაავადებული. გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა, სოციოლოგმა ემილ დიურკჰიმმა ამ უაღრესად მნიშვნელოვან უარყოფით სოციალურ მოვლენას მიუძღვნა მონოგრაფია სახელწოდებით „თვითმკვლელობა“, რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა. იურიდიული და სოციოლოგიური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე თვითმკვლელობის კრიმინოლოგიური ცნება ჩამოყალიბდება როგორც „საკუთარი არსებობის ცნობიერი ან გაუცნობიერებელი შეწყვეტა, რომელსაც ადამიანი განზრახ სწადის და გამოიხატება საკუთარი ორგანიზმისათვის სასიკვდილო დაზიანების მიყენებაში ან საკუთარი ორგანიზმის ისეთ ფიზიკურ პირობებში ჩაყენებით, რომლის დროსაც ორგანიზმის სასიცოცხლო მოქმედება დაუყოვნებლივ ან თანდათანობით ქრება“. ამასთან, საკუთარი სიცოცხლის განზრახი მოსპობა არ უნდა იყოს დამოკიდებული, ერთი მხრივ, გარე ფაქტორებზე (მაგ., შიშზე და ა.შ), და, მეორე მხრივ, ის არ უნდა იყოს გამოწვეული ფსიქოლოგიური აშლილობით. კრიმინოლოგიაში თვითმკვლელობად მიჩნეულია ასევე ევთანაზიის შემთხვევა, როდესაც საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა ნებაყოფლობით ხდება სხვა პირის მიერ მსხვერპლის დაუინებელი თხოვნით და მისი ნების შესაბამისად ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით (სსკ-ის 110-ე მუხლი). აქ თანხვედრაში მოდის კანონის ნორმა სამართლიანობის იდეასთან, ვინაიდან აღნიშნული ნორმით, შინაარსობრივად, იკრძალება თვითმკვლელობის ეს კონკრეტული გამოვლინება და თვითმკვლელობის მცდელობაც, რაც უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნემდე ევროპის სახელმწიფოებში თვითმკვლელობის მცდელობა დასჯადი ქმედება იყო. ასევე უმკაცრესი სასჯელები მოქმედებდა პეტრე I დროინდელ რუსეთში. კერძოდ, სამხედრო და საზღვაო წესდებათა მიხედვით, თვითმკვლელობის ნებისმიერი მცდელობისათვის (მშვიდობიანობის დროს) პიროვნება ისჯებოდა 10–15 წლით საკატორლო სამუშაოებზე გამწესებით, ხოლო თვითმკვლელობის ფაქტის დადგომის შემთხვევაში გვამს საჯაროდ ფეხებით ჰკიდებდნენ ბოძზე და გარდაცვლილის მთელი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ინდოეთში დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად თვითმკვლელობის მცდელობა ისჯება თავისუფ-

¹ იხ. www.cj.isea.ru

ლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე ან/და ჯარიმით. სინგაპურში ასევე დასჯადი ქმედებაა თვითმკვლელობის მცდელობა და მისთვის სასჯელის სახედ და ზომად 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დადგენილი. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, მე-13 საუკუნიდან 1961 წლამდე თვითმკვლელობა დანაშაულად ითვლებოდა და მისი მცდელობისათვის პატიმრობა იყო გათვალისწინებული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვლებოდა, მისი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა მონარქის სასარგებლოდ. ირლანდიაში თვითმკვლელობა მიხნეული იყო დანაშაულად 1993 წლამდე.¹ ფაქტია, რომ მსოფლიოს მთავარი რელიგიები მკაცრად კრძალავენ თვითმკვლელობას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 800 ათასი ადამიანი იკლავს თავს. სიკვდილიანობის ყველაზე დიდი წილი მოზარდებსა და 35 წლამდე ახალგაზრდებს მოდის. თვითმკვლელობის მცდელობაზე დაახლოებით 10–20 მილიონი შემთხვევა მოდის.² საქართველოში, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, სუიციდის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ბოლო ოცი წლის მანძილზე სუიციდის 6000-ზე მეტი შემთხვევა გამოვლენილი,³ რაც საქართველოსთვის ძალზე მაღალი მაჩვენებელია.

ადამიანის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში მონაწილეობის მიღება, თავისი მოქალაქეობრივი ვალის აღსრულება. ამ მიზნიდან გამომდინარე, არათუ თვითმკვლელობა, არამედ საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდების უფლება არ აქვს ადამიანს, რასაკვირველია თუ ასეთი ქმედება არ უკავშირდება ღირსებისა და სამშობლოს დაცვას. თვითმკვლელობით ადამიანი ამ დანიშნულებას უგულებელყოფს, რითაც ბუნების კანონს ეწინააღმდეგება. ადამიანისათვის შეუძლებელია საკუთარი მომავლის განჭვრეტა. როდესაც ის თავს იკლავს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საზოგადოებას აყენებს ზიანს. ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც პიროვნებას ათეულობით წლების განმავლობაში წარუმატებელი ცხოვრება ჰქონია, მაგრამ შემდეგ მიუღწევია იმ მაღალი მდგომარეობისათვის, საიდანაც თავისი ქვეყნისთვის უდიდესი წარმატება მოუტანია. კრიმინოლოგიაში მიღებული შეხედულების თანახმად, რომელიც ძირითადად დამნაშავისა და დაზარალებულის პიროვნებათა კვლევებიდან და მათი საქმიანობიდან მომდინარეობს, ვასკენით, რომ ცხოვრებაში არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, არ არსებობს ვითარება, საიდანაც გამოსავლის პოვნა არ შეიძლებოდეს. ამაში, კონკრეტულ პიროვნებასთან ერთად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხიც არის.

საქართველოში თვითმკვლელობა ყოველთვის დიდ დანაშაულად მიიჩნეოდა, ეს არც არის გასაკვირი. ვინაიდან ვიცით, რომ თვითმკვლელობა უმძიმეს ბოროტებად ითვლება რჯულის კანონის მიხედვით, კაცის კვლაზე მძიმე ქმედებად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული იურიდიული მეცნიერება და კრიმინოლოგია ქართულ, ეროვნულ იდეას უნდა ემსახუროს. როგორც დიდი მწერალი და იურისტი ილია ჭავჭავაძე ბრძანებს: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გა-

¹ <https://ru.wikipedia.org>

² ru.wikipedia.org/wiki/Самоубийство

³ <http://www.tabula.ge/ge/story/56613-saqartvelo-bolodan-me-19-tvitmkvlelobata-reitingshi>

ქართველდაო. ჩვენმა სამღვდელობამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შესორც-შეთვისებული უძლეველი ხმალია და შეუღლეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს“.

მაშასადამე, კრიმინოლოგიაც სწორედ ამ საუნჯეთა დაცვისაკენ უნდა იყოს მიმართული, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა და კრიმინოლოგიის განვითარება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რელიგია, ზნეობა და სამართალი ერთობლიობაში განვიხილოთ და არა ისე, როგორც ეს დღესაა და გამიჯნულია ერთმანეთისაგან.

მე-18 საუკუნეში, ფრანგი განმანათლებლებისა და ფილოსოფოსების (მაგ., ჩ. ბეკარია) დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა თვითმკვლელობისა და მისი მცდელობის დეკრიმინალიზაცია. განმანათლებელთა მტკიცებით, თვითმკვლელობა არ არღვევდა სახელმწიფოს უფლებებს, ვინაიდან ადამიანი როგორც თავისუფალი პიროვნება, არ შეიძლებოდა ყოფილიყო საკუთრების საგანი. დანაშაულად მიიჩნეოდა სხვისი უფლებების დარღვევა, ხოლო მათი მტკიცებით, რადგან ადამიანი არ შეიძლებოდა სამართალურთიერთობაში ყოფილიყო თავის თავთან, დანაშაულის სუბიექტისა და ობიექტის ერთ პიროვნებაში გაერთიანება არაგონივრული იყო. ამასთან, ჩ. ბეკარიას მტკიცებით, სასჯელის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალთათვის, ვინაიდან გარდაცვლილნი არ ექვემდებარებიან საერო სასამართლოებს. თუმცა კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებამ ეჭვქვეშ დააყენა აღნიშნულ დებულებათა სისწორე. კერძოდ, დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანი არ შეიძლება სამართალურთიერთობაში იყოს საკუთარ თავთან მცდარია. უპირველეს ყოვლისა, სწორედ საკუთარ თავთან იმყოფება ადამიანი სამართალურთიერთობაში. თუ საკუთარი თავის მიმართ არ დაიცავი სამართალი და უფლებანი, ბუნებრივია ვერც სხვის უფლებებს დაიცავ. გარდა ამისა, დიდი კრიმინოლოგების – ხირშისა და გოთფრედსონის თეორიათა მიხედვით ადამიანი სამართალურთიერთობაში სხვა ადამიანთან (აქ იგულისხმება დანაშაული) მას შემდეგ შედის, როდესაც თავის თავზე კონტროლს კარგავს. მაშასადამე, ამოსავალი წერტილი იმისა, რომ დანაშაული არ მოხდეს, პიროვნების თვითკონტროლია (საკუთარი თავის კონტროლი). ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა მაღალი სამართლებრივი კულტურა და ზნეობა. შესაბამისად, ადამიანი სწორედ საკუთარ თავთან იმყოფება სამართალურთიერთობაში, რათა არ დაუშვას თავისი მხრიდან დანაშაულისა და სამართალდარღვევის ჩადენა და სისტემატურად იღვაწოს სამართალშეგნების ამადლებისაკენ. ამას გარდა, ქართული კრიმინოლოგია მიიჩნევს, რომ ადამიანი სწორედ სახელმწიფოსა და საზოგადოების საკუთრებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ექნებოდა მას უფლებები და მოვალეობები. კლასიკური გაგებით, ადამიანის აბსოლუტური თავისუფლება, როგორც ამას მიიჩნევდნენ, ამ გაგებით არც უფლება-მოვალეობებს გულისხმობს. დიდი რუსი ფილოსოფოსი ნ.ა. ბერდიაევი აღნიშნავს: „სიცოცხლე, რომელზედაც ადამიანს აქვს აბსოლუტური უფლება საკუთრებისა, არის არა მარტო მისი სიცოცხლე, არამედ სხვისი სიცოცხლეც, ის, უპირველეს ყოვლისა, ღმერთს ეკუთვნის, მხოლოდ ღმერთს აქვს აბსოლუ-

ტური უფლება მასზე, ის ასევე ახლობლების სიცოცხლეა, სხვა ადამიანების, ხალხის, საზოგადოების და ბოლოს მთელი სამყაროსი, რომელსაც სჭირდება ადამიანი.¹

თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზები

რა იწვევს თვითმკვლელობას? ეს ურთულესი საკითხია, რომელიც საქართველოში არ არის შესწავლილი. კრიმინოლოგიაში ცნობილია, რომ თვითმკვლელობას იწვევს დაახლოებით 800 მიზეზი. უცხოური ლიტერატურის ანალიზით, შესაძლოა გავაკეთოთ დასკვნები. კერძოდ, თვითმკვლელობათა მიზეზი ასაკის მიხედვით სხვადასხვაგვარია. მაგალითად, 21–30 წლის ასაკში სჭარბობს ისეთი მიზეზები, როგორცაა: აპათია (ყველაფრისადმი გულგრილი, უინტერესო, უხალისო დამოკიდებულება); ნიჰილიზმი (ყველაფრის ხელაღებით უარყოფა, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობა) და ეგოიზმი (პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე და სხვა ადამიანთა ინტერესებზე წინ დაყენება). 31–50 წლის ასაკში გამოვლენილია გონების დაკარგვის შიში, იდეების განუხორციელებლობა, საზოგადოების ცხოვრების იდეალების მიუღებლობა, სიყვარულში გაუმართლებლობა, ღირსების გრძნობის დაკარგვა, სინდისის ქენჯნა არარეალურ, თვითწარმოსახვით მოვლენათა გამო. 41–60 წლამდე ასაკში – სოციალურ ურთიერთობათა გართულება საზოგადოებრივი ცვლილებების ფონზე, როგორცაა, მაგალითად, რეგრესი, რევოლუცია, ტერორი, მიგრაცია, ემიგრაცია, სამხედრო მდგომარეობა, ეპიდემიები და ა.შ. მტკივნეულად გადაიტანება ამ ასაკის ადამიანებში. 51–70 წლის ასაკში თვითმკვლელობას იწვევს ძირითადად შემთხვევები, დაკავშირებული სიბერის ტანჯვისგან გასათავისუფლებლად, ავადმყოფობისაგან გათავისუფლების მიზნით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თვითმკვლელები, უმრავლეს შემთხვევაში, არიან საშუალო განათლების მქონე პირები მძიმე ცხოვრებისეული პირობებით, უმუშევარი და ღარიბი ხალხი, რომელთაც დაკარგული აქვთ თავიანთი იდეალები, განიცდიან ფსიქიკურ კრიზისს იმ საქმეთა განუხორციელებლობის გამო, რომელსაც მიუძღვნეს ცხოვრების დიდი ნაწილი. ასევე მსჯავრდებულები, რომლებიც დიდი ხანია ავადმყოფობენ, დეპრესიული ნევროზით დაავადებულნი, სულით ავადმყოფები, ახლო ნათესავის დაკარგვით გამოწვეული ფსიქოლოგიური განცდების გამო. მიზეზთა შორის, რომელიც დამახასიათებელია ყველა ასაკისათვის, გასათვალისწინებელია ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტური სიტუაციები. ძალზე საყურადღებოა ასევე გენეტიკური თავისებურებანი, კერძოდ სუიციდური ქმედებები განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებითაც. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები მარტინ კოლის (Martin Kohli) ხელმძღვანელობით მაქს პლანკის სახელობის ფსიქიატრიის (Max Planck Institute of Psychiatry, მიუნხენი, გერმანია) და ჯონ ჰუსმანის სახელობის ადამიანის გენომის ინსტიტუტიდან (John P. Hussman Institute for Human Genomics, მაიამი, აშშ). კვლევის შედეგების შესახებ ანგარიში გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალში Archives of General Psychiatry.

მეცნიერები შეეცადნენ მოექებნათ გენეტიკური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდა სერიოზულ დეპრესიულ დარღვევას და სუიციდურ ქმედებებს. ამ მიზნით მათ შეისწავლეს NTRK2 გენის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც ტვინის ნეიროტროფიკული ფაქტორის რეცეპტორის კოდირებას იწვევს.

¹ <https://books.google.ge/>

მკვლევარებმა გაანალიზეს დეპრესიის მქონე 394 პაციენტის გენომი, რომელთაგან 113 შეეცადა ჩაედინა თვითმკვლელობა. მიღებული მონაცემები შეადარეს 366 ჯანმრთელი მოხალისის მემკვიდრულ ინფორმაციას. ამას გარდა, ჩაატარეს საკონტროლო კვლევა 744 გერმანელსა და 921 აფრო-ამერიკელზე, რომელთაგან სუიციდური ქმედების ჩადენის მცდელობა ჰქონდა, შესაბამისად, 152 და 119 ადამიანს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ის პაციენტები, რომლებიც იყვნენ NTRK2 გენის სამი „სახიფათო“ მუტაციის მატარებლები, საშუალოდ 4,5-ჯერ უფრო ხშირად ეცადნენ თვითმკვლელობის ჩადენას, ვიდრე პაციენტები, რომლებსაც აღენიშნათ ამ გენის ნორმალური ვარიანტი. ავტორების სიტყვებით, კვლევის შედეგები ამტკიცებს სუიციდური ქმედების ფორმირებაში მემკვიდრეობითი ფაქტორების როლს.¹

სუიციდის ყველაზე გავრცელებული სახეებია: თავის ჩამოხრჩობა, სიმაღლიდან გადავარდნა, თავის დაწვა, სხეულის დაზიანება ცივი იარაღით, შხამისა და წამლების მიღება, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა.

თვითმკვლელობის საკანონმდებლო რეგულირება

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თვითმკვლელობის, როგორც სოციალური მოვლენის დაგმობა და გააკიცხვა საზოგადოების მიერ არ შეიძლება, – ამბობს დიურკკეიმი, არამედ აუცილებელია მხოლოდ პრევენციის ღონისძიებათა შემუშავება. თვითმკვლელობის პრევენციისათვის საჭიროა კომპლექსური ფსიქოლოგიური, სოციალური და კრიმინოლოგიური მიდგომები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შევჩერდებით თვითმკვლელობის საკანონმდებლო რეგულირების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე.

არაერთხელ გამოგვითქვამს შეხედულება, რომ გადაუდებლად საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსის კრიმინოლოგიური ექსპერტიზა და ნაკლებად მძიმე კატეგორიას მიკუთვნებულ დანაშაულთა სრული უმრავლესობის დეკრიმინალიზაცია და ასეთი ქმედებების ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლებრივი წესით დარეგულირება. თუმცა 115-ე მუხლი – თვითმკვლელობამდე მიყვანა, საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, იმსახურებს, ერთი მხრივ, დისპოზიციაში ცვლილებების შეტანას და, მეორე მხრივ, სანქციის გამკაცრებას; თვითმკვლელობამდე მიყვანა, საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით, განზრახ მკვლელობის ტოლფასი დანაშაულია და მიზანშეწონილი იქნებოდა ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა თვითმკვლელობამდე მიყვანა თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანისგან, ორივე შემთხვევაში სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებული ყოფილიყო თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რაც დადგენილია განზრახი მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის. კანონში არაფერია ნათქვამი ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანასთან დაკავშირებით, რაც ასევე საყურადღებოა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მოხდეს სისხლის სამართლის კანონში აღნიშნულის გათვალისწინება. ჩვენი შეხედულებით, მიზანშეწონილი იქნებოდა 115-ე მუხლი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: 1. თვითმკვლელობამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით, ან მისი პატივის, ან ღირსების სისტემატური დამცირებით – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით შეიდიდან თხუთმეტი წლამდე ვადით (აღტერნატიული სანქციის გამოყენების გარეშე); 2. იგივე ქმედება

¹ <http://www.medportal.ge>

ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ – ისჯება თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. 115' მუხლის თანახმად, დასჯადი ქმედება იქნებოდა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, რომლის დისპოზიცია 115-ე მუხლის ანალოგიაა, განსხვავება მხოლოდ სანქციის ნაწილშია. კერძოდ: 1. თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით, ანდა მისი პატივის, ან ღირსების სისტემატური დამცირებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან 12 წლამდე ვადით; 2. იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტი წლამდე ვადით.

მიხეილ გაბუნია,
სამართლის დოქტორი, პროფესორი
სოფიო ბერიძე,
სამართლის ბაკალავრიატის სტუდენტი

**კრიმინოლოგია და სუიციდი.
სუიციდის კრიმინოლოგიური დახასიათება**

თვითმკვლელობა (სუიციდი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური პრობლემაა. ცნობილია, რომ ბოლო წლებში ძალზე გახშირდა თვითმკვლელობის ფაქტები საქართველოში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საჭიროა დამატებითი კვლევების განხორციელება ამ უაღრესად მძიმე ასოციალური მოვლენის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, რათა შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარვმართოთ სუიციდის სოციალური კონტროლი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენ მიერ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება სუიციდის პრევენციასთან დაკავშირებით.

MIKHEIL GABUNIA,
doctor of law, professor
SOPHIO BERIDZE,
bachelor student of law

**CRIMINOLOGY AND SUICIDE
CRIMINOLOGICAL CHARACTERISTICS OF SUICIDE**

Suicide is one of the most important criminology problems. It is known, that in recent years in Georgia became more frequent suicide facts. Therefore, we consider, that it is necessary additional depth research for this heavy social event causes, to fully conduct suicide social control as far as possible. It would be reasonable our opinions and recommendations with respect to suicide prevention.

МИХАИЛ ГАБУНИЯ,
доктор права, профессор
СОФИО БЕРИДЗЕ,
студентка бакалавриата права

**КРИМИНОЛОГИЯ И САМОУБИЙСТВО
КРИМИНОЛОГИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА САМОУБИЙСТВА**

Самоубийство (суицид) является одной из наиболее важных проблем криминологии. Известно, что в последние годы в Грузии количество самоубийств ощутимо возросло. Поэтому считаем, что необходимо провести более глубокое исследование для установления причин этого чрезвычайно серьезного социального явления, для того чтобы по мере возможности полностью провести социальный контроль суицида. Целесообразным считаем, что надо предусмотреть в статье высказанные мнения и рекомендации в отношении превенции суицида.

КРИМИНОЛОГИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ПРЕСТУПНОСТИ МИГРАНТОВ

Когда говорят о преступности мигрантов, то имеют в виду совокупность преступлений, совершаемых мигрантами. Специфика таких преступлений определяется особенностями самих групп мигрантов и их положения в обществе.

По мнению большинства демографов, миграция – процесс перемещения людей через границы тех или иных территорий со сменой навсегда или на время постоянного места жительства либо с регулярным возвращением к нему.

В соответствии с этим понятием **основными формами миграции** являются:

стационарная, когда люди переселяются на новое место жительства на постоянной основе, получают прописку, устраиваются на работу и т.д.;

сезонная, связанная с временным переездом для выполнения конкретных народнохозяйственных задач;

маятниковая, когда люди совершают ежедневные переезды от места работы к месту жительства и обратно;

эпизодическая, связанная с временной переменой места жительства на период, зависящий от целей приезда (командировки, туристические поездки, посещение родных и близких, поездки для отдыха и другие личные цели).

Экстремальные ситуации, социально-экономические и политические кризисы, возникающая под их влиянием, принципиально новая жизненная реальность порождают новые явления в миграции и ее криминологически значимых характеристиках. При этом многие аспекты миграции, носящие в прошлом позитивный характер, могут приобретать негативные оттенки.

Неблагоприятные формы массовых вынужденных миграций связаны с тем, что лица, вытесняемые с мест постоянного жительства межнациональной напряженностью, переходящей в некоторых регионах в открытые конфликты, вынуждены покидать жилье, оставляя и большую часть нажитого имущества.

Значительные потоки мигрантов оказывают существенное влияние на криминологическую ситуацию соответствующих регионов, создают дополнительные трудности для оперативно-профилактической деятельности правоохранительных органов. В этих условиях особое криминологическое значение приобретает проблема приезжих.

Приезжие, как специфическая демографическая группа, являются одной из разновидностей мигрантов.

Хотя все они мигранты, но не все мигранты относятся к категории приезжих, так как значительная часть стационарных мигрантов-переселенцев, получивших жилье и прописку, по формально-юридическому подходу уже относятся к местным жителям.

К сожалению, в нынешнем своем виде уголовная статистика не позволяет согласовать демографическую классификацию мигрантов с уголовно-правовой классификацией преступников-приезжих, так как, во-первых, уголовная статистика не выделяет отдельные категории мигрантов, а во-вторых, разбивается основная группа стационарных мигрантов на тех, кто уже устроился и относится статистикой к местным жителям, и тех, кто находится в стадии устройства, еще не прописан и т.д. и в связи с этим входит в число приезжих.

Соответственно в уголовной статистике выделяются среди всех преступников местные жители и приезжие, т.е. лица, местными жителями не являющиеся.

Криминологическая актуальность изучения преступности приезжих определяется рядом обстоятельств:

во-первых, они оказывают существенное влияние на криминальную ситуацию в стране, регионе;

во-вторых, это влияние резко возрастает в условиях социальных кризисов и оказывает заметное воздействие на преступность;

в-третьих, возникает целый ряд новых экономических, социальных, политических, духовных проблем, в том числе затрагивающих международно-правовые аспекты, положение иностранцев на территории государства, обеспечение их безопасности и т.п. Так, экономические интересы Грузии в условиях реформ связаны с ее участием в международной рыночной системе и другими факторами, привлекающими в страну иностранцев дальнего зарубежья. Однако иностранцы нередко попадали в такие криминальные условия, что, если сами и не совершали преступлений, то легко становились их жертвами. Кроме того, дестабилизация положения дел в стране привлекала криминально ориентированных иностранцев, в том числе организованных преступников, наживающихся на наркобизнесе, торговле оружием и др.

Преступность мигрантов характеризуется высокой латентностью. Она фиксируется именно как преступность мигрантов только в случае раскрытия преступлений и обнаружения виновных лиц, то есть после того, как устанавливается, что виновный – мигрант. Однако криминалистами всегда отмечалась значительная сложность выявления и раскрытия совершаемых приезжими преступлений, именно приезжими, так как осевшие в каком-то месте и прожившие там определенное время мигранты: во-первых, ассимилируются, включаются в те отношения и образ жизни, которые имеют место на данной территории, во-вторых, бывают уже достаточно изучены в криминологическом аспекте (известны факты и направленность их противоправных деяний, криминогенные связи и т. п.).

Вклад мигрантов в преступность разных регионов различен. Он определяется прежде всего масштабами самого потока приезжих, который, как правило, тем выше, чем крупнее населенный пункт.

Массив мигрантов неоднороден по своему составу, по мотивации и целям приезда, длительности пребывания, демографическим, этническим, социальным характеристикам. Следовательно, различны и направления воздействия различных групп мигрантов на криминологическую ситуацию. Это свидетельствует о необходимости выделения среди мигрантов отдельных групп, различающихся по ряду существенных признаков, а именно: 1) граждане данного государства; 2) иностранные граждане и подданные; 3) лица без гражданства.

В числе и иностранцев и лиц без гражданства криминологами отдельно изучаются: а) традиционно иностранные граждане и подданные и б) те, которые стали таковыми сравнительно недавно вследствие распада, трансформации государства или ряда государств.

Это – первая, самая общая классификация, отражающая различие выделенных групп. Ее следует учитывать при разработке форм статистических отчетов, а также в процессе криминологических исследований.

Криминологами фиксируются не столько количественные особенности преступности мигрантов, сколько качественные. Для мигрантов, особенно приезжих, характерно совершение преступлений, требующих высокого криминального профессионализма и организованности.

Негативные последствия миграционных процессов сказываются на росте численности лиц, не имеющих определенного места жительства.

С ростом количества таких лиц возрастает и доля их в числе преступников. Хотя для них в меньшей степени, чем для других категорий мигрантов, характерны организованность и профессионализм преступной деятельности, однако в общем числе преступников их доля тем выше, чем выше степень тяжести совершаемых преступлений, уровень применяемого насилия. В числе преступников, использующих в своей антиобщественной деятельности организованность и профессионализм, доля лиц без определенного места жительства, как правило, значительно ниже. Их преступность чаще носит примитивный характер и направлена на удовлетворение сиюминутной потребности в алкоголе, добычу легкой наживы, получение средств существования и т.п.

Преступники без определенного места жительства, так называемые бомжи – это особая категория мигрантов, около 60% которых ранее судимы, большинство злоупотребляют алкоголем или являются хроническими алкоголиками; многие страдают серьезными соматическими и психическими заболеваниями. Налицо глубокая социальная, нравственно-правовая и психологическая деградация личности. Поэтому сам факт существования такой категории лиц представляет значительную угрозу безопасности и здоровью населения. Кроме того, само наличие и увеличивающаяся численность лиц, утративших место жительства, являются весьма значимым индикатором, свидетельствующим об ухудшении социальной и криминологической ситуации в стране.

Преступность приезжих детерминруется всем комплексом обстоятельств, обуславливающих сохранение преступности в стране. Этим же обстоятельствам принадлежит ведущее, базовое место и в причинном комплексе данной преступности. Они являются как бы фундаментом указанного комплекса, на который наслаиваются и с которым взаимодействуют специфические обстоятельства, возникающие у мигрантов, особенности их положения, жизнедеятельности.

Итак, назовем три линии детерминации преступности приезжих:

во-первых, комплекс причин и условий, влиявших на формирование личности до возникновения проблемной ситуации, обусловившей факт миграции;

во-вторых, причины и условия, действовавшие в проблемной жизненной ситуации, зачастую определяющие и цели миграции;

в-третьих, комплекс обстоятельств, оказывающих влияние на мигрантов после их приезда в тот или иной населенный пункт.

В настоящем разделе нет необходимости подробно останавливаться на первой линии детерминации, так как она уже освещалась в общих разделах. Специальные исследования преступности мигрантов дают новые яркие подтверждения тому, что неблагополучие в экономической, политической, социальной и духовной сферах приводит к неразрешимым противоречиям, проблемам и конфликтным ситуациям, стимулирующим рост уровня криминализации общества. Среди населения возникают и ширятся слои, живущие за чертой бедности: бездомные, безработные, разочарованные в защищаемых законом ценностях и готовые на любые, в том числе антиобщественные, способы обеспечения своих потребностей, оказывающиеся в острых стрессовых ситуациях и испытывающие разные психологические воздействия, например, алкоголя, наркотиков и т.п. В ряду неблагоприятных последствий экономического и политического кризиса стоит и вынужденная миграция населения, несущая с собой целый ряд негативных факторов, вплоть до потери части генофонда нации.

Вынужденные миграции чаще всего связаны с утратой мигрантами своего прежнего социального статуса, потерей жилья, работы. В местах прибытия наиболее острыми для них являются

проблемы жилья, трудоустройства. Последняя особенно обострилась в условиях безработицы. Такие миграции резко отличаются от вызванных производственной необходимостью организованных переселений, например, в регионы страны, испытывающие недостаток в трудовых ресурсах. В последних случаях мигранту, как правило, гарантировались место работы, зарплата и жилье. В отличие от них беженцы и вынужденные переселенцы, уже понесшие значительные экономические и социальные потери, в местах своего переселения тоже оказываются в худших условиях, что весьма осложняет процесс их адаптации.

Эти внешние факторы социальной среды взаимодействуют с характеристиками самих вынужденных мигрантов. Почти все они находятся в психологическом состоянии стресса.

По этим объективным и субъективным причинам мигранты являются наиболее уязвимым объектом для всякого рода негативных влияний, и если сами и не совершают преступлений, то легко становятся их жертвами.

Нельзя игнорировать то обстоятельство, что массовое прибытие вынужденных мигрантов в первое время ухудшает и условия жизни коренного населения, обостряя социальные конфликты между местными жителями и приезжими. В местах своей концентрации мигранты осложняют жилищную ситуацию, проблему безработицы, повышают нагрузку на всю инфраструктуру соответствующего региона, что затрудняет работу транспорта, предприятий бытового обслуживания и других отраслей хозяйства.

В связи с этим возникает и проблема вторичных миграций – движения беженцев и вынужденных мигрантов, не сумевших устроиться по первому месту прибытия. Все это обостряет ситуацию, повышает уровень социальной напряженности и конфликтности в обществе способствует росту криминогенности как мигрантов, так и коренного населения.¹ Так, противоречия и конфликты мигрантов с местными жителями стимулируют, объединение и тех и других по национальному, земляческому и иным признакам, что способствует межгрупповым конфликтам, возникновению специфических криминальных формирований, разного рода конфликтам, разрешаемым в преступных формах.

¹ Мертон Р. Социальная структура и аномия. М., 1996г.

ბესო კვირიკაშვილი,
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

მიგრანტების დანაშაულობის კრიმინოლოგიური დასახიათება

ნაშრომში განხილულია მიგრაციის ძირითადი ფორმები და სახეები. დასახიათებულია მიგრანტების დანაშაულობის კრიმინოლოგიური თავისებურებები და ნიშნები. დადგენილია და გაანალიზებული მიგრანტების დანაშაულობის დეტერმინაციის ძირითადი მიმართულებები.

BESO KVIRIKASHVILI,
doctor of law, assistant professor

CRIMINOLOGICAL CHARACTERISTIC OF MIGRANTS' CRIMINALITY

Basic forms and types of migration are considered in the work. Criminological characteristic of features and signs of migrants' criminality are given. Basic directions of determination of migrants' criminality are determined and analyzed.

БЕСО КВИРИКАШВИЛИ,
доктор права, ассистент-профессор

КРИМИНОЛОГИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ПРЕСТУПНОСТИ МИГРАНТОВ

В работе рассматриваются основные формы и виды миграции. Дается криминологическая характеристика особенностей и признаков преступности мигрантов. Установлены и проанализированы основные направления детерминации преступности мигрантов.

КРИМИНОТЕОЛОГИЯ. НОВАЯ ТЕОРИЯ ИЛИ НАПРАВЛЕНИЕ В КРИМИНОЛОГИИ

Криминология является сравнительно молодой, а значит быстро развивающейся наукой, представляющей собой ядро конгломерата научных воззрений, который принято именовать социальной патологией. Универсальность этой науки предполагает ее развитие, по крайней мере в двух аспектах: во-первых, путем обновления сформировавшихся основных положений, признанных относящимися к предмету криминологии, во-вторых, путем дополнения данного предмета новыми теориями, направлениями, разработками междисциплинарного характера. Отнесение к криминологии подобных положений второго аспекта возможно, но нашему мнению, при их соответствии следующим требованиям: а) общим задачам криминологии как науки; б) основным потребностям ее развития, в) практической целесообразности дополнительного направления; г) сохранения признаков и пределов криминологии как самостоятельной науки и учебной дисциплины.

Последнее требование является наиболее актуальным ввиду универсальности и кажущейся «размытости» пределов криминологии, что вызывает дискуссионные ситуации в криминологической среде. Появление новых направлений или отраслей в современной отечественной криминологии, начавшееся с формирования в середине 1970-х годов семейной криминологии, встречает положительное или отрицательное отношение.

По нашему мнению, следует считать целесообразным выделение в криминологии направлений, ориентирующих на особенности детерминации преступного поведения в определенной сфере общественных отношений. Данные особенности должны определять и специфику мер профилактического воздействия на такие детерминанты, в том числе и во избежание негативных последствий применения непродуманных мер предупредительного характера. В данной связи также является обоснованным обозначение в криминологии нового направления криминотеологии, исследующего позитивные и негативные факторы религиозного характера, влияющие на тенденции современной преступности.

Говоря о наиболее общих задачах криминологии, с учетом разнообразия воззрений, существующих в рамках данной научной дисциплины, следует согласиться с утверждением, что все эти воззрения объединяет стремление описать и объяснить явление преступности, а также обосновать пути реагирования на нее. В данном смысле криминотеология присоединяется к указанным общим задачам, относя их к собственным, причем в качестве не второстепенных, а главных.

Исходя из потребностей криминологии, рассматриваемое направление ориентировано на необходимость научной разработки нетрадиционных способов осуществления социального контроля над преступностью, а также методики выявления деструктивных и оккультных формирований как особой разновидности преступных сообществ, постоянно стремящихся к расширению сферы своего влияния.

Криминология, будучи наукой, ориентирующейся на изменчивость преступности, постоянно нуждается в наполнении разнообразными свежими исследованиями для разработки адекватных мер реагирования на наиболее опасные проявления в тенденциях преступности. Поскольку криминология призвана объяснить природу преступлений и преступности, их обусловленность определенными факторами, показать оптимальные пути и методы социального контроля над преступностью,

постольку она носит междисциплинарный характер. При этом наука о преступности не должна представлять собой библиографический набор произведений о не связанных между собой теориях, по-разному описывающих общественно опасное поведение и его истоки. Криминология аккумулирует научные достижения, носящие также универсальный характер, каждое из которых многосторонне оценивает определенную часть преступности, представляющее собой выборку и междисциплинарный анализ какого-либо проявления преступности с точек зрения различных специалистов. Между тем подобную выборку и целенаправленный анализ такого рода осуществляют криминологи-исследователи, обобщающие всю имеющуюся информацию об определенном объекте изучения, относящемся к предмету криминологии.

Криминология, таким образом, занимается изучением тех проявлений преступности в целом и определенных видов преступного поведения в частности, которые связаны с религиозным фактором. При этом используются достижения богословской науки различных конфессий, теологические, философские и политические учения, исторические исследования, однако лишь в части, касающейся общественно опасного поведения, причин и условий преступности. Криминология не ограничивается только этими достижениями, а прежде всего отталкивается от различных разработок, принимаемых в качестве научных в современной криминологии.

Криминология представляет собой не завершенную в своей категоричности и консервативности узкую обособленную теорию, а более широкое учение, имеющее своей целью расширение предмета в современной криминологии в направлении, характеризующем влияющие на преступность религиозные факторы криминогенного и антикриминогенного значения. В данной работе представлен обзор наиболее распространенных факторов обозначенных двух групп, а также анализ возможностей влияния на них силами современных субъектов криминологической профилактики.

Явление псевдорелигиозных течений присуще всем мировым религиозным движениям уже на ранних этапах их существования. Сектанство в буддизме и псевдобуддизм начали распространяться в Азии в первые века нашей эры. Толчок к их распространению дала «широкая колесница» (махаяна). Усмотреть связь с буддизмом многочисленных направлений и сект можно, только находя общее с отдельными расплывчатыми положениями махаянистских («лотосовых») Священных преданий.

Формальное отнесение себя к религии переносит данные объединения в разряд псевдорелигиозных. Но в одном этом еще нельзя усмотреть признаки криминогенности и общественной опасности. Вместе с тем, их самоотнесение к буддизму подрывает авторитет последнего, в том числе, путем искажения и «размывания» его сущности, не говоря уже о деятельности и деяниях отдельных членов таких объединений. Однако уже само искажение сущности данной мировой религии, имеющей криминологическое значение, и ограничение тем самым ее возможностей по умножению числа законопослушных своих приверженцев является негативным явлением антисоциального характера.

Современные последователи подобных течений, отвергающие контакты с мирянами, в своей замкнутости от мирского порядка легко могут развить аналогичные бунтарские признаки общественной опасности внутри своей сангхи, что требует осуществления контроля со стороны правоохранительных органов во избежание возможности создания международных преступных псевдорелигиозных сообществ, подобных Аум Сенрике и Белому Братству.

По-новому в современных западных буддистских сектах трактуется и понятие кармы. Оно чаще всего используется тогда, когда речь идет о детерминизме (признании всеобщей объективной

закономерности и причинной обусловленности всех явлений в природе и обществе) или о фаталистическом взгляде на человеческую жизнь. Понятие кармы отождествляется с негативным значением понятия судьбы. Предопределением отрицается свобода выбора, подавляется ответственность человека перед обществом: нет смысла вести себя определенным образом, соблюдая законы общества и государства, поскольку участь уже предопределена для каждого и изменить ее невозможно никаким поведением. Подобные воззрения, царящие в молодежных псевдобуддистских формированиях Запада, в своих анархических настроениях легко поддаются криминогенным влияниям и могут приобрести явно выраженную криминогенную направленность в своем отрицании государства и его правовых запретов.

Псевдобуддизм опасен и тем, что в западном обществе благодаря этим сектантским движениям складываются искаженные представления о ценностях учения Будды, которое в действительности относится к таким учениям,¹ что способствуют успокоению, а не нервному возбуждению, ведут к духовной свободе, а не поработают ваш дух, помогают устранять преграды между людьми, а не увеличивают их, т.е. высоконравственным учениям Священных Писаний мировых религий.²

¹ Эррикер К. Буддизм. Файр-Пресс, 1999г.

² Криминотеология в учебной литературе/ Криминология в развитии, 2002, №4.

ბესო კვირიკაშვილი,
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

**კრიმინოლოგია,
ახალი თეორია ან მიმართულება კრიმინოლოგიაში**

ნაშრომში განხილულია და დახასიათებული კრიმინოლოგიის ახალი თეორია და მიმართულება – კრიმინოლოგია. გაანალიზებულია აღნიშნული კრიმინოლოგიური მიმართულების ძირითადი კრიმინოლოგიური თავისებურებები და ნიშნები. კრიმინოლოგიურ ასპექტში გაანალიზებულია ფსევდორელიგიური მოვლენების კრიმინოგენური მახასიათებლები.

BESO KVIRIKASHVILI,
doctor of law, assistant professor

CRIMINOTHEOLOGY NEW THEORY OR DIRECTION IN CRIMINOLOGY

Criminotheology, a new theory and direction of criminology is considered and characterized in the work. Basic criminological features and signs of mentioned direction of criminology are determined and analyzed. Criminogenic characteristics of pseudo-religious phenomena are analyzed from criminological viewpoint.

БЕСО КВИРИКАШВИЛИ,
доктор права, ассистент-профессор

**КРИМИНОТЕОЛОГИЯ.
НОВАЯ ТЕОРИЯ ИЛИ НАПРАВЛЕНИЕ В КРИМИНОЛОГИИ?**

В работе рассмотрена и охарактеризована новая теория и направление криминологии – криминотеология. Установлены и проанализированы основные криминологические особенности и признаки указанного направления криминологии. В криминологическом аспекте проанализированы криминогенные характеристики псевдорелигиозных явлений.

**საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ზოგიერთი რეკომენდაციის
ანალიზი ეთიკური ქცევის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით**

ეთიკის საკითხები მრავალმხრივია თანამედროვე მსოფლიოში. მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლებას და საზოგადოებას განსხვავებული შეხედულებები აქვთ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მიდგომა ეთიკური შემთხვევების მიმართ ერთგვაროვანია. სწორედ ეთიკური პრინციპები და ღირებულებები ქმნის იმ პირობით ჩარჩოს, რომლის თანახმადაც განისაზღვრება, რა ქმედება ითვლება მართებულად საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

ეთიკამ უნდა განსაზღვროს საჯარო მოსამსახურეთა ქცევის მყარი საფუძველი. ამასთანავე, ეთიკის სტანდარტების დაცვის იძულებას დაშინების, კონტროლის ან გარკვეული რეკომენდაციების მექანიკური შესრულების მეშვეობით მოკლევადიანი ეფექტი ექნება. ეთიკური პრინციპების დაცვაზე ორიენტირებული ორგანიზაცია ეფექტურ კომუნიკაციას, თანამონაწილეობასა და გამჭვირვალობას უნდა ეფუძნებოდეს.

პროფესიული ეთიკა (როგორც ეთიკის ნაირსახეობა) საჯარო მმართველობით სფეროში ნიშნავს პრინციპებისა და სტანდარტების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია სწორი მმართველობითი ქცევის დასამკვიდრებლად. საჯარო სამსახურის ეთიკის პრინციპებისა და ღირებულებების მიზნებია: საჯარო მოსამსახურეთა სამაგალითო ქცევის უზრუნველყოფა და არასათანადო ქცევის თავიდან აცილება; ხელისუფლებისა და საჯარო მოსამსახურეთა მიმართ ნდობის გაზრდა და ლეგიტიმურობის განმტკიცება, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობების განვითარება; სახელმწიფო დაწესებულებებში ადმინისტრაციის ქცევის სტანდარტების გაზრდა; წინააღმდეგობების წარმოშობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებთა და შემსრულებელთა ქცევის განსაზღვრა; ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს გაძლიერება, საჯარო სამსახურის ხარჯების შემცირება და ხარისხის გაზრდა.

1. საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციები

საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციურ მიმოხილვაში, სადაც მოცემულია საკონსულტაციო შეფასებების ანგარიში და რეკომენდაციები ვკითხულობთ:

„ბიურომ უნდა შეიმუშაოს საქართველოს საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსი (ან ქცევის კოდექსი) და ზედამხედველობა გაუწიოს მის განხორციელებას. ზოგადად, ეს მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რომელიც უფრო მეტად ორიენტირებულია პრინციპებზე, ვიდრე პროცედურებზე. ეთიკის საფუძვლები, როგორც წესი, მოცემულია წესებში/რეგულაციებში და მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დოკუმენტი არსებობს, დებულებებისა და რეკომენდაციების უმეტესობა ასახულია კარგი მმართველობის პრაქტიკულ სახელმძღვანელოებში. ასეთი სახელმძღვანელოები უნდა შეიმუშაოს ბიურომ, როგორც ადამიანური რესურსების მართვის წამყვანმა დაწესებულებამ სამთავრობო დონეზე.

მსოფლიოს ბევრი ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა „ეთიკის საკითხებში მრჩეველის“ თანამდებობა. ასეთი თანამდებობა, როგორც წესი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში იქმნება. მისი ძირითადი ამოცანებია თანამშრომლებისათვის, მენეჯერებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის კონსულტაციების გაწევა, თუ როგორ უნდა

იმოქმედონ ან როგორი რეაგირება მოახდინონ სხვადასხვა სიტუაციაში, ეთიკის კოდექსში გათვალისწინებული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად. ეთიკური პრინციპების დარღვევის შემთხვევაში მრჩეველი კონსულტაციას უწევს მენეჯერს ან დისციპლინურ კომისიას, თუ რა ზომების მიღებაა შესაძლებელი. ასეთი თანამდებობა საქართველოს საჯარო უწყებებში უნდა შეიქმნას.

აუცილებელია ეთიკის საკითხებში ჩამოყალიბდეს მრჩეველთა ქსელი, რომელსაც უხელმძღვანელებს ბიურო და უზრუნველყოფს სპეციალიზებულ კონსულტაციებს, სწავლებასა და ინსტრუქტაჟს ქსელის წევრებისათვის. პერიოდულად უნდა მოეწიოს შეხვედრები, რომლებზეც ეთიკის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები განიხილება. საჭიროა სახელმძღვანელოების პერიოდულად განახლება და საერთო გადაწყვეტილების მიღება კონკრეტულ შემთხვევებში რეაგირებასთან დაკავშირებით. ბიუროს როლი შემდეგნაირად შეგვიძლია შევაჯამოთ:

- ა) საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსისა და ეფექტიანი მმართველობის პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავება;
- ბ) ეთიკის საკითხებში მრჩეველთა ქსელის შექმნა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში, ყველა საჯარო დაწესებულებაში;
- გ) ქსელთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება და მოწინავე პრაქტიკის გაზიარება;
- დ) მრავალმხრივი ტრენინგებისა და საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება ეთიკურ სტანდარტებსა და ეთიკური ქცევის მნიშვნელობაზე საჯარო სამსახურში.¹

მოცემულ სარეკომენდაციო ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საჯარო სამსახურში ეთიკის კოდექსის შექმნის აუცილებლობაზე, რაც თავისთავად მისასაღმებელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ დებულებებისა და რეკომენდაციების დონეზე აღნიშნული ნორმების შემოღება შედეგზე ორიენტირებული ვერ იქნება, ვინაიდან საჯარო მოხელის მხრიდან ეთიკური ქცევა პირდაპირ დაკავშირებულია სწორი მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან. „ეთიკის საკითხებში მრჩეველი“ – აღნიშნული სამსახურის შექმნა საჯარო უწყებების ბაზაზე თავისთავად ცუდი არ იქნება, თუმცა ვერ მოგვცემს იმ შედეგს, რა შედეგზეც კონკრეტულ რეკომენდაციაშია საუბარი (უკეთესი იქნებოდა დაეკონკრეტებინათ, რომელი ორგანიზაციების ქსელზეა საუბარი), რადგან თითოეული საჯარო სამსახურის ხელმძღვანელმა ეთიკური სტანდარტი თვითონ უნდა შექმნას იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში. რას გულისხმობს კონკრეტულად ეს სტანდარტი მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელმა პირმა, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითონ უნდა განსაზღვროს. ე. ი. აღნიშნულ პირს თავად უნდა ჰქონდეს სათანადო ჩვევა კონკრეტული სამუშაოს მმართველობითი ფუნქციის განსახორციელებლად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სტანდარტის ადმინისტრირების მექანიზმის შექმნის უზრუნველყოფა გაცილებით პროდუქტიული იქნება, ვიდრე ადამიანური რესურსების ბაზაზე მსგავსი პოზიციის შექმნის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით ეს ეხება დიდი მოცულობის ორგანიზაციებს, რომლებშიც სტრუქტურულად ბევრი სამსახური შედის და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ბაზაზე ეთიკის საკითხებში მრჩეველის ინსტიტუტის შექმნას უფრო მეტი ფორმალური დატვირთვა ექნება, ვიდრე რეალური. ის, თუ რა არის ეთიკური და რა არა შეფასებითი კატეგორიაა და, საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, კონკრეტულ სტანდარტთან დაკავშირებით.

¹ საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციური მიმოხილვა, დემოკრატიული მმართველობა საქართველოში, (G3) პროგრამა, 2014 წლის 12 ივლისი, გვ. 36-37.

ეთიკური სტანდარტი ეს არ არის პროცედურული საკითხი, რომელიც უწყებრივ დონეზე რომელიმე სამსახურმა უნდა შეაფასოს და გასცეს გარკვეული მითითებები სამსახურის ხელმძღვანელების მიმართ, როგორც უნდა მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციაში. ეს არის ორიენტირებული პირდაპირ საჯარო სამსახურის პრინციპებზე, რომლის თანახმადაც მოხელეს, განსაკუთრებით შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს, ეკისრება ვალდებულება იმოქმედოს მხოლოდ საჯარო ინტერესებით,¹ რასაც შესაძლებელია ყოველთვის არ ჰქონდეს ერთგვაროვანი მნიშვნელობა. სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მის ზედამხედველობის სფეროში არსებული თანამშრომლების მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხსა და ეფექტურობაზე, ამდენად, მას როგორც მენეჯერს უნდა ჰქონდეს სრული უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული პირის მიმართ, რომელიც სავარაუდოდ ეთიკური ნორმების დამრღვევია. მას ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ სიტუაციის შეფასება მოახდინოს ერთიან კონტექსტში (დარღვეული ეთიკური ნორმის სიმძიმისა და ხარისხის გათვალისწინებით) კონკრეტული პირის მიმართ, ვიდრე ზოგადად მრჩეველს, რომლის „რჩევა“, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია იყოს მშრალი, ხისტი და არ იყოს სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული. მრჩეველის მიერ კონსულტაციის გაცემა მენეჯერის თუ ეთიკის კომისიის მიმართ, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზომები უნდა მიიღონ მათ კონკრეტულ დარღვევასთან დაკავშირებით, თავად შეიძლება გახდეს არაეთიკური, ვინაიდან შესაძლებელია ეს რეკომენდაცია ხშირად გულისხმობდეს პირდაპირი მითითების გაცემას, რომლის შეუსრულებლობა კონკრეტული მენეჯერის თუ კომისიის წევრის მხრიდან გამოიწვევს იმის განცდას, რომ მათ კომპეტენციას არ აფასებს თავად ის უწყება, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ. კომისია იქნება ეს თუ მენეჯერი, იმდენად კომპეტენტური უნდა იყოს (სწორედ კვალიფიცირებულ კადრებზე უნდა იბრუნოს სახელმწიფომ), რომ თავად ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება გადაწყვეტილების მისაღებად.

საბოლოოდ, არამიზანშეწონილად მიმაჩნია ეთიკის საკითხებში მრჩეველთა ქსელის შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, მოითხოვს საკმაოდ დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურს მაშინ, როცა შესაძლებელია ეს რესურსი სხვა მიმართულებით გაცილებით ეფექტურად დაიხარჯოს (მაგ., კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში), და, მეორე მხრივ, არ იქნება კონკრეტულ შედეგზე გათვლილი – პრაქტიკის განზოგადება საჯარო სამსახურის ბიუროს მეშვეობით, სადაც განხილული იქნება კონკრეტული ეთიკის დარღვევის შემთხვევები, სრულად უზრუნველყოფს ქსელის შექმნის მიზანს. საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიშში მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს ეთიკური ნორმების დაცვას საჯარო დაწესებულებებში ერთიან კონტექსტში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით და არა განზოგადებულად – მოხდეს აპელირება, რომელიც ეთიკური ნორმების დარღვევა დაფიქსირდა ამა თუ იმ საჯარო უწყებაში. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკური სტანდარტის დაბალი დონე ფიქსირდება ყველა საჯარო დაწესებულებაში, რაც ჩემი აზრით განპირობებულია იმით, რომ თავად საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელების ქცევაა არაეთიკური და ეთიკის კომისიის როგორც ასეთი „მკვდარი“ უწყების ქმედებებსაც არ აქვს კონკრეტული შედეგი. არ არსებობს არც საზოგადოების და არც თავად დასაქმებული საჯარო მოხელეების მხრიდან ნდობა ამ კომისიების მიმართ. მხოლოდ დარღვევის ფაქტის გამოვლენა არ არის საკმარისი, პრობლემასთან საბრძოლველად საჭიროა აღსრულების მექანიზმის დანერგვა, რომელსაც დასჯის ფუნქციასთან ერთად პრევენციული მისიაც დაეკისრება.

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27/10/2015, მუხლი 12

**საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ზოგიერთი რეკომენდაციის
ანალიზი ეთიკური ქცევის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით**

ეთიკური ქცევის ერთიანი სტანდარტების შექმნა სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოს საჯარო დაწესებულებებში. ამას მოწმობს საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს არაერთი საჯარო დაწესებულების ფუნქციური მიმოხილვა, საკონსულტაციო შეფასების ანგარიში თუ რეკომენდაცია. ბიუროს ერთ-ერთ ანგარიშში ფუნქციურ მიმოხილვასთან ერთად საყურადღებოა მისი სამომავლოდ განსახორციელებელი რამდენიმე ინიციატივა, რომელიც სწორედ ეთიკური ქცევის ერთიანი სტანდარტების შექმნასა და აღსრულების მექანიზმს უკავშირდება.

მოცემული სტატიაში განხილულია საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივების – საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსისა და „ეთიკის საკითხებში მრჩეველის“ თანამდებობის შექმნის საჭიროება, მათი პრაქტიკული მნიშვნელობა და ადმინისტრირების მექანიზმები ქართულ რეალურობაში. ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, ზემოხსენებული ინიციატივების განხორციელების შემთხვევაში, არსებული დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ.

ANNA PUTKARADZE,
public administration PHD

ANALYSIS OF SOME RECOMMENDATIONS OF THE CIVIL SERVICE BUREAU OF GEORGIA WITH RESPECT TO THE IMPLEMENTATION OF ETHICAL BEHAVIOR

Developing of the standards of ethical behavior are becoming increasingly important in the public institutions. This is confirmed by the Civil Service Bureau, which has a functional review of public institutions, consulting assessment report and recommendations. One of the functional review of its interest is to implement a number of initiatives, which is related to the creation of common standards of ethical conduct and enforcement mechanisms in the future.

This article deals with the Civil Service Bureau initiatives: the need of creation the public service code of ethics and the position of "ethical adviser", their practical meaning and administrative mechanisms in Georgian reality. According to the analysis of these above - mentioned initiatives, there are presented the positive and negative consequences of them in case of implementation.

АННА ПУТКАРАДЗЕ,
докторант государственного управления

АНАЛИЗ НЕКОТОРЫХ ИЗ РЕКОМЕНДАЦИЙ БЮРО ГРАЖДАНСКОЙ СЛУЖБЕ ГРУЗИИ В ОТНОШЕНИИ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ ЭТИЧНОГО ПОВЕДЕНИЯ

Разрабатывать стандарты этического поведения становится все более важным в государственных учреждениях. Это подтверждается Бюро гражданской службы, которое осуществляет функциональный анализ государственных учреждений, ведет консалтинговые отчеты по оценке и рекомендации. Один из функциональных обзоров проявляет интерес к реализации ряда инициатив, которые связаны с созданием общих стандартов этического поведения, и механизму их реализации в будущем.

Данная статья посвящена рассмотрению инициатив Бюро гражданской службы: необходимость создания государственной службы кодекса этики и положения "этичного советника", их практическое значение и административные механизмы в грузинской реальности. По результатам анализа указанных выше инициатив рассмотрены позитивные и негативные последствия в случае реализации.

**საკონსტიტუციო სასამართლო და საკონსტიტუციო კონტროლის
სახეები საზღვარგარეთის ქვეყნებში**

კონსტიტუცია სამართლებრივი სისტემის ალფა და ომეგაა, მისი მთავარი მაკონტროლებელი და დამცავი სისტემა, ხოლო ამ დაცვის ინსტრუმენტად საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის განმასხვრციელებელი ორგანოები გვევლინება.

ხელისუფლების დანაწილება ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს მთავარი ნიშანია. ჯერ კიდევ პლატონი ამბობდა, რომ პოლისში სახელმწიფო მმართველობა დანაწილების პრინციპს უნდა ემყარებოდეს.¹ შემდეგ ეს იდეა ლოკმა და მონტესკიემ განავრცეს და საკუთარი მოსაზრება ჩამოაყალიბეს, როგორ უნდა ყოფილიყო ხელისუფლება დანაწილებული (ძალაუფლება გამიჯნული), მიზანი კი ერთი იყო – ხელისუფლების შტოებს შორის შეკავება-გაწონასწორების დამყარება.

ბლანკენაგელის განმარტებით, „საკონსტიტუციო კონტროლი ეს საქმიანობაა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ“.²

ფრანგული კონსტიტუციონალისტი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი მორის დიუვერჟე თვლის, რომ „კონსტიტუციური სამართალი სამართლის ის ნაწილია, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს. შეისწავლო კონსტიტუციური სამართალი ნიშნავს, რომ შეისწავლო პოლიტიკური ინსტიტუტების იურიდიული ასპექტები“.³

კონსტიტუცია და კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმები მუდმივი ყურადღების ობიექტია და საჯარო მმართველობის განხორციელებისას ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება.

საკონსტიტუციო სასამართლოს სახეები

საკონსტიტუციო სასამართლოები ორი სახისაა - ძლიერი და სუსტი. ძლიერია ისეთი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც, საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის გარეშე, საკუთარი ინიციატივით უფლება აქვს გადახედოს ამა თუ იმ კანონს და უზუსტობის შემთხვევაში გააუქმოს, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო პოლონეთსა და იუგოსლავიაში უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით წამოიწიოს საკონსტიტუციო პროცესი.⁴ სუსტია ისეთი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც ნორმის გადახედვისა და უზუსტობის აღმოჩენისათვის ესაჭიროება სპეციალურად ამისათვის კანონით განსაზღვრული პირებისგან სარჩელის წარდგენა.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი ბევრ თანამედროვე სახელმწიფოში არ არსებობს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ისრაელში, რადგან მათ დაწერილი კონს-

¹ კონსტიტუციური სამართალი. რედაქტორი ა. დემეტრაშვილი. თბილისი, 2005, გვ. 262.
² გ. გეწაძე. საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1 1998, გვ. 24.
³ Maurice Duverger, Institutions politiques et droit constitutionnel. Paris, 1990, გვ. 14.
⁴ თ. მელქაძე. ბ. დვალის. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი, 2000, გვ. 287.

ტიტუცია არ გააჩნიათ, ასევე შვედეთში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი შეზღუდულია და არ შეიძლება განსაკუთრებული სტატუსის სასამართლოს არსებობა.

სხვადასხვა სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოებს სხვადასხვა სახელი ეწოდება, მაგალითად ტრიბუნალი, საბჭო და ა.შ.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების საგანი პოლიტიკურია. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ორგანოა. კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება, თავისი არსით, პოლიტიკური კონტროლია და თუ ასეთი კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა სუბიექტის მიმართ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებაა. ზემოაღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მთლიანად პოლიტიკური ორგანოა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური საქმიანობა ობიექტური ფორმით ხორციელდება და მიმდინარეობს სასამართლო პროცესის სახით, ხოლო მისი შეფასების მასშტაბები ასევე დადგენილია სამართლის ნორმებით. სასამართლოს პოლიტიკურ ნეიტრალურობას განსაზღვრავს მოსამართლეების დამოუკიდებლობა და მათზე პოლიტიკური ზემოქმედების აკრძალვის გარანტიები. უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციური ზედამხედველობის პოლიტიკური ფუნქციები და თვით ამ ინსტიტუტის პოლიტიკური ხასიათი აღიარა თანამედროვე დასავლეთის თეორიულმა მიმდინარეობებმა. ასე, მაგალითად, აშშ-ში გავრცელებული სოციოლოგიური თეორია აშკარად აღიარებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პოლიტიკურ ფუნქციას.¹

საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი ობიექტი კანონის ან ქმედების კონსტიტუციურობაა, სამართლებრივი აქტისა და ქმედების კონსტიტუციურობის დადგენა კი სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა ორგანოს ევალება, მაგალითად, საერთო სასამართლოებს, უმაღლეს სასამართლოს, სპეციალიზებულ სასამართლოს, საკანონმდებლო ორგანოს, სპეციალიზებულ საკონსტიტუციო საბჭოს, რელიგიური ნიშნით დაკომპლექტებულ საბჭოს, ზოგიერთი ქვეყნის მეთაურს ირიბი ფორმით და ა.შ.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს სახეები

თანამედროვე სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ოთხი ფორმა არსებობს:

1. პირველი, როცა საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს საერთო სასამართლოები;
2. მეორე, როცა საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს უმაღლესი ინსტანციის სასამართლო (უზენაესი სასამართლო);
3. მესამე, როცა საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალიზებული სასამართლო, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ჰქვია. მაგალითად, საქართველო, რუსეთი და ასე შემდეგ;

¹ გ. ხუბუა. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბილისი, 2000. გვ. 439.

4. მეოთხე, როცა საკონსტიტუციო კონტროლს ან ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალურად ამისათვის შექმნილი საბჭო, მაგალითად, საფრანგეთი.¹

საკონსტიტუციო კონტროლის სახეები

სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე შესაძლებელია გამოვეყოთ კონტროლის შემდეგი სახეები:

ფორმის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს: **კონკრეტული** და **აბსტრაქტული**.

აბსტრაქტული ანუ **პირდაპირი** კონტროლის დროს საჩივრის საგანი კანონია, რომელიც გასაჩივრებული უნდა იყოს კანონის მიღებიდან გარკვეული დროის პერიოდში.

აბსტრაქტული კონტროლი ბევრი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის, თუმცა მისი გამოყენების შემთხვევა არცთუ ისე ხშირია.²

„აბსტრაქტული კონტროლი ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენლებს ყოველთვის აძლევს საშუალებას, მოითხოვოს ხელისუფლების მეორე შტოს წარმომადგენელი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა“. ფედერალურ სახელმწიფოში აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმი ფედერალური და მიწის მთავრობებს შორის საკონსტიტუციო დავის შემთხვევაში გვაქვს, როცა ფედერალურ მთავრობას მიაჩნია მიწის კანონი ან პირიქით მიწის მთავრობას – ფედერალური კანონი არაკონსტიტუციურად.³

კონკრეტული ანუ **არაპირდაპირი** კონტროლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საჩივრდება არა კანონი, არამედ მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაც გარკვეულ ვადებთან არის დაკავშირებული.

კონკრეტული კონტროლი ცალკეულ შემთხვევების მიღებასა და განხილვას გულისხმობს. კონკრეტული კონტროლის მექანიზმის კლასიკური მაგალითა აშშ.

დროში მოქმედების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს **პრევენციული** ანუ **წინასწარი** და **რეპრესიული**.⁴

პრევენციული ანუ **წინასწარი** კონტროლი ისეთი კონტროლია, როცა მაკონტროლებელი ორგანო ანუ საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს სამართლებრივ აქტს ძალაში შესვლამდე და მის შემდგომაც. აღნიშნულ კონტროლს ზოგიერთი მეცნიერი „აპრიორ“ კონტროლს უწოდებს.

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების აღნიშნულ ფორმას ხშირად აკრიტიკებდნენ. ეს კრიტიკა დღესაც გრძელდება. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ პრევენციული კონტროლის განხორციელება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს პოლიტიზებას იწვევს. მაგალითად, იტალიელი პროფესორ ჩეზარე პინელის აზრით, „რაც უფრო მეტია სა-

¹ ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბილისი, 2009.

² ბ. ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი, 2007; გვ 59.

³ Feber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 50.

⁴ Sadurski W., The Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence, Legal Studies Research Paper, No.11/15, 2011, 5.

კონსტიტუციო კონტროლი, რომელიც წინ უსწრებს კანონის ძალაში შესვლას, მით უფრო ახლოა საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ საკითხებთან“.¹

ჰერმან შვარცის თქმით, „პრევენციული კონტროლი ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიზირებას. იგი უფრო ადვილად ააშკარავებს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი პოლიტიკურ მიდგომას“.² იმ ყველაფრის ამოსავალი წერტილი, რაც შეიძლება იყოს მიზეზი აპრიორი კონტროლისა, არის ძალაუფლების გამიჯვნის (ხელისუფლების დანაწილების) პრინციპის დარღვევის პარადიგმა, რადგან ძალაში შესული კანონის უარყოფით, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო ზემოქმედებას ახდენს კანონმდებელზე. აპრიორი კონტროლის მოწინააღმდეგეთა აზრით, ასეთ დროს ირღვევა საკანონმდებლო პროცესისაგან სასამართლოს იზოლირების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო იქცევა მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ. ისინი მიიჩნევენ, რომ აღმოქმედებელი კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა საკანონმდებლო ორგანოსთვის ფაქტობრივად კანონმდებლობის შეცვლის ბრძანებაა.

აპრიორ (წინასწარ) კონტროლს კონსტიტუციით აღიარებს საფრანგეთი, სადაც საკონსტიტუციო საბჭოს აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს წინასწარი კონტროლის გზით სამართლებრივი აქტები ძალაში შესვლამდე. ირლანდიაში წინასწარ კონტროლს ახორციელებს უხენაესი სასამართლო, რომელიც პარლამენტის ორივე პალატის მიერ მიღებული კანონმდებლობის კონსტიტუციურობას ადგენს პრეზიდენტის პრომულგაციამდე. უნგრეთში კი ტრიბუნალია უფლებამოსილი, შეამოწმოს ჯერ კიდევ ძალაში შესასვლელი კანონები. აღნიშნული კონტროლი მოქმედებს: მაროკოში, ბოლივიაში, კოლუმბიაში, ვენესუელაში, კოსტა-რიკაში, პანამაში, ნიკარაგუაში და ა.შ.

განხორციელების ადგილის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს **შინაგანი** და **გარეგანი**.

შინაგან და გარეგან კონტროლს შორის განსხვავება ისაა, რომ შინაგან კონტროლს ახორციელებს სამართლებრივი აქტის გამომცემი, ხოლო გარეგანი კონტროლის დროს შესაბამისი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო.

განხორციელების საჭიროების მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს **სავალდებულო** და **ფაკულტატიური**.

სავალდებულო კონტროლი გულისხმობს, რომ სანამ აქტი ძალაში შევა, უნდა შემოწმდეს მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ეს პროცედურა წააგავს პრევენციულ ანუ წინასწარ კონტროლს.

ფაკულტატიური კონტროლის განხორციელება პირის ანუ გარკვეული სუბიექტის ნებაზეა დამოკიდებული ანუ ამისათვის საჭიროა მაკონტროლებელ ორგანოს სუბიექტმა მართოს, ეს ნიშანი საკონსტიტუციო სასამართლოს სისუსტის მაჩვენებელია.

შედეგების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს **საკონსულტაციო** და **დამდგენი**.

საკონსულტაციო და დამდგენი კონტროლი ეს ისეთი კონტროლის ფორმებია, როდესაც ხდება სამართლებრივი აქტების ჩვეულებრივ კონსტიტუციასთან შესაბამისობის შე-

¹ ჩ. პინელი. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები; მოსამართლეების არჩევა. ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“. 1997წ. №1, გვ. 34.

² კ. შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. ქ. ალექსიძის თარგმანი, პატრიცია მ. ვალდის წინასიტყვაობით და აკ. კუბლაშვილის რედაქტორობით. თბილისი, 2003. გვ. 70.

მოწმება; განსხვავებაა ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლის დროს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი არ აქვს, რაც წააგავს საკონსტიტუციო ზედამხედველობის განხორციელებას.

დამდგენი კონტროლის დროს დგინდება აქტის შეუსაბამობა ან არაკონსტიტუციურობა და შედეგად დგება, თუ კანონი არის არაკონსტიტუციური და კარგავს შესასრულებლად სავალდებულო ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს დამდგენი კონტროლის ფორმის განხორციელების შემდგომი გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე.

შინაარსის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს **ფორმალური** და **მატერიალური**.

ფორმალურია კონტროლი, როდესაც მოწმდება ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღებისთვის კონსტიტუციური ნორმებით დადგენილი პროცედურული წესების დაცვა, ხოლო **მატერიალურია**, როდესაც ადგილი აქვს ამა თუ იმ აქტის ან მისი ცალკეული დებულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შინაარსობრივ შემოწმებას.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები

დღევანდელი მდგომარეობით კონსტიტუციური მართლმსაჯულება მსოფლიოს 164 ქვეყანაში ხორციელდება, აქედან 74-ში მოქმედებს სპეციალიზებული ანუ ევროპული სისტემა, 48 ამერიკული კონსტიტუციური მართლმსაჯულების მოდელს იყენებს, ხოლო 30-ში შერეული მოდელი მოქმედებს, რომელიც ამერიკული და ევროპული მოდელების სინთეზია.¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საკონსტიტუციო კონტროლს, ისევე როგორც მისი განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობას, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოების მხრიდან, რადგან იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფოს სამართლებრივად გამართულ ფუნქციონირებაში.

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახე თანამედროვე სახელმწიფოს მოწყობის მთავარი სამართლებრივი საფუძველია.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კონსტიტუციური კონტროლი და მისი განმახორციელებელი ორგანოები ერთმანეთისგან გარეგნულად და ფორმალურად განსხვავდება, მისი შინაარსი და დანიშნულება სახელმწიფოს მთავარი სამართლებრივი კონტროლის მხრივ იდენტურია.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, მიუხედავად მისი განმახორციელებელი ორგანოს დასახელებისა.

კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების სხვადასხვა ტიპის მექანიზმებს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, თუმცა ამით არ იცვლება კონსტიტუციური კონტროლის მთავარი დანიშნულება – დაიცვას ქვეყნის მთავარი სამართლებრივი აქტი, კონსტიტუცია ან მასთან გათანაბრებული სამართლებრივი აქტი, რომელიც ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედი.

¹ Конституционное право зарубежных стран: Учебник для вузов / Под общ.ред. член-корр. РАН, проф. М.В. Баглая, д. ю. н., проф. Ю.И. Лейбо, д. ю. н., проф. Л.М. Энтина. — М.: Изд-во "Норма", 2000.

მიხეილ მგალობლიშვილი,
საჯარო მმართველობის დოქტორანტი

საკონსტიტუციო სასამართლო და საკონსტიტუციო კონტროლის სახეები საზღვარგარეთის ქვეყნებში

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს არსებობის მხოლოდ 21 წლის ისტორია აქვს. მიუხედავად არსებობის ასეთი მოკლე პერიოდისა, მისი ადგილი ქართულ სამართლებრივ სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციის ტიპებისა და საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმების განხილვა-გაანალიზება, ვფიქრობ, დაგვეხმარება, შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა მსოფლიოში არსებული კონსტიტუციური წესრიგის ევექტურობაზე, რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ საქართველოში არსებული საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების ევექტურობა, რადგან საქართველოში სულ ახლახანს შეიცვალა სახელმწიფო მოწყობის მოდელი.

MIKHEIL MGALOBlishvili,
public administration PHD

CONSTITUTIONAL COURT AND TYPES OF CONSTITUTIONAL CONTROL IN FOREIGN COUNTRIES

Constitutional Court, as a constitutional control body has only 21-year old history. Despite the existence of such a short period in the Georgian legal system, its place is very important.

In my opinion, discussion and analysis of mechanisms of constitutional types and constitutional control of foreign countries help us to make a clear idea of the effectiveness of the existing constitutional order, as well as to evaluate the effectiveness of the functioning of the Constitutional Court of Georgia, because as we know, in Georgia recently has changed the structure of state model.

МИХЕИЛ МГАЛОБЛИШВИЛИ,
докторант государственного управления

КОНСТИТУЦИОННЫЙ СУД И ВИДЫ КОНСТИТУЦИОННОГО КОНТРОЛЯ В ЗАРУБЕЖНЫХ СТРАНАХ

Конституционный Суд Грузии, как орган конституционного контроля, имеет только 21-летнюю историю. Несмотря на столь короткий срок, для грузинской правовой системы это место очень важно.

На мой взгляд, обсуждение и анализ механизмов конституциональных типов и конституционного контроля зарубежных стран, поможет нам получить четкое представление об эффективности существующего конституционного строя, а также оценить эффективность функционирования Конституционного Суда Грузии, который, как нам известно, в Грузии недавно изменил структуру государственной модели.

შეიარაღებული კონფლიქტი და იძულებითი მიგრაცია

ნაშრომი შეეხება შეიარაღებულ კონფლიქტსა და იძულებით მიგრაციას, რაც გამოწვეულია 21-ე საუკუნის სირიაში და არა მხოლოდ სირიაში. განხილულია შეიარაღებული კონფლიქტის სახეები და მისი სამართლებრივი რეგულირება, ასევე ომისა და შეიარაღებული კონფლიქტის ისტორიული წყაროები და მოყვანილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მიგრაციის სტატისტიკა. სირიის პრობლემამ ნათლად დაგვანახა, რომ ომი, მიმდინარე ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე, არ არის მხოლოდ იმ სახელმწიფოს პრობლემა, სადაც მიმდინარეობს. ომი გლობალური პრობლემაა და მასში ყველა სახელმწიფო პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს. უკანასკნელი წლების მანძილზე მილიონობით სირიელი ცდილობს მიაშუროს მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებს თავშესაფრის საძიებლად. ტერორიზმი ყოველდღიურ ჭირად და საფრთხედ გადაიქცა ევროპის კონტინენტზე. აფრიკასა და აზიაში სამოქალაქო დაპირისპირება წლიდან წლამდე იზრდება.

შეიარაღებული კონფლიქტი და შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები თანამედროვე სამყაროში სიახლე არ არის. ადამიანთა შორის შეიარაღებული კონფლიქტი უხსოვარი დროიდან არსებობს, რომლის გამომწვევი მიზეზები ისტორიას ძალიან ბევრი ახსოვს. სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი უმეტეს შემთხვევაში ძალაუფლების მოპოვების მიზნით ხდება. ისტორიული წყაროების მიხედვით, პირველი შეიარაღებული და ჯგუფური კონფლიქტი დაახლოებით 5000 წლის წინ მოხდა. ისტორიულ წყაროებს მიეკუთვნება პირველყოფილი ადამიანების გამოქვაბულში გამოსატყლი ფრესკები, საომარი იარაღები და ა.შ. კედლებზე გამოსახული ფრესკა, როგორცაა ადამიანი შუბით ხელში, სავარაუდოდ მის შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულობას მიანიშნებს. უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე კაცობრიობის ისტორიას ცოტა თუ ახსოვს საუკუნე შეიარაღებული კონფლიქტისა და ომის გარეშე. კაცობრიობას შემორჩა დაახლოებით 5600-წლიანი დაწერილი ისტორიული წყაროები. ამ პერიოდის მანძილზე კაცობრიობამ დაახლოებით 14600 ომი და შეიარაღებული დაპირისპირება გადაიტანა. იძულებითი მიგრაციის უდიდესი ტალღა მე-2 მსოფლიო ომის დროს დაფიქსირდა. რაც შეეხება უახლეს სტატისტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 11.4 მილიონი უკანონო მიგრანტი ცხოვრობდა. ყოველწლიურად დაახლოებით 400000 ადამიანი ცდილობს მექსიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში საზღვრის გადაკვეთას. ფრონტექსმა (ევროკავშირის სასაზღვრო სააგენტო) 2014 წელს 280000 ადამიანი დააკავა ევროკავშირის საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის დროს.

ომი და შეიარაღებული კონფლიქტი კაცობრიობის ჭირია და, აქედან გამომდინარე, ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები უხსოვარი დროიდან ცდილობენ შეიმუშაონ წესები და კანონები, რაც ხელს შეუწყობს შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებას და მიმდინარე პროცესში მის გაკეთილშობილებას. ომის სამართალი საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს შესაძლოა სკეპტიკურად მოეჩვენოს, ვინაიდან ომის მიმდინარეობისას ადამიანები ერთმანეთის გასანადგურებლად იმდენად არიან მომართულნი, რომ რთულია მათი დაშოშმინება

და ასევე რთულია რაციონალური გადაწყვეტილების მიღება რაიმე კანონმდებლობამ თუ წესმა შეძლოს. ციკერონის ცნობილი გამოთქმა, რომ ომის დროს სამართალი დუმს *“In time of wars the law are silent”*, იმ პერიოდის რომის იმპერიაში გამართლებული იყო, ვინაიდან ომი ნორმალურ ცხოვრების წესად ითვლებოდა. ციკერონის პერიოდის რომში რომაელები არ იცავდნენ არც ერთი ომის წესს. მოწინააღმდეგის ძარცვა, დამონება და ტყვეთა წამება ჩვეულებრივ და ნორმალურ ქცევად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უძველეს ხანაში კოდიფიცირებული და სტრუქტურულად იდეალურად გამართული ომის კანონმდებლობა არ არსებობდა, უნდა აღინიშნოს რომ არსებობდა წესები, რაც ომის პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთის პატივისცემისა და ღირსების დაცვისაკენ მოუწოდებდა. დროის სვლასთან ერთად საზოგადოებაც იცვლებოდა და დროდადრო ომის სამართალმა კონვენციებსა და დეკლარაციებში პოვა ასახვა, რაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

ქრისტეშობამდე 1400 წლისათვის ძველ ეგვიპტელებსა და შუმერებს შორის არსებობდა შეთანხმება, რის მიხედვითაც იკრძალებოდა ტყვეთა წამება, უიარაღოთა დახოცვა და ა.შ. ამავე პერიოდის 200 წლისათვის ისტორიულ წყაროებს შემონახული აქვს ინდუისტური ტექსტები, რის მიხედვითაც მეფეს არასდროს არ უნდა ეწამებინა ტყვე, უიარაღო მებრძოლზე ეკრძალებოდა ძალის გამოყენება და დაჭრილი მებრძოლის მოკვლა. ჯერ კიდევ ძველ ინდოეთში არსებობდა მანუს-წესები, რაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს თანაგრძნობას ითვალისწინებდა უიარაღოებისა და დაჭრილების მიმართ.

შეიარაღებული კონფლიქტი იყო და დარჩება კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად. აღნიშნული პრობლემა 21-ე საუკუნის მსოფლიოშიც არანაკლებ მძაფრად დგას. საზოგადოების განვითარებასთან ერთად განვითარდა საომარი ტექნიკა და აღჭურვილობა. დღევანდელ მსოფლიოში ომი კიდევ უფრო საზარელ და ფართომასშტაბიან ხასიათს იძენს. 2009 წელს მსოფლიოში 39 შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა. აღნიშნული რიცხვი თუმცა ნაკლებია 1990 წელს შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობაზე, მაგრამ 24%-ით მეტია 2000 წელს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებზე. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან ერთად სავარაუდოდ ადამიანები მიხვდებიან, რომ ერთმანეთის მტრობა არც ერთ მხარეს კარგს არ მოუტანს, მაგრამ ამის საპირისპიროდ სტატისტიკა ცხადყოფს – არ არსებობს ერთი ჩამოყალიბებული ტრენდი, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ კონფლიქტების რაოდენობის შემცირებაზე ან ზრდაზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი დედამიწის ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ წერტილში არ ვითარდება. თუმცა არსებობს დედამიწაზე ტერიტორიები, სადაც შეიარაღებული კონფლიქტი უფრო ხშირად ხდება, ვიდრე სხვაგან, მაგრამ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე კონფლიქტი მიმდინარეობს შუა აზიის, აფრიკის, ამერიკასა და ევროპის კონტინენტებზე.

თანამედროვე მსოფლიოში შექმნილია უამრავი საკანონმდებლო რეგულაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და დაცვისათვის მუშაობს. ოჯახებზე ძალადობა, მუდმივი შიში და ახლობლების დაკარგვაა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები ტოვებენ მშობლიურ გარემოს და ქვეყანას. მიგრაცია, თავისი არსიდან გამომდინარე, ადამიანის ან მათი ჯგუფის მძიმე მდგომარეობით არის გამოწვეული. მიგრაციის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. მიგრაციის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს. წინამდებარე ნაშრომი ეხება მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს იძულებით მიგრაციის საკითხს და პრობლემატიკას. შეიარაღებული კონ-

ფლიქტის შედეგად, მიგრაციისგან განსხვავებით, ადამიანების ჯგუფი ასევე კლიმატური პირობების ცვლილებების გამოც ახდენენ მშობლიური ტერიტორიის დატოვებას. აღნიშნული საკითხი მეტად რთული და მნიშვნელოვანია, რომელსაც ცალკე ნაშრომის სახით სჭირდება გამოკვლევა და გაანალიზება.

შეიარაღებული კონფლიქტის რეგულირებასა და თავიდან აცილებასთან დაკავშირებული ბუღალმა წესებმა საუკუნეების მანძილზე ჩვეულებით სამართალში მოიყარა თავი. პირველი და ერთ-ერთი ყველაზე სიმბოლური დეკლარაცია მიღებულ იქნა სანქტ-პეტერბურგში მე-19 საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ 1868 წელს, რაც ომის პერიოდში ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენების გარკვეულ რაოდენობაზე აწესებდა შეზღუდვას. აღნიშნული ხელშეკრულების პრეამბულა ამბობს, რომ ცივილიზაციამ ანუ საზოგადოებამ უნდა იხმაროს ყველა საჭირო ღონე, რათა თავიდან აიცილოს ადამიანებისათვის უბედურების მომტანი ნებისმიერი კონფლიქტი. აღნიშნული დეკლარაცია წარმოადგენს ომის სამართლის ერთ დასაბამს, ვინაიდან ამ დეკლარაციამ ბიძგი მისცა შემდგომ ორ ხელშეკრულებას, რომელსაც ჰააგისა და ჟენევის ხელშეკრულებებად იცნობენ. ეს ორი ხელშეკრულება ომის სამართლის განუყოფელი ნაწილია და შეიარაღებული კონფლიქტის სამართლად იცნობენ.

ჰააგის 1899 და 1907 წლის კონვენციები შეეხება როგორც ხმელეთზე, ისე ზღვასა და ჰაერში საომარი მოქმედებების რეგულირებას. უნდა აღინიშნოს, რომ 1899 წლის კონვენციის ტექსტები 1907 წლის კონვენციაში შესწორებული და შეცვლილი სახითაა მოცემული. კონვენციის ტექსტები მუდმივად განიცდის ცვლილებას, ვინაიდან ყოველ კონკრეტულ დროის მონაკვეთში არსებობს სამართლებრივი რეგულირების განსხვავებული საჭიროება. 1899 წელს ჯამში 6 კონვენცია და დეკლარაცია იქნა მიღებული, ხოლო 1907 წელს ეს ციფრი 14-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება ჟენევის ომის მსხვერპლთა დაცვის კონვენციებს, იგი ასევე ცნობილია, როგორც „საერთაშორისო წითელი ჯვრის“ კონვენციები. თავდაპირველი ჟენევის კონვენცია 1864 წელს იქნა მიღებული, რომელიც ბრძოლის ველზე დაჭრილთა მდგომარეობას და მათი უფლებების დაცვას შეეხებოდა. აღნიშნული კონვენცია შესწორებულ იქნა ორჯერ (1906 და 1929 წლებში), იმ დროს, როდესაც დაემატა მეორე კონვენცია ომის პატიმართა შესახებ. 1949 წლისათვის აღნიშნული ორივე ინსტრუმენტი შეცვლილ და გადაფარულ იქნა ოთხი კონვენციით, რომელიც შეეხება: ა) დაჭრილებსა და ავადმყოფებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს; ბ) ზღვაში შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაჭრილებსა და ავადმყოფებს; გ) ომის ტყვეებს; დ) მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვას. ჰააგისა და ჟენევის კონვენციები ურთიერთდაკავშირებული კონვენციებია. არსებობდა მოსაზრება, რომ აღნიშნული კონვენციები წარმოადგენდა შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის სხვადასხვა განშტოებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი კონვენცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთი მიზნისკენ მიმართული.

არსებობს მიგრაციის ორი სახე – ნებაყოფლობითი და იძულებითი. ნებაყოფლობითი მიგრაციის დროს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ცდილობს გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები ახალი საცხოვრებელი ადგილის პოვნის ხარჯზე. მიიმე ეკონომიკური მდგომარეობა ან/და ნიჭის რეალიზაციის უკეთესი შესაძლებლობები ნებაყოფლობითი მიგრაციის მთავარი მასტიმულირებელია. ნებაყოფლობითი მიგრაციისგან განსხვავებით, იძულებითი მიგრაცია განსხვავებული სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი მოვლენაა. გენოციდი, სამოქალაქო ომი, სახელმწიფოს მიერ

რეპრესია და ა.შ. იძულებითი მიგრაციის მთავარი ფაქტორებია. მიგრაცია სოციალური ტრანსფორმაციაა, რაც მეტ-ნაკლებად ნებისმიერ საზოგადოებაში ხდება. იძულებითი მიგრაცია ქვეყნის დესტაბილიზაციისა და ეკონომიკური მდგომარეობის განადგურების წინაპირობაა. სირიის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ომმა და დესტაბილიზაციამ სირიის სახელმწიფო უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში ჩააყენა. კონფლიქტი, მიგრაცია, განვითარების პროცესი და მშვიდობა ერთი დიდი ჯაჭვია, რომელიმესთვის საფრთხის შექმნა მთლიან ჯაჭვს უქმნის საფრთხეს.

ტერმინი „შეიარაღებული კონფლიქტი“ ცდილობს აღწეროს დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, თუმცა შესაძლოა მცირედი გაუგებრობაც გამოიწვიოს. შეიარაღებული კონფლიქტის ცნება მრავალნაირია და საკამათო. მაგ., უპსალას კონფლიქტების მონაცემების (Uppsala Conflict Database) მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტი შეუთავსებლობაა, რაც კავშირშია სახელმწიფოსთან ან/და ტერიტორიასთან, სადაც 1 კალენდარული წლის განმავლობაში შეიარაღებული ძალების გამოყენებით მსხვერპლი მინიმუმ ოცდახუთს შეადგენს. ფისასის მიხედვით, აღნიშნული ციფრი 100 აღწევს. შეიარაღებული კონფლიქტი შედეგების მიხედვით შესაძლოა დაიყოს მრავალი სახის ჯგუფებად. აღნიშნული ჯგუფების უმთავრესი კატეგორიაა ეთნიკური, სოციალური და სამოქალაქო ჯგუფები. კანადური წითელი ჯვარი შეიარაღებულ კონფლიქტს ორ სახეობად ყოფს: 1) საერთაშორისო და 2) შიგა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სახის კონფლიქტი საერთაშორისო სამართლის მიერ აღიქმება როგორც ომი. შიგასახელმწიფოებრივი კონფლიქტი და მასში მონაწილე შეიარაღებული პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს ინტერესებს, არის ის უმთავრესი მოტივი, რაც აიძულებს მშვიდობიან მოსახლეობას მათი ნების საწინააღმდეგოდ დატოვონ ქვეყანა. იძულებითი მიგრაცია, მცირე საკანონმდებლო რეგულაციებისა და სხვა მრავალი ფაქტორების გამო, მეტად საშიში და რისკის შემცველია. თითოეული მიგრანტი, რაც უფრო უახლოვდება სავარაუდო დანიშნულების ადგილს, მით უფრო მეტია შანსი მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს ძალადობა და სიცოცხლისათვის სხვა საშიში ქმედებები. მიგრანტები, ხშირ შემთხვევაში, ფარულად ცდილობენ საზღვრის გადაკვეთას, რაც შემდგომში ართულებს მათთვის ლტოლვილის სტატუსისა და სხვა სოციალური ბენეფიტების მიღებას. ტუნისის, მექსიკის, იემენისა და მაროკოს მაგალითები ცხადყოფს, რომ მიგრანტები, უმეტეს შემთხვევაში, იჭედებიან სატრანზიტო ქვეყნებში მწირი ფინანსებისა და დოკუმენტაციის არქონის გამო და ვეღარ ახერხებენ დანიშნულების ადგილამდე მიღწევას. მიგრანტებისთვის კიდევ ერთი საშიში რისკი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები და კონტრაბანდისტებია, რომლებიც მოტყუებით ცდილობენ დაარწმუნონ ისინი, რომ მშვიდობიანად, მათივე სომალდით მოახდენენ მათი დანიშნულების ქვეყნებში შეყვანას. აღნიშნულ შემთხვევებში ხშირად ხდება მიგრანტებისათვის პასპორტების ჩამორთმევა და ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო თავდაუზოგავად ცდილობს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და მიგრანტებისათვის საშიში რისკების შემცირებას, უკანასკნელი 16 წლის სტატისტიკა მეტად შემზარავია. უკანასკნელი 16 წლის მანძილზე დაახლოებით 20000 მიგრანტი დაიღუპა ხმელთაშუა ზღვიდან ევროპაში შეღწევის მცდელობისას. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეპორტის მიხედვით 2014 წელს მიგრაციის შედეგად დაახლოებით 3000 ადამიანი დაიღუპა. მიუხედავად აღნიშნული რეპორტისა და შემზარავი სტატისტიკისა, მიგრაციის ნაკადი ევროკავშირში ყოველწლიურად იზრდება.

უახლოეს პერიოდში სირია იძულებითი მიგრაციის ყველაზე ფართომასშტაბიანი მაგალითია. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მილიონობით ადამიანმა დატოვა მშობლიური სახელმწიფო და თავშესაფრის საძიებლად შორეულ ევროპას, ამერიკასა და მეზობელ ქვეყნებს მიაშურა. მთავრობის წინააღმდეგ მიმართული 2011 წლის საპროტესტო აქციები ნელ-ნელა ქაოსსა და ომში გადაიზარდა. ომმა და ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) ჯამში 10,6 მილიონი ადამიანი აიძულა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი. უკანასკნელი წლის მანძილზე სირიელების მიგრაცია ევროპაში გაორმაგდა. სირიელების მიერ და არა მხოლოდ სირიელების ევროპის კონტინენტზე მიგრაციის სურვილი ევროპული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. მიგრანტები ცდილობენ ეკონომიკურად გამართულ ქვეყნებში შეძლონ დაფუძნება. გაეროს ლტოლვილთა სააგენტომ 2014 წლის 20 ივნისს წარმოადგინა რაპორტი, სადაც ნახსენებია, რომ 2014 წლის 20 ივნისისთვის მსოფლიოში პირველად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულთა და თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა 50 მილიონს გადააჭარბა. აღნიშნული ციფრი, როგორც უკვე აღინიშნა, გამოწვეულია სირიის კონფლიქტის შედეგად. რეგიონების მიხედვით, აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ლტოლვილთა საერთო რაოდენობა 3.5 მილიონ ადამიანს შეადგენს, სუბ-საჰარას რეგიონში – 2.9 მილიონ ადამიანს, ხოლო ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში – 2.6 მილიონს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ცალსახად საზიანოა მასში მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის. ზემოხსენებული სტატისტიკიდან გამომდინარე, მარტივად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა მდგომარეობაში აყენებს ომი და შეიარაღებული დაპირისპირება სახელმწიფოებს. შეუძლებელია კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში ქვეყნების განვითარება. არასტაბილურობა და მუდმივი საფრთხე ანგრევს ეკონომიკას და მოსახლეობას უუნაროს ხდის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, რომელიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ მხარეზე ვერ იქნება დამოკიდებული, მასში მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს.

მერაბ რაჟავა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შეიარაღებული კონფლიქტი და იძულებითი მიგრაცია

შეიარაღებული კონფლიქტი და შედეგად იძულებითი მიგრაცია თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალური თემაა. ომი იყო და იქნება კაცობრიობის უდიდესი ჭირი. სირიაში მიმდინარე პროცესების შედეგად მილიონობით ადამიანი დაკარგა საკუთარი საცხოვრებელი და თავშესაფრისათვის სხვა ქვეყანას მიმართა.

ნაშრომში ავტორი განიხილავს შეიარაღებული კონფლიქტის დამანგრეველ მხარეებს, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული შემადრწუნებელი მიგრაციის სტატისტიკას, მიგრაციის სამართლებრივ რეგულირებას და შესაძლო გადაჭრის გზებს.

MERAB RAPAVA
doctor of juridical sciences

ARMED CONFLICT AND FORCED MIGRATION

Armed conflict and forced migration are actual issues in today's world. The war was and will be one of the biggest plagues of humanity. Millions of people lost their homes and went to other countries for seeking asylum as a result of a Syria conflict.

The author analyzes the devastating effects of armed conflict, the terrible migration statistics of International Organizations, regulation of migration and possible ways of solution.

МЕРАБ РАПАВА,
доктор юридических наук, профессор

ВООРУЖЕННЫЕ КОНФЛИКТЫ И ВЫНУЖДЕННАЯ МИГРАЦИЯ

Вооружённый конфликт и в результате этого вынужденная миграция в современном мире - тема очень актуальная. Война была и будет величайшей чумой человечества.

В результате процессов, происходящих в Сирии, миллионы людей потеряли свой дом и ищут убежище в других странах. В данной статье автор обсуждает разрушительные стороны вооруженного конфликта. Международные организации представили ужасающие статистические данные о миграции населения и принимают участие в обсуждении возможных решений конфликта – правового регулирования миграции.

რამდენად აღეკვამტურად იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქალაქეებს შინარაღებული კონფლიქტის დროს

ნაშრომის მიზანია შეაფასოს და გამოიკვლიოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას, რამდენად აღეკვამტურად იცავს მშვიდობიან მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიმუშავა ფართო საკანონმდებლო ბაზა, რაც ხელს უწყობს მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვას, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ამის საპირისპიროდ მეტყველებს. მსოფლიოში მიმდინარე ომებისა და შედეგად ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლის მოსპობა მოითხოვს უფრო სკურპულოზულად და დრმად იქნეს შესწავლილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა ეფექტურობა. მიმდინარე წელს პარიზში, თურქეთში, ბრიუსელსა და სირიაში მიმდინარე პროცესებმა, ათობით და ასობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობამ, საზოგადოებაში წამოჭრა მსგავსი კითხვები. ნაშრომში ასევე განხილულია ის გამოწვევები, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ეფექტურად აღსრულებას უშლის ხელს. შეიარაღებული კონფლიქტის დროს რთული მასში მონაწილე მხარეებმა აკონტროლონ მათი ქმედების სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობა და შედეგად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა, საომარ მოქმედებაში ჩართული მხარეების მიერ, რომელიც გაუფრთხილებლობით ან ხშირ შემთხვევაში განზრახ ხდება.

უმნიშვნელოვანესია ნაშრომის მკითხველმა გაიგოს, რას არეგულირებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნაწილია და ცდილობს შეამციროს ის ზარალი, რაც შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ადგება საზოგადოებას. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი წლების მანძილზე ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. მისი განვითარება დაიწყო ისეთი მცირე ჰუმანიტარული პრობლემის მოგვარების მცდელობით, როგორცაა სამედიცინო მისია. სამედიცინო მისიის შემდგომ მოხდა დაკავებულთა უფლებების დაცვის კუთხით გაფართოება, რომელიც საბოლოოდ ენევის 1949 წლის კონვენციით დავიერგინდა.

სირიისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით გაჩნდა აზრი, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კარგავს მის აქტუალურობას 21-ე საუკუნეში და ვეღარ უმკლავდება მიმდინარე პრობლემებსა და გამოწვევებს. აღნიშნული საკითხი მეტად საკამათოა და, რა თქმა უნდა, ორივე საწინააღმდეგო მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამართლის ნორმათა დაცვა თავისთავად არ ხდება (Per se). სამართალი ადგენს იმ წესებს, რომელიც სავალდებულოა ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ იქნეს დაცული და შესრულებული. ის ფაქტი, რომ დღეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მნიშვნელოვანი დარღვევა ხდება, არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სამართალი ვერ ახდენს მიმდინარე პროცესებთან ადაპტაციას. ზემოხსენებული საკითხი მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აქტუალურია და რელევანტური. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი წესების მიხედვით:

- ადამიანები, რომლებიც აღარ ან ვეღარ მონაწილეობენ შეიარაღებულ კონფლიქტში, უნდა იყვნენ დაცულნი მიუხედავად იმისა, რომელ დაპირისპირებულ მხარეს წარმოადგენენ.

- დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვაონ მშვიდობიანი მოქალაქეები და მებრძოლები, რათა საფრთხე არ შეექმნას მათ სიცოცხლესა და საკუთრებას.

- მებრძოლი ან/და სამხედრო ობიექტი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გახდეს თავდასხმის ობიექტი, რაც გონივრული განსჯის შედეგად დადგინდება, რომ მშვიდობიანი მოქალაქეების ზარალი არ იქნება იმაზე მეტი, ვიდრე სამხედრო მიზნის მიღწევა.

- დაპირისპირებულმა მხარეებმა შეიარაღებული კონფლიქტის დროს უნდა მიიღონ ის აუცილებელი ზომები, რათა არ მოხდეს მშვიდობიანი მოსახლეობის ან/და მათი ქონების მიზანში ამოღება. ამასთან, მხარეები მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რათა სწორად შეარჩიონ მათი სამხედრო აღჭურვილობის განლაგება, რომ არ მოხდეს მშვიდობიანი მოსახლეობის დაზარალება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი წყაროებია ხელშეკრულებები (ოთხი უენევის ხელშეკრულება და დამატებითი პროტოკოლები) და ჩვეულებითი სამართლის ნორმები. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელწიფოა უენევის კონვენციების ხელმომწერი და მათ შორის ბევრი აღიარებს მის დამატებით პროტოკოლებს. როგორც ხელშეკრულებები, ისე ჩვეულებითი სამართლის ნორმები დროსთან ერთად შეიცვალა და მისი ინტერპრეტაციაც, ყოველი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, განსხვავებულად განხორციელდა. მოსამართლეებმა წლების მანძილზე მოახდინეს აღნიშნული ხელშეკრულებებისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმების განსხვავებული ინტერპრეტაცია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინტერპრეტაციებიდან ყველა არ არის სავალდებულო და უმრავლესობა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა თანამედროვე სამყაროში ხშირად ხდება. აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელია სირიაში, უკრაინასა და სამხრეთ სუდანში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებმაც ათეულობით ათასი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლისა და ქონების განადგურება გამოიწვია. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა პრაქტიკაში გამოყენება და მისი აღსრულება რთული საკითხია. აღნიშნული სამართლის დარგი სწორედაც რომ დგას ამ პრობლემის წინაშე. ერთია ფურცელზე გადატანილი იდეალური ნორმათა ერთობლიობა და მეორეა მისი ეფექტური მუშაობა.

სირიაში მიმდინარე პროცესების შედეგად საერთაშორისო სამართლის ყველა დანაშაულის წარმოჩენა რთული საკითხია, რომელიც უმძიმეს შრომასა და დროს მოითხოვს. ნაშრომში განიხილება მხოლოდ ის დანაშაულები, რაც მკვეთრად და მარტივად იკვეთება. სირიის კონფლიქტი შიგასახელმწიფოებრივი კონფლიქტია, ვინაიდან აღნიშნული დაპირისპირება მიმდინარეობს მთავრობასა და აჯანყებულ ჯგუფებს შორის. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიარაღებულ კონფლიქტს ორ სახედ ყოფს: საერთაშორისო და არასაერთაშორისო. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი სახეზეა, როდესაც სულ მცირე ორი სახელმწიფო ებრძვის ერთმანეთს, ხოლო არასაერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეებს სახელმწიფო და ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები წარმოადგენენ. მარტივად რომ ვთქვათ, სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის ცნება სამართალში არ არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სახის შეიარაღებული კონფლიქტის მეორე სახის შეიარაღებულ კონფლიქტად გარდაქმნა სავსებით შესაძლებელია.

სირია საერთაშორისო კონვენციის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და წამების წინააღმდეგ კონვენციის წევრი სახელწიფოა. სირიის მთავრობისა და აჯანყებული ჯგუფების მიერ გამუდმებით ხდება მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლის მოსპობა ასაფეთქებელი ბომბებითა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენების გზით. წამება და არაადამიანური მოპყრობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებათა, რომლის დარღვევის ფაქტებიც გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის საბჭოს მიერ მრავლად გამოვლენილი. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ზემოსხენებული ორგანიზაციის მიერ გამოკვლეულ იქნა პატიმრების შიმშილობისა და მათზე სექსუალური ძალადობის ფაქტებიც. 2013 წელს სირიაში სამედიცინო პერსონალმა გამოაქვეყნა ღია წერილი, სადაც ეწერა, რომ აჯანყებული ჯგუფები სისტემატურად ახდენდნენ მათზე თავდასხმას. სირიელი სამედიცინო პერსონალის გარდა, არაერთგზის დაკავებულ და გატაცებულ იქნა გაეროს სამედიცინო შტაბის წევრებიც.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე საომარი პროცესების შედეგად, მძიმე გამოწვევების წინაშე დგას. ზემოსხენებული მრავალი გამოწვევიდან შეგვიძლია გამოვყოთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი:

- თანამედროვე სამყაროში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის რთული ხასიათი;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა აღსრულება.

უენევის 1949 წლის კონვენციის შემდგომ მოქალაქეთა ჩართულობამ შეიარაღებულ კონფლიქტში იმატა. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები არა მხოლოდ დაუსახლებელ, არამედ ურბანულ ადგილებშიც ხდება. საერთაშორისო ორგანოების დაარსებამ, როგორებიცაა სპეციალური მიზნებისათვის შექმნილი (Ad Hoc) საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი და სასამართლო, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა აღსრულება შედარებით გააადვილა. ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო ტრიბუნალის შემდეგ პირველი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი 1990 წელს შეიქმნა, რომელიც ეხებოდა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტერიტორიაზე განხორციელებულ ადამიანთა მასობრივ უღეტას. ორივე ტრიბუნალი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შეიქმნა. 1990 წლიდან დღემდე მცირე მსგავსი ტიპის შერეული ტრიბუნალები შეიქმნა. მაგ., კოსოვო, ბოსნია ჰერცეგოვინა, სიერა ლეონე, კამბოჯა, ლიბანი და ა.შ. აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის განვითარება უმნიშვნელოვანესია სამომავლო გამოცდილებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის. საერთაშორისო სამართლის იურისტების აზრით, ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის მსგავსი მექანიზმები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის საუკეთესო მაგალითია. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, როგორც უმნიშვნელოვანესი და უპირველესი მფარველი საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების აღსრულებისა, მუდმივად მხარს უჭერს მსგავსი პრეცედენტების შექმნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოსხენებული მექანიზმებისა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები გამუდმებით ირღვევა. ისმის კითხვა, როგორ უნდა მოხდეს დაპირისპირებულ მხარეთა მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა? როგორ უნდა ვაიძულოთ სირიაში მიმდინარე საომარი პროცესების მხარეები არ დაარღვიონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები და გაუფრთხილდნენ მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას? ვისზე ვრცელ-

დება პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის?

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც შენგვის კონვენციის ხელმომწერია, ვალდებულია ყველა დონე იხმაროს, რათა არ მოხდეს აღნიშნული კონვენციის ნორმების დარღვევა. აღნიშნული მიუთითებს კეთილსინდისიერების პრინციპზე – ხელშეკრულება უნდა შესრულდეს სრულად და ჯეროვნად (Pacta Sunt Servanda). სახელმწიფოს მიერ კონვენციის სამართლებრივი ნორმების დაცვა შედგება როგორც შიგა, ასევე გარე კომპონენტებისგან. შიგა კომპონენტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა არა მხოლოდ მისი შეიარაღებული ჯარისა და მოქალაქეების მიერ, არამედ მთლიანი მოსახლეობის მიერ. გარე კომპონენტის თანახმად ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ შეიარაღებულ კონფლიქტში, ვალდებული არიან უზრუნველყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესაბამისობაში მოყვანა.

მონაწილეთა გარდა, პასუხისმგებლობის ნაწილი ასევე უნდა გაიზიარონ აღნიშნულ პროცესებში ირიბად ჩართულმა მხარეებმაც. შეერთებულმა შტატებმა, ყატარმა, ქუვეითმა და საუდის არაბეთმა, რომლებიც აფინანსებენ სირიაში მიმდინარე პროცესებს ხელისუფლების წინააღმდეგ, უნდა აიძულონ მათ მიერ მიცემული თანხის ბენეფიციარნი დაიცვან და არ დაარღვიონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. პრაქტიკაში აღნიშნული საკითხის განხორციელება შემდგენიერად მოხდება: მებრძოლებს აეკრძალოთ იარაღი მიმართონ მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. პასუხისმგებლობის ნაწილი ასევე თანაბრად უნდა გადანაწილდეს ირანსა და რუსეთზე, რომლებიც ხელს უწყობენ სირიის ხელისუფლებას და უშუალოდ მონაწილეობენ როგორც ცოცხალი შეიარაღებული ძალებით, ისე ამარაგებენ იარაღითა და სხვა სამხედრო აღჭურვილობით. მათვე უნდა შეუშალონ ხელი, რათა არ მოხდეს მშვიდობიანი მოქალაქეების უფლებების დარღვევა.

21-ე საუკუნეში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე დიდი პრობლემა ტერორიზმთან ბრძოლაა. ტერორიზმი 21-ე საუკუნის ჭირად შეიძლება იწოდოს. დღეს ევროპის კონტინენტზე მიმდინარე პროცესები ამის ნათელი მაგალითია. ტერორიზმთან აქტიური ბრძოლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადა. გაეროს გენერალური ასამბლეა თანხმდება, რომ ტერორიზმთან ბრძოლა სრული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვით უნდა განხორციელდეს. მიუხედავად ამისა, ტერორიზმთან ბრძოლა ხშირად საერთაშორისო ნორმების დარღვევით ხორციელდება. თვით ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის უდიდესი აპოლოგეტია, ხშირად მის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმი ქვეყნის შიგა-სახელმწიფოებრივი სამართლის განსჯადია, ტერორიზმის მსხვერპლი ქვეყნები ხშირად ცდილობენ, რომ აღნიშნულ აქტს სხვადასხვა კლასიფიკაცია მისცენ და მათზე გაავრცელონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. აღნიშნული კვალიფიკაცია ქვეყნებს საშუალებას აძლევს ლეგიტიმურად მოახდინონ ტერორისტების სიცოცხლის მოსპობა. ზემოხსენებულ მეთოდს ხშირად მიმართავენ როგორც რუსეთი, ისე ამერიკის შეერთებული შტატები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღებულმა კონფლიქტმა სირიაში მილიონობით ადამიანის ბედი და ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ყველაზე საშინელი ის არის, რომ აღნიშნულ ომს დასასრული არ უჩანს. გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელსაც ევალება მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, სრული კრახი განიცადა. ისტორიულად შეიარაღებული კონფლიქტი ყოველთვის იყო იძულებითი გადაადგილებისა და მიგრაციის მიზეზი, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები კატეგორიულად მიუღებელია მისი მასშტაბებიდან გამომდინარე. აღნიშნული მასშტაბები მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პასუხი პრობლემის გადაჭრაზე არაადეკვატური და მეტად სუსტია, რომლის გამოსწორებას დიდი პოლიტიკური ძალისხმევა და შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა კეთილი ნება სჭირდება.

მერაბ რაჟავა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამდენად ადეკვატურად იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქალაქეებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს

განხილულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმდინარე აქტუალური საკითხები. თანამედროვე სამყაროში არსებული პოლიტიკური პროცესების შედეგად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეფექტურობა ეჭვქვეშ დადგა. ნაშრომში მოყვანილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ, მიუხედავად იმ დიდი საკანონმდებლო ბაზისა, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს არეგულირებს, ყოველდღიურად ასობით და ათასობით ადამიანი კარგავს სახლს, ოჯახის წევრებსა და სიცოცხლეს.

ასევე განხილულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების აღსრულების პრობლემა და აღსრულების პროცესში საერთაშორისო სასამართლოების როლი. ავტორის მიზანია მკითხველს გააცნოს, რა გამოწვევის წინაშე დგას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და რა გზები შეიძლება მოინახოს იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი შეიარაღებული კონფლიქტი.

MERAB RAPAVA,
Doctor of Juridical Sciences

HOW MUCH ADEQUATELY THE INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW (IHL) PROTECTS THE CIVILIANS DURING THE ARMED CONFLICT

The presented article deals with the actual issues of International Humanitarian Law (IHL). The current political process in the world brings a lot of questions, concerning the effectiveness of international humanitarian role. The statistics of many international organizations reveal, that despite the immense legislative data, which regulates the international humanitarian law, still a lot of people suffer from death, loss of family members and destruction of the property.

There are discussed the problems relating to the execution of international humanitarian law. There is also described the role of international courts and tribunals in execution of the IHL law. The author tries to show the reader the possible ways of solving the current IHL challenges and the ways to avoid the massive armed-conflicts.

МЕРАБ РАПАВА,
доктор юридических наук, профессор

НАСКОЛЬКО АДЕКВАТНО МЕЖДУНАРОДНОЕ ГУМАНИТАРНОЕ ПРАВО ЗАЩИЩАЕТ ГРАЖДАН ВО ВРЕМЯ ВООРУЖЕННЫХ КОНФЛИКТОВ

В данной статье рассматриваются актуальные вопросы международного гуманитарного права. В современном мире в результате политического процесса пришли к сомнению об эффективности

международного гуманитарного права. Предлагаемые статистические данные, опубликованные международными организациями, ясно показывают, что несмотря на большую нормативно-правовую базу, которая регулирует нормы международного гуманитарного права, каждый день сотни и тысячи людей теряют свои дома, семьи и жизни.

В статье обсуждаются проблемы обеспечения соблюдения норм международного гуманитарного права и соблюдения международной роли судов.

Автор ставит своей целью представить задачи, стоящие перед нормами международного гуманитарного права и каким образом можно найти порядок, чтобы избежать военного конфликта.

**„მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ 1954 წლის
კონვენციის მთავარი გამოცემა**

მოქალაქეობის არმქონე პირთა პრობლემების გლობალური ხასიათის გათვალისწინებით, საერთაშორისო თანამეგობრობამ მათი სტატუსის დადგენის თავისებური მიდგომა გამოკვლია, რაც საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში გამოიხატა. ამ მხრივ საბაზისო საერთაშორისო ხელშეკრულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ 1954 წლის კონვენცია (შემდგომში კონვენცია) წარმოადგენს. კონვენცია ადგენს მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსს, მათ საერთაშორისო-სამართლებრივ გარანტიებს, დისკრიმინაციის გარეშე მათ ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს. საქართველოს პარლამენტმა 1954 წლის კონვენციის რატიფიცირება 2011 წლის 9 დეკემბერს მოახდინა.

მოქალაქეობის არქონა პირის ისეთი სამართლებრივი მდგომარეობაა, რომელიც ადრინდელი მოქალაქეობის დაკარგვისა და ახლის მიუძღობის შემთხვევაში წარმოიქმნება. მოქალაქეობის არმქონე პირთა ორ კატეგორიას განასხვავებენ: პირველი კატეგორიას მიეკუთვნება პირი, რომელსაც დაბადებისთანავე არა აქვს მოქალაქეობა; მეორე კატეგორიას კი პირი, რომლის მოქალაქეობის არქონა მოქალაქეობის დაკარგვის შედეგია. მოქალაქეობის არქონას უარყოფითი შედეგი მოაქვს. მოქალაქეობის არმქონე პირი ვერც ერთ სახელმწიფოში ვერ სარგებლობს სრულად ქვეყნის მოქალაქის უფლებებით.

მოქალაქეობის არქონა არასასურველია როგორც მოქალაქეობის არმქონე პირების, ისე სახელმწიფოსთვისაც, ვინაიდან ისინი სახელმწიფოს არასტაბილურ მდგომარეობას უქმნიან. მოქალაქეობის არმქონე ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. მოქალაქეობის არქონა ქმნის სამართლებრივ, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ გამოწვევებს, რომელიც სახელმწიფოებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

1954 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირის დეფინიციას ამგვარად აყალიბებს: „აღნიშნული კონვენციით მოქალაქეობის არმქონე პირად ჩაითვლება პირი, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ, საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.“¹

აღნიშნული კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც:

- ამჟამად სარგებლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების ან დაწესებულებების დაცვით ან დახმარებით, გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისარიატისა;
- მისი ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება ცნობს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს;
- არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ მან:
 - ა. ჩაიღინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებისთვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად;

1. 1954 წლის კონვენცია „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“, მუხლი 1-ლი, პ.1.

ბ. ჩაიღინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მანამ, სანამ ამ ქვეყანაში იქნა მიღებული;

გ. ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების წინააღმდეგ ქმედებათა ჩადენაში.⁴¹

კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი დაცვას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, თუმცა ყოველმხრივ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

კონვენცია საშუალებას იძლევა მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ შემუშავდეს საერთაშორისო მიდგომები, რაც ამ სფეროში სახელმწიფოთა ერთიანი პოლიტიკის საფუძველია.

მოქალაქეობის არმქონე პირს სტატუსი ენიჭება მისი დომიცილი ან საცხოვრებელი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე.² თავის მხრივ, მოქალაქეობის არმქონე პირს ვალდებულება აქვს იმ ქვეყნის წინაშე, რომელშიც იმყოფება; ის ვალდებულია დაემორჩილოს ამ ქვეყნის არა მარტო კანონმდებლობას, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად გასატარებელ ღონისძიებებსაც.³

1954 წლის კონვენციით აღიარებულია მოქალაქეობის არმქონე პირთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი: „ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან კისრულობენ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების მოქმედება უზრუნველყონ რასის, რელიგიის ან წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“.⁴

აღნიშნული პრინციპის კონვენციისეული ჩამონათვალი შედარებით ვიწროა, ვიდრე ამას ითვალისწინებს:

1. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი: „თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან;“⁵

2. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ 1950 წლის ევროპული კონვენცია: „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედუ-

1. 1954 წლის კონვენცია „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“, მუხ.1-ლი,პ.2.

2. 1954 წლის კონვენცია „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“, მუხ.12, პ.1.

3. 1954 წლის კონვენცია „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“, მუხ.4.

4. 1954 წლის კონვენცია „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“, მუხ.3.

5. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, მუხ.26.

ლებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნით.“¹

კონვენცია არ ითვალისწინებს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებათა უზრუნველყოფის ზედამხედველობის რაიმე მექანიზმს, რის გამოც მისი შესრულება დაფუძნებულია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა „კეთილ ნებაზე“ .

კონვენციის ძირითადი გამოწვევაა, მოქალაქეობის არმქონე პირებს მიენიჭოთ ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელებზე არანაკლები უფლებები და მოვალეობები.

კონვენციის ღირებულებას ვერ აკნინებს ის გარემოება, რომ გარკვეული დებულებები, რომლებიც მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებს ეხება, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებში უკვე ასახულია. კონვენცია ერთიანი დოკუმენტის სახით ადგენს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების სტანდარტებს, მათი სამართლებრივი დაცვის ჩარჩოებს, რომელთა სრულყოფა ადამიანის უფლებების სფეროს სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით ხდება.

¹ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, მუხ14.

**„მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ 1954 წლის
კონვენციის მთავარი გამოწვევები**

სტატია ეხება „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1954 წლის კონვენციას. ეს არის ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, რომლის მიზანია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის დადგენა; ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ამ პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

1954 წლის კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე აწესებს მოქალაქეობის არმქონე პირთა განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, იცავს მათ სტატუსს, საკუთრების უფლებას. აღნიშნული ხელშეკრულება მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მოქალაქეობის არმქონე პირებს ჰქონდეთ უცხოელთა თანაბარი უფლებები.

KETEVAN CHAKHVADZE,
Doctor of Law

**THE BASIC APPROACH OF THE UN 1954 CONVENTION „RELATING TO
THE STATUS OF STATELESS PERSONS”**

The article analyzes the problems of the UN 1954 Convention „Relating to the status of stateless persons”. This is the main international instrument, the purpose of which is to regulate the status of stateless persons, provision against them of fundamental rights and freedoms without discrimination

The Convention establishes in the territory of states parties a certain legal status for stateless persons: protects the personal status of their property rights. The Convention obliges participant states to provide stateless persons the same legal position as it is accorded to foreigners on their territory.

КЕТЕВАН ЧАХВАДЗЕ,
доктор права

**ГЛАВНЫЕ ВЫЗОВЫ КОНВЕНЦИИ ООН 1954 Г., КАСАЮЩИЕСЯ ДОКУМЕНТА
„О СТАТУСЕ ЛИЦ БЕЗ ГРАЖДАНСТВА“**

В статье анализируются проблемы Конвенции ООН 1954 г. „О статусе лиц без гражданства“. Это основной международный документ, целью которого является регулирование статуса лиц без гражданства, обеспечение в отношении этих лиц основных прав и свобод без дискриминации.

Конвенция 1954 г. устанавливает на территории государств-участников определенный правовой режим для лиц без гражданства: защищает личный статус, их имущественные права. Данная Конвенция обязывает государств-участников предоставлять лицам без гражданства такое же правовое положение, каким пользуются на их территории иностранцы.

ბრძოლა – გზა, ხერხი და საშუალება

ადამიანური არსებობისა და განვითარების გზა მისივე მრავალმხრივი ბრძოლის გამოვლენაა. ბრძოლის გარეშე მის არსებობასაც აზრი ეკარგება. მაგრამ ბრძოლას თავისი წესები, მიზნები, ამოცანები და მეთოდები აქვს, რომელთა გარეშე ბრძოლის შედეგები ვერ იქნება სასურველი და სრულყოფილი.

აქედან გამომდინარე, ნაშრომი აქტუალურია, ხოლო მისი მიზანია ბრძოლის, როგორც მეთოდისა და საშუალების, სამართლებრივი და ფილოსოფიური გააზრება და წარმოჩენა.

ბრძოლა როგორც მეთოდი, როგორც უფლებებისა და თავისუფლებების მიღწევის ხერხი, გზა და საშუალება სხვადასხვაგვარია: შეიარაღებული, სამართლებრივი, პოლიტიკური, მეცნიერული, ფსიქოლოგიური, სპორტული, თვითდამკვიდრების, კონკურენტული და ა.შ. თვით სიცოცხლეს არ არსებობს ბრძოლის გარეშე. ყოველგვარი ბრძოლის მიზანია გამარჯვება, თავისუფლების მოპოვება და მშვიდობის დამყარება.

ბრძოლა ცოცხალი ძალაა. სწორედ ბრძოლაში ჩანს, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია ის, ვინც იბრძვის, რამდენად გონივრულად იბრძვის ანუ რამდენად მოხერხებულად იყენებს იმ ცოდნასა და გამოცდილებას, ხერხებს, გზებსა და საშუალებებს, რაც დღემდე შეუქმნია კაცობრიობას.

ბრძოლის გარეშე არ არსებობს გამარჯვება. გამარჯვება კი მიზნის მიღწევას გულისხმობს, იმ მიზნისა, რომელიც ახალი ბრძოლებისა და მიზნების დასახვის საწინდარია და ა.შ. დაუსრულებლად, ვინაიდან მთელი ცხოვრება ბრძოლაა. ბრძოლის დამთავრება სიცოცხლის დამთავრებას უდრის. ამიტომ, სანამ ადამიანი ცოცხალია, ის გამუდმებით იბრძვის – ზოგი მეტი ინტენსიურობით, ზოგი – ნაკლებად. ბრძოლა როგორც უზოგადესი მეთოდი, ვლინდება აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში. ბრძოლით მიიღწევა თავისუფლება – პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, რაც სულიერი პროგრესის აუცილებელი პირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის მეთოდი უზოგადესი ხასიათისაა, მასში აშკარად იკვეთება მებრძოლის სუბიექტური თვისებები. ბრძოლას თან ახლავს ტკივილი, სიხარული და გამარჯვებით მიღებული ამაღლებული განწყობა. ბრძოლას საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება მოაქვს და მომავალი ბრძოლისა და გამარჯვებისათვის ამზადებს პიროვნებას თუ საზოგადოებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრძოლა მარცხით მთავრდება, დამარცხებული უფრო მეტი მონდომებით ეძებს თავის თავში ახალ შესაძლებლობებს, ახალი ბრძოლისათვის მათი მობილიზებისა და გაძლიერების მიზნით.

ბრძოლა შეიძლება იყოს პროგრესულიც და რეგრესულიც, თავისუფლების მიმნიჭებელიცა და მისი შემზღვეველიც. ბრძოლაში, არცთუ იშვიათად, უარყოფითთან ერთად იღუპება დადებითი ფაქტორებიც. ამიტომ, ბრძოლა იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ მას პროგრესული და სამართლებრივი ხასიათი აქვს. პროგრესულობა კი მოიცავს უფლებებისა

და თავისუფლებების, პიროვნული შემოქმედებითი უნარებისა და სოციალური ურთიერთობების დახვეწას და გაღრმავების საზღვრების გაფართოებას.

ბრძოლას თან ახლავს ნოვაციების წარმოშობა და დანერგვა მეცნიერებაში, პოლიტიკაში, სამართალში, ეკონომიკასა და ადამიანური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში. ამიტომ, ბრძოლის მეთოდი ის უზოგადესი მეთოდია, რომელიც საფუძვლად უძევს ყველა სხვა მეთოდებს და მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ.

ბრძოლის მნიშვნელოვანი სახეა სამართლებრივი ბრძოლა. სწორედ სამართლებრივი ბრძოლით მიიღწევა სამართლებრივი თავისუფლება – უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანობა. როგორც რუდოლფ ფონ იერინგი აღნიშნავდა: “მიზანი უფლებისა არის მშვიდობა, საშუალება კი ამ მიზნის მისაღწევად – ბრძოლა. უფლება მარტო აზრი კი არ არის, იგი ცოცხალი ძალაა. ამიტომ, მართლმსაჯულების ქაღალდზე ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში – ხმალი: სასწორით იგი უფლებას წონის, ხმლით კი ამყარებს და იცავს მას. ხმალი უსასწოროდ წმინდა ძალადობაა, სასწორი კი უხმლოდ უძღურებაა უფლებისა.”

მშვიდობა შეიძლება იყოს თავისუფლების გარეშე, მაგრამ ეს არ იქნება საყოველთაო თავისუფლება, არამედ ის საზოგადოების მხოლოდ გარკვეული წრის პრეროგატივა შეიძლება იყოს. მაგალითად, დაპყრობილი ქვეყნისათვის მშვიდობა მხოლოდ დამპყრობლის თავისუფლებას ემსახურება, ისევე როგორც ტოტალიტარულ საზოგადოებაში ეს სიკეთე მხოლოდ ხელისუფლების ხელში ხვდება. ამიტომ, ჭეშმარიტი მშვიდობა ბრძოლის გარეშე ისევე არ არსებობს, როგორც თავისუფლება უფლებების გარეშე. როგორც თავისუფლებას, უფლებასაც ბრძოლა და დაბრკოლების გადალახვა ესაჭიროება. ამიტომ, უფლება და თავისუფლება მხოლოდ იმათი ხვედრია, ვინც მათ მოსაპოვებლად თავდაუზოგავად იბრძვის. უფლებაც და თავისუფლებაც სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებთან, ძველსა და რეგრესულთან ჭიდილში იბადება, რათა დაამკვიდროს ახალი და პროგრესული.

უფლება ორგვარი ბუნებისაა: პოლიტიკურ-სამართლებრივი და მორალურ-ეთიკური, თავისუფლება კი გაცილებით ფართოა და მოიცავს უფლებებს, ქმედებებს, შემოქმედებას, მთელ ცნობიერ, ნებელობით, ქვეცნობიერ-ინტუიციურ და ფიზიკურ უნარებს. თავისუფლების მოპოვებას ისევე ესაჭიროება ცნობიერ-ქვეცნობიერი ფაქტორები, როგორც ფიზიკური შესაძლებლობები. როდესაც ოპონენტები ჩემ მიერ თავისუფლების არსის განსაზღვრისას შეთავაზებულ ფიზიკურ ფაქტორს ეჭვის ქვეშ აყენებენ, მინდა მათ კიდევ ერთხელ გავახსენო, რომ ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ ცნობიერ-ქვეცნობიერ და ნებელობით ფაქტორებს, თავისუფლებისათვის ბრძოლა ფიზიკური შესაძლებლობების გარეშე ისევე ცალმხრივია, როგორც ადამიანის არსებობა მისი ფიზიკური არსებობის გარეშე, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ, როგორც ადრეც აღვნიშნავდი, თვით ცნობიერიცა და ქვეცნობიერ-ინტუიციური, ნებელობითი და შემოქმედებითი უნარებიც მხოლოდ სხეულებრივის არსებობით ფუნქციონირებს.

უფლება აუცილებლობით მოიცავს თავისუფლებას, ხოლო თავისუფლებაში უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვა მრავალთა შორის.

უფლების მოპოვებისათვის, ისევე როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ადამიანებს შორის განსაკუთრებული ურთიერთგაგება და სიყვარული იბადება, რომლის „სიმტკიცე და ძლიერება იმ ძალ-ღონით იზომება, რომელიც მათ უფლების (და თავისუფლების – (ნ.მ.) შექმნა-განმტკიცებაში დაუხარჯავთ“.

თავისუფლების, ღირსების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის, მორალური უფლებებისათვის ბრძოლა, რომელშიც სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები იგულისხმება, სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია და მასზე უარის თქმა ერის ზნეობრივი სიკვდილის ტოლფასია. ეს კი, როგორც საკაცობრიო ისტორია გვასწავლის, ხშირად ერის ფიზიკურ გაქრობასაც იწვევს იმ სტიქიური კატასტროფების მეშვეობით, რასაც ეს უარყოფითი ენერჯია წარმოშობს.

უფლება და თავისუფლება მჭიდრო კავშირშია მის მფლობელ ადამიანთან და როდესაც მის საკუთრებას ეხებიან, როგორც იერიინგი ამბობს, ამით თვით ამ პიროვნებას ეხებიან. ამდენად, ილახება მისი არა მხოლოდ უფლებრივი ცნობიერება, უფლებრივი გრძობა, უფლებრივი რწმენა, არამედ თავისუფალი არსებობის ელემენტარული პირობებიც – იმოქმედოს და შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემებს. მოქმედება კი ფიზიკური შესაძლებლობების გარეშე წარმოუდგენელია.

„თუ უფლებრივი გრძობა მოქმედებას მოკლებულია, – წერს იერიინგი, მაშინ იგი თანდათან უძღურდება და ჩლუნგდება“.

რაც შეეხება უფლებებისა და თავისუფლებების ურთიერთმიმართებას, უნდა აღინიშნოს, რომ უფლებებისა და თავისუფლებების დიალექტიკური ხედვა ისევე ცალმხრივია, როგორც მათი მეტაფიზიკური განხილვა. მართალია, უფლებები და თავისუფლებები ურთიერთგანვითარების, ახალი უფლებებისა და თავისუფლებების წარმოშობის დიალექტიკის აუცილებელი პირობაა, მაგრამ მხოლოდ უფლებები და თავისუფლებები არ არის საკმარისი მათი განვითარებისათვის. ამ პროცესებში ჩართულია უამრავი რეალური თუ ფარული, პოტენციური მექანიზმები – დაწყებული ადამიანური ფაქტორებით (განათლება, ინტელექტი, ფსიქიკა, შემოქმედებითი უნარები, ფიზიკური შესაძლებლობები, განწყობა, მსოფლმხედველობა, ქარიზმატული უნარები და ა.შ.) და დამთავრებული საზოგადოებრივი პროცესებით შიგა და საერთაშორისო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სამართალში, რელიგიაში, იდეოლოგიაში და ა.შ.

რაც შეეხება თავისუფლებებისა და უფლებების მეტაფიზიკურ პროცესს, იგი ამ მოვლენების ურთიერთკავშირს გამორიცხავს და მათი ერთმანეთისაგან იზოლირებულ განვითარებაზეა დამყარებული. დამოუკიდებელი განვითარება კი შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ ადამიანი თავისი არსით უკავშირდება ამ სამყაროს, საზოგადოებას და მასში მიმდინარე პროცესებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი მთელი ძალისხმევით ცდილობს იცხოვროს ყველასა და ყველაფრისაგან მოწყვეტით, ვინაიდან მასში უკვე არსებობს გენეტიკური განპირობებულობა ადამიანის, საზოგადოებისა და გარემომცველი სამყაროს სახით.

ამრიგად, ერთადერთ ჭეშმარიტ მიდგომას თავისუფლებებისა და უფლებების ურთიერთგანვითარებისა და განსაზღვრულობისათვის ჩემ მიერ წარმოდგენილი თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მეთოდი წარმოადგენს.

ამასთან, ჩვენ თვალწინ შეუდარებლად სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და საერთო-კულტურული სივრცეების თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალიზება, რომელიც გლობალიზაციის ყველაზე დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს და რომელიც ადამიანის სულიერი პროგრესის აუცილებელი ფაქტორია.

თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მეთოდი, რომელიც ჩემ მიერ ჯერ კიდევ 90-იან წლებში იქნა ჩამოყალიბებული, გულისხმობს როგორც მთელის სხვადასხვა ნაწილის უკვე არსებულ ერთიანობას, განახლებას, შევსებასა და ადრე არსებული მთლიანის ამაღლებას, ისე მთელის ავტონომიური ნაწილების კვლევას. კვლევის ინტეგრალური მეთოდი ემსახურება მთელის ელემენტებს შორის არსებული ურთიერთობების, ინტენსიურობის, მოცულობისა და ურთიერთზემოქმედების გაფართოებას და ამით ქმნის მთლიანობისა და ურთიერთქმედების ახალ სისტემებს როგორც ბუნებაში, ისე სოციალურ გარემოში და ადამიანის ამოუწურავ არსში.

ჩემ მიერ შემუშავებული ინტეგრალური მეთოდის მიხედვით, საგნები, მოვლენები, ქცევები და აზროვნების ყოველი გამოვლინება, შემეცნების ყოველი საფეხური და ადამიანის მთელი ფსიქიკა მოიცავს არა მხოლოდ მიზეზობრიობასა და მის საპირისპირო – სრულ თავისუფლებას, არამედ მათ შორის არსებულ გარდამავალ, ნეიტრალურ, პოტენციურ და ჯერ კიდევ შეუცნობელ მოვლენებს, რომლებიც „სხვან“ კატეგორიის სახით წარმოგვიდგება და საგნებსა და მოვლენებს, აზროვნებასა და ქცევებს იმ მრავალფეროვან და ანტინომიურ თვისებას ანიჭებს, რომელთა გამო ფილოსოფოსთა გარკვეული ჯგუფი ამ მოვლენებს, საგნებსა და ადამიანს ბოლომდე შეუმეცნებლად, აგნოსტიკურად აფასებდა, რომელმაც ი. კანტის შრომებში სისტემური ხასიათი მიიღო.

მაგალითად, სამყარო, რომელიც კანტთან სასრულისა და უსასრულოს სახით არის წარმოდგენილი, ინტეგრალური მიდგომის შედეგად გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე სასრულობა და უსასრულობა, ვინაიდან მათ შორის, ჩემი თვალსაზრისით, განუწყვეტელი პროცესი მიმდინარეობს გარდაქმნების, ტრანსფორმაციის, გაყოფის, ვარირების, ახლის წარმოშობის, ინტეგრაციის, შეფასებისა და ა.შ. სახით, რომლებიც სამყაროს სასრულობისა და უსასრულობის სახით წარმოაჩენს, პროცესებს – მიზეზობრივად განსაზღვრულად ან სრულიად თავისუფლად, ხოლო აზროვნებას – ანტინომიურად ან უკიდურესად სუბიექტურად, რომელშიც ეს თვისებები მასში არსებული „მე“-სა და „არა მე“-ს გარდა, მოიცავს ჩემ მიერ დამკვიდრებულ კატეგორიას – „სხვას“, რომელთა ინტეგრალური ერთობა ადამიანის უნიკალურ „პოტენციურ ფსიქიკას“ ქმნის როგორც მეორე სუნთქვას, რომელიც ეხმარება ადამიანის სულიერ, ფსიქიკურ და ფიზიკურ უნარებს და აძლიერებს მათ.

რომ არა შუალედური, გარდამავალი, ნეიტრალური და ა.შ. სხვა უამრავი თავისუფლად ვარირებადი პროცესები, რომლებიც სამყაროს ამოუწურავ ბუნებასა და ადამიანის მრავალფეროვან და უნიკალურ შესაძლებლობებს განაპირობებს, შეუძლებელი იქნებოდა ქცევის მხოლოდ მიზეზობრიობიდან მხოლოდ თავისუფლებაზე გადასვლა, ასევე სამყაროს სასრულობიდან მის უსასრულობამდე მისვლა, რომელიმე კონკრეტულ სახედ ჩამოყალიბება და ა.შ.

სამართალში გარდამავალი, ნეიტრალური, პოტენციური და ჯერ კიდევ შეუცნობელი მოვლენები და „სხვან“ ორ დაპირისპირებულს შორის არსებული ფაქტებისა და ქმედებების სახით ვლინდება ლატენტურის, პოტენციურისა და რეალურის გავლენით.

აღნიშნული უნარები ვლინდება გარდაქმნების, ტრანსფორმაციის, გაყოფის, ვარირების, ახლის წარმოშობის, ინტეგრაციის, შეფასებებისა და ა.შ. მეთოდების სახით.

ამ თვალსაზრისით, ქცევის სამართლებრივი აპრიორულობა, აპოსტერიულობა და პოტენციურობა განსაზღვრულია იმ პოტენციური ფსიფიკით, რომელსაც „მე“-ს, არა მე“-სა და „სხვას“-ის ინტეგრალური მთლიანობა იწვევს.

სწორედ ინტეგრალური მეთოდით მომეცა საშუალება გამომეკვლია ადამიანის პოტენციური ფსიქიკა, რომელიც წარმოვადგინე როგორც „მე“-ს, „არა მე-სა“ და „სხვან“-ის ერთობლიობა, თავისუფალი შუალედური სპექტრი ორ დაპირისპირებულსა და ორ იგივეობრივს შორის სამყაროში – შუალედურის, გარდამავლის, ნეიტრალურის და ჯერ კიდევ შეუცნობლის სახით, რომლებიც არსებობს და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საგნებისა და მოვლენების განვითარებაზე და სრულიად ახალ კავშირებსა და სისტემებს ქმნის.

თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მეთოდით იქნა გააზრებული ადამიანური შემეცნების, ცნობიერებისა და სხვა შესაძლებლობების მოსალოდნელი შედეგები, რაც ინტეგრალურ, მრავალმხრივ და შემოქმედებით განათლებას შეიძლება მოჰყვეს და რაც საბოლოო ჯამში მისი უფლებებისა და თავისუფლებების გადრმავებას მოხმარდება.

თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მეთოდით იქნა მიღებული პოლიტიკური თავისუფლების კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით სიცოცხლის სიყვარულით განსაზღვრული პოლიტიკური თავისუფლება თავისუფლების განსაკუთრებული ფორმაა. იგი აყალიბებს აქტიურ, თავისი ქვეყნის, ხალხის, საკუთარი თავისა და ბედისათვის მებრძოლ პიროვნებას, განსაზღვრავს და განამტკიცებს ქვეყნის ადგილს საერთაშორისო პოლიტიკაში, ამადლებს საკუთარი ქვეყნის, ხალხისა და პიროვნების იმიჯს. იგი აფრთხილებს ხელისუფლებას, პარტიებსა და წარმომადგენლობით ინსტიტუტებს – არ იმოქმედონ სახელმწიფოსა და ხალხის ნების წინააღმდეგ, დაიცვან სხვა სახელმწიფოებთან სწორი ორიენტაცია, რათა არ ავნონ არც თავის და არც სხვა ხალხებს, რამეთუ მათ მიერ დაშვებული მცირეოდენი ნაკლი და შეცდომა მკაცრად ისჯება მთელი საკაცობრიო ისტორიით..., მაგრამ, უზრუნველყოფს რა მოქალაქეთა ინფორმაციულ თავისუფლებას, ხელმისაწვდომს ხდის ყველა ინფორმაციას და გამორიცხავს შეცდომისა და არაჰუმანური დასკვნების შესაძლო შედეგს პოლიტიკური თავისუფლების გაფართოებისათვის.

ასეთი თავისუფლების მიღწევის გზები გადის სწორ აღზრდასა და განათლებაზე, რაც შედეგად ძლიერ და ჰუმანურ პიროვნებებს აყალიბებს. ასეთი პიროვნებების გარეშე არ იქმნება ძლიერი საზოგადოება, ხოლო ძლიერი საზოგადოების გარეშე – ძლიერი სახელმწიფო. ძლიერი პიროვნება ესაა თავისუფალი პიროვნება, რომელიც ფლობს მრავალმხრივ ცოდნასა და ინტეგრალურ აზროვნებას.

ძლიერია საზოგადოება, რომელიც ფლობს მეცნიერულად დასაბუთებულ მის მმართველობით თეორიას, დამყარებულს ჰუმანურ და ობიექტურ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეროვნულ, კულტურულ და ა.შ. უფლებებსა და თავისუფლებებს.

პოლიტიკურად თავისუფალია სახელმწიფო, რომელშიც თავისუფლად რეალიზდება საზოგადოების ყოველი წევრის გონივრული და ჰუმანური ინტერესები, მიზნები და გადაწყვეტილებები. ესაა სახელმწიფო, სადაც ადამიანი, მისი სიცოცხლე და თავისუფლება საზოგადოების უმაღლესი მიზანი და უმაღლესი ფასეულობაა, რომლის ბედნიერების სახელით კეთდება ყველაფერი, ვინაიდან სწორედ ადამიანი როგორც სამყაროს გვირგვინი და მისი მოღვაწეობა არის ძლიერი სახელმწიფოსა და ძლიერი საზოგადოების უმთავრესი საფუძველი.

მართალია, პოლიტიკური თავისუფლება დაკავშირებულია რისკთან, მაგრამ რამდენადაც იგი ემყარება ზემოაღნიშნულ თვისებებს, სრულიად გამოირიცხება გაუცნობიერებელი, ქაოსური მოქმედებები, თავისუფლებისა და ბედნიერებისაგან გაქცევა და ა.შ.

პოლიტიკური თავისუფლება განუყოფელია თანასწორობისა და სამართლიანობისაგან, რამეთუ აზროვნებისა და ცოდნის ინტეგრალურობა, ჰუმანურობა, სიცოცხლისადმი სიყვარული და თავისუფლების ყველა სხვა თვისება ადამიანის მოღვაწეობას მიმართავს სწორედ სამართლიანობის დახვეწილი ფორმებისაკენ, რათა კვლავაც შექმნას და გააფართოს თავისუფლების საზღვრები უსასრულოდ.

ასეთ თავისუფლებას შეუძლია განამტკიცოს მხოლოდ მაღალი ჰუმანური ღირებულებები, ვინაიდან იგი გენეტიკურად ბოძებული თავისუფლების, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზური მთლიანობის ერთობლიობაა, რომლის პოზიციებს ამყარებს კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლის მთელი წინაისტორია, გარდაქმნილი პიროვნების გენეტიკურ თვისებად.

თავისუფალი ვარიანტების ინტეგრალური მიდგომის საუკეთესო გამოვლენაა სამოქალაქო სამართალი თავისი მრავალფეროვანი სამართლებრივი ურთიერთობების დისპოზიციური ხასიათით, რომელიც ამ კოდექსის მეათე მუხლის 3.2-ითაა წარმოდგენილი, რომლის მიხედვით: „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი მოქმედება“.

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციიდან დაწყებული, არაერთ სამართლებრივ აქტსა და საერთაშორისო ნორმებითაა უზრუნველყოფილი. ამ პრობლემებს ეძღვნება არაერთი სამეცნიერო მოსაზრებაც. თუმცა მათში ნაკლებად ვხვდებით უფლებებისა და თავისუფლებების ინტეგრალურ კვლევას. პრაქტიკა კი ამის აუცილებლობაზე მეტყველებს.

უფლებებისა და თავისუფლებების ინტეგრალურობა ასევე მოიცავს ხელოვნების ფაქტორს, რომელიც, სამწუხაროდ, არცთუ ეფექტურადაა გამოყენებული სამართლებრივ სივრცეში. არადა ხელოვნება მართლაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა პატიმართა უფლებებისა და თავისუფლებების ბალანსირებაში, მათი პიროვნული თვისებების განმეორებასა და დახვეწაში, ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში.

ისტორიულად ცნობილია, რომ ხელოვანი არასოდეს არ ყოფილა მკვლელი ან საშიში კრიმინალი. ხელოვნება ადამიანის ყველაზე ღრმა გრძნობებზე ზემოქმედებს და აკეთილშობილებს მის სულს. ჯერ კიდევ პლატონი განსაკუთრებულად ასახელებდა სწორედ ხელოვნებას, კერძოდ მუსიკას. მოზარდის აქტიური ემოციების გაწონასწორების მიზნით მნიშვნელოვნად თვლიდა მშვიდ მუსიკას, ხოლო ინსტრუმენტებიდან უპირატესობას ფლეიტას ანიჭებდა.

ხელოვნებაში ადამიანის თავისუფლება ყველაზე სრულყოფილად ვლინდება და არა მხოლოდ საკუთარი უფლებების, არამედ სხვათა უფლებებისადმი პატივისცემის კულტურას ანუ საერთო-სამართლებრივ კულტურას აყალიბებს. ფლობს რა ინდივიდი სამართლებრივ კულტურას, იგი ფლობს ასევე სამართლებრივ თავისუფლებასაც. ეს ნიშნავს, რომ იგი აზროვნებს და მოქმედებს არა მხოლოდ თავისი ინდივიდუალური მოთხოვნებით, არამედ შეუძლია სამართლებრივ ღირებულებებში ადაპტაცია და ამით მის წინაშე არსებული პრობლემების პოზიტიური გადაწყვეტა.

სამართლებრივი კულტურა კი, როგორც ყველა პროგრესული მოვლენის ერთობლიობა, სამართლებრივ აზროვნებას გარდაქმნის თავისუფალ, ჰუმანურ, დახვეწილ და ზნეობრივ მოღვაწეობად. იგი აყალიბებს ადამიანს არა მხოლოდ საზოგადოებრივად – გარდაქმნითი მოღვაწეობის უშუალო სუბიექტად, არამედ სამართლის შემფასებლადაც.

უფლებებისა და თავისუფლებების ინტეგრალურობაში ასევე ჩართულია რელიგია.

ამ თვალსაზრისით, რელიგიური იდეოლოგია საუკუნეებით განმტკიცებული ძალაა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამეცნიერო საუკუნე ყოველმხრივ ცდილობს დაამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა საზოგადოების პროგრესის თვალსაზრისით, რელიგიური იდეოლოგია ვერ იცვლება ვერაფრით, ვინაიდან მან მოიშორა შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული „იმპერიულობა“ და მთელი ძალისხმევით ცდილობს ხელი შეუწყოს ჰუმანური, მშვიდობიანი და ჭეშმარიტად თავისუფალი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას.

სწორედ რელიგიაა ის სფერო, რომელსაც ძალუძს დვთაებრივი შეგონების გზით ჭეშმარიტებისაკენ შემოაბრუნოს ადამიანის დანაშაულებრივი ფსიქიკა, ასწავლოს საკუთარი უფლებების გამოყენების კულტურა, რომელიც სხვათა უფლებების პატივისცემასაც გულისხმობს, შთაუნერგოს სიცოცხლისადმი სიყვარული, რაც, თავის მხრივ, მისივე სულიერი თავისუფლების საფუძველია.

ასეთივე თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური კვლევაა აუცილებელი სხვა ნებისმიერი უფლებებისა და თავისუფლებების კვლევისას, რაც მათ ურთიერთგანსაზღვრულობაში გაგვიხსნის სრულიად ახალ პერსპექტივებს და ახლებურად წარმოადგენს სამართლებრივი აზროვნების პროგრესულ განვითარებას.

ამგვარად, ბრძოლის მეთოდი და მისი შედეგი – უფლებებისა და თავისუფლებების ინტეგრალურობა სამართლებრივი თავისუფლების განვითარების გზაზე ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, იგი ეწინააღმდეგება სამართლის „წმინდა თეორიას“ და მიზნად ისახავს დაამკვიდროს მისი ყოველმხრივი, მრავალგანზომილებიანი, თუნდაც ყველაზე წარმოუდგენელი კავშირები და მიმართებები სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან.

ბრძოლა – მეთოდი, გზა, ხერხი და საშუალება

ნაშრომში განხილულია ბრძოლა როგორც მეთოდი, გზა, ხერხი და საშუალება.

ავტორი გვთავაზობს ბრძოლის მეთოდებს: გარდაქმნების, ტრანსფორმაციის, გაყოფის, ვარირების, ახლის წარმოშობის, ინტეგრაციის, შეფასებებისა და ა.შ. მეთოდების სახით, რომლებიც ეყრდნობა მის მიერ შემუშავებულ „თავისუფლად ვარირებად ინტეგრალურ მეთოდს“, რომლის მიხედვით საგნები, მოვლენები, ქცევები და აზროვნების ყოველი გამოვლინება, შემეცნების ყოველი საფეხური და ადამიანის მთელი ფსიქიკა მოიცავს არა მხოლოდ მიზეზობრიობასა და მის საპირისპირო – სრულ თავისუფლებას, არამედ მათ შორის არსებულ გარდამავალ, ნეიტრალურ, პოტენციურ და ჯერ კიდევ შეუცნობელ მოვლენებს, რომლებიც „სხვან“კატეგორიის სახით წარმოგვიდგება და საგნებსა და მოვლენებს, აზროვნებასა და ქცევებს იმ მრავალფეროვან და ანტინომიურ თვისებას ანიჭებს, რომელთა გამო ფილოსოფოსთა გარკვეული ჯგუფი ამ მოვლენებს, საგნებსა და ადამიანს ბოლომდე შეუშეცნებლად, აგნოსტიკურად აფასებდა.

NATELA MAISURADZE,
doctor of philosophy and law

FIGHT, AS A METHOD, A WAY MEANS AND OPPORTUNITY

The author suggests the methods: reorganizations, transformation, distribution, variation, new origin, integration, evaluation, etc. Methods, which are based on the developed by the "free variation integral method" according to which: objects, events, behaviors and ways of thinking of each manifestation of understanding of each step and the whole human psychics includes not only causality and its opposite - complete freedom, but also including the transitional, neutral, potential and still unknown events, that "other n" category in the form of set forth and things and events, attitudes and actions of the diverse and antinomical qualities, to which the philosophers of a certain group of these events, things and people till the end incognizable, agnostic value and having I. Kant's works in a systematic character.

НАТЕЛА МАИСУРАДЗЕ,
доктор философии и права

БОРЬБА КАК МЕТОД, СПОСОБ, СРЕДСТВО И ВОЗМОЖНОСТЬ

Рассматривается борьба как метод, способ, средство и возможность.

Автор предлагает методы борьбы: трансформации, преобразования, распределения, изменения, интеграции, оценки и т.д. Методы, которые основаны на разработанном автором «свободно варьированном интегральном методе», согласно которому: объекты, события, поведение и образ

мышления, каждое проявление познания, каждый шаг и вся человеческая психика включают в себя не только причинность и ее противоположность – полную свободу, но и в том числе переходные, нейтральные, потенциальные и до сих пор неизвестные события, которые представляются в виде категории "другая" форма, которая вещам, событиям, мышлению и действиям придает разнообразные и антиномические качества, вследствие которых мыслители определенной группы эти события, вещи и людей оценивают как агностические.

მედიის არსი და მისი სამართლებრივ-პოლიტიკური მენეჯმენტი

მედიის მნიშვნელობაზე, მის არსზე არაერთი გამოკვლევა არსებობს, თუმცა არის კიდევ მრავალი საკითხი, რომლებიც კვლავ გვახსენებს თავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არცთუ იშვიათად გვხვდება. ეს არის მედიის ეთიკის საკითხები, მედიაზე პოლიტიკური ზეწოლის პრობლემები, მაშინ როდესაც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მედია თითქმის ხელუხლებელი სფეროა და განუზომელი თავისუფლებით სარგებლობს. ამიტომ, მედიის სამართლებრივი და პოლიტიკური მენეჯმენტის საკითხები კვლავ რჩება ყურადღების ცენტრში. ბუნებრივია ისმის კითხვა: არის თუ არა მედია, როგორც მას უწოდებენ, მართლაც „მეოთხე ხელისუფლება“ და აქვს თუ არა სამართლებრივ-პოლიტიკური უფლებები ან მმართველობის განხორციელების მექანიზმები, როგორც ხელისუფლების სხვა შტოებს? თუ მედიას ასეთი უფლებები მართლაც აქვს, მაშინ შ. მონტესკიეს ხელისუფლების დაყოფის პრინციპებს გადახედვა ესაჭიროება, მაგრამ, თუ მედიას ასეთი ძალაუფლება არ გააჩნია, მაშინ მას არ შეიძლება შევუქმნათ ასეთი წარმოდგენა, ვინაიდან ეს არღვევს მის ეთიკურ სივრცეს, ხოლო საზოგადოება, რომლის დიდი ნაწილი მედიის რესპოდენტია და თვით მედიის წარმომადგენლებიც აქედან გამოწვეულ უხერხულობას ნამდვილად განიცდიან.

სწორედ ამ საკითხების კვლევას ეძღვნება მოცემული ნაშრომი.

მედია ადამიანური მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროა. მისი განსაკუთრებულობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება საზოგადოებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორიცაა ინფორმაციული უზრუნველყოფა, რაც საზოგადოების თავისუფლების მნიშვნელოვანი საფუძველია, რადგან ინფორმაციის ფლობა უკვე პრობლემის ნახევრად მოგვარებას გულისხმობს.

მედიას მოიხსენიებენ როგორც მეოთხე ხელისუფლებას, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი არსებობა განაპირობებს პოლიტიკური მმართველობის შედარებით მოწესრიგებულ ქმედებას. სწორედ მედიის მიერ განხორციელებული კრიტიკა, მუდმივი კონტროლი და ამ კონტროლითა და მოკვლეული მასალის საზოგადოებისათვის მიწოდების რეალურობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფო ორგანოებისა თუ კერძო ბიზნესის ფუნქციონირების შედარებით გამართულ სამართლებრივ ფუნქციონირებას.

მედია თავისი მრავალმხრივი და აქტიური საქმიანობით აყალიბებს კონკრეტული ფსიქიკის, იდეოლოგიისა და განწყობის საზოგადოებასა და კონკრეტულ პიროვნებებს. მედია განსაზღვრავს საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და ჯგუფის გაერთიანებას. რომ არა მედია, თავის ვიწრო სფეროებში ჩაკეტილი ისედაც დანაწევრებული საზოგადოება, რომელიც არ ინტერესდება მისი მოქმედების გარეთ არსებული სფეროების, სისტემებისა და ქვესისტემების წარმომადგენელთა მიღწევებით, რომელსაც თავისი საკუთარი ენობრივი სისტემა და ვიწრო სპეციალიზაცია გააჩნია და ამის გამო მოკლებულია ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალებას, ვერ გაიგებდა რა ხდება ჩვენზე საზოგადოებაში ან მის საზღვრებს მიღმა. მართლაც, როდესაც სამეცნიერო ხასიათის კონფერენცია ტარდება, მას ესწრებიან მხოლოდ მისი მონაწილეები და არა იმ დარგის სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, რომლებსაც წესით უნდა აინტერესებდეთ თუ რა ხდება საინტერესო მათივე

სფეროში, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა დარგის წარმომადგენლებზე. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, არათანამიმდევრული სოციალური რეალურობისა და ადამიანთა ურთიერთობებში მექანიკურ და ინსტრუმენტულ ხასიათს.

სწორედ მედიის საშუალებით ხდება მთელი საზოგადოების ინფორმირება ამ ჯგუფებისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის მოღვაწეობის შესახებ და მათ სფეროში არსებული სამეცნიერო თუ პრაქტიკული სიახლეების მიწოდება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

მედია ეფექტურად ასრულებს დაცვის გარანტის ფუნქციას ყველა მნიშვნელოვანი პრობლემების, გამოსვლებისა და კრიზისების გადაღებისა და გაშუქების დროს, როდესაც სამთავრობო ორგანიზაციები მათი თანდასწრებით ვეღარ ბედავენ თვითნებურად იმოქმედონ კერძო პირებისა თუ საზოგადოების დიდი ჯგუფების გამოსვლების წინააღმდეგ.

სწორედ მედიაა ის მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც სახელმწიფო და მასში მიმდინარე პროცესები თვალსაჩინო და გასაგები ხდება საერთაშორისო მასშტაბით. მედიას ძალუძს თავდაყირა დააყენოს მთელი ქვეყნის ან ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერის იმიჯი ან, პირიქით, წარმოაჩინოს ისინი როგორც განუმეორებელი და ძალიან საინტერესო, ხელი შეუწყოს ეკონომიკის, ტურისტული ბიზნესის და ა.შ. განვითარებას.

ამდენად, მედია ასრულებს საზოგადოების გამაერთიანებლის, მისი იდეოლოგიის, განწყობის შექმნის, გარანტის, დაცვის, გამუდმებული მაკონტროლებლისა და საზოგადოების სულიერების ამაღლების და, მაშასადამე, მისი პროგრამული განვითარების ფუნქციებს.

მედია მთელი თავისი მრავალფეროვანი სისტემების მეშვეობით (საგამომცემლო სფეროთი, სატელევიზიო, რადიოსა და ინტერნეტსაშუალებებით) განსაზღვრავს საზოგადოების სულიერებას, იყრობს რა მთელი მათი ინტერესის სფეროს და, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ერთმანეთს ჯერ ისევ ვერ ენაცვლება, არამედ ერთმანეთს ავსებს. როდესაც საუბრობენ ინტერნეტის მიერ პრესის და, საერთოდ, ბეჭდური მედიის ჩანაცვლებაზე, ამ მოსაზრებას ვერანაირად ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ჯერ კიდევ დიდია ამ სფეროს მნიშვნელობა, გამოყენების მოხერხებულობა და აუცილებლობა საზოგადოებისა და თითოეული ადამიანისათვის.

აქედან გამომდინარე, მედიის სამართლებრივ-პოლიტიკური მენეჯმენტი უმნიშვნელოვანესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან მედიის სამართლებრივად გამართული მართვა, მისი სამართლებრივ-პოლიტიკური თავისუფლება განაპირობებს საზოგადოების ინტერესების დაცვას, მათი ერთიანობისა და ერთიანი მიზნისაკენ წინსვლის პროცესებს.

ჩვენი დღევანდელობის, დემოკრატიული პროცესების თითქმის ერთდერთი შედეგია სიტყვის თავისუფლება, სხვა დანარჩენი – ადამიანის უფლებების დაცვა, მისი სიცოცხლის ხელყოფის დაუშვებლობა, პოლიტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება, შეკრება და ა.შ. თავისუფლება საკმაო წინააღმდეგობების შემცველია და არცთუ იშვიათად რთულ პროცესებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ან მასზე ზეწოლა საკაცობრიო მასშტაბით მიღწეული, სამწუხაროდ, ლამის ერთადერთი რეალური თავისუფლების ფორმის – სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაა, რაც სრულიად დაუშვებელია. რომ არა სიტყვის თავისუფლება, სრულიად ზედმეტი ხდება დემოკრატიაზე საუბარიც კი.

მედიის თავისუფლება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს, რასაც ქართველი კანონმდებლები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პირადი საკუთრების დაცვაში აღწევენ.

მედიის სამართლებრივ-პოლიტიკური მენეჯმენტის სრულყოფას ემსახურება დღეს არსებული სამართლებრივი ბაზა, მათ შორის: საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“, საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში ვხვდებით ევროპის კონვენციას „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“, რომლის მე-10 მუხლი ეძღვნება აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ასევე ადგენს ადამიანის უფლებათა ვრცელ ჩამონათვალს და მათ შორის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

მიუხედავად ამისა, მედია მაინც არ არის ხელისუფლების მეოთხე განშტოება. მან უფრო მყარად უნდა ჩამოაყალიბოს ის საზღვრები, რომელშიც იგი მართლაც თავისუფალი იქნება მედიამენეჯმენტის თვალსაზრისით, რაც მმართველობას გულისხმობს არა ქვეყნის მმართველობის თვალსაზრისით, არამედ თვით მედიის შიგა სტრუქტურებში, მის ეთიკურ ნორმებში, მის დაყოფასა და თანამშრომლობაში სხვადასხვა სფეროს მიხედვით, ვინაიდან მართლაც შეუძლებელია მედიის ყოველი წარმომადგენელი ერთნაირი სიძლიერით ერკვეოდეს მეცნიერებაშიც, პოლიტიკაშიც, ხელოვნებაშიც, მედიცინაშიც და აკეთებდეს სიუჟეტებს ყველა სფეროში.

მიმაჩნია, რომ სანამ პიროვნება ჟურნალისტურ განათლებას მიიღებს, მას რომელიმე კონკრეტულ დარგში უნდა აქონდეს მიღებული სათანადო ცოდნა. რაც შეეხება მმართველობის პრობლემას, მედიას ასეთი უფლებები არ გააჩნია. უფრო მეტიც, იგი როგორც ნებისმიერი სხვა სფერო, თვითონაა მოქცეული პოლიტიკური და სამართლებრივი მმართველობის ქვეშ და ეს სრულიად ნორმალურია.

ნათელა მაისურაძე,
ფილოსოფიისა და სამართლის დოქტორი

მედიის არსი და მისი სამართლებრივ-პოლიტიკური მენეჯმენტი

ნაშრომში განხილულია მედიის არსი, სახეები და ფუნქციები, რომლებსაც ავტორი საკმაოდ კომპაქტურად წარმოადგენს, განიხილავს მის შესაძლებლობებსა და მოქმედების თავისუფლებას, თუმცა იქვე მიუთითებს ეთიკური ნორმების გარკვეული საზღვრების შესახებ და ჟურნალისტთა კადრების სფეროებად დაყოფის აუცილებლობაზე.

ასევე განიხილება მედიის სამართლებრივ-პოლიტიკური მენეჯმენტი, როგორც მედიის ჭეშმარიტი თავისუფლებისა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების სულიერი პროგრესირების საშუალება.

ავტორი მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ადგილი აქვს მედიისა და საზოგადოების ურთიერთობაში. კითხვებზე, რომლებიც ავტორის მიერაა დასმული სტატიის შესავალში, არის თუ არა მედია, როგორც მას უწოდებენ, „მეოთხე ხელისუფლება“ და აქვს თუ არა მას სამართლებრივ-პოლიტიკური უფლებები ან მმართველობის განხორციელების მექანიზმები, როგორც ეს ხელისუფლების სხვა შტოებს, ავტორი უარყოფითად პასუხობს.

NATELLA MAISURADZE,
doctor of philosophy and law

THE ESSENCE OF THE MEDIA, ITS LEGAL AND POLITICAL MANAGEMENT

The article deals with the essence of the media, varieties and functions, which are represented quite compactly, considering its capacity and freedom of action, but also there is indicated certain limits of the ethical norms and the necessity of journalists personnels division on different spheres.

There is also discussed legal and political management of media, as a true media freedom and, therefore, the possibility of spiritual progression.

The author points out the problems, that have occurred in media and public relations. Questions, that are raised in the article, by the author: is it really, that the media is called as the "fourth power" and whether has it a legal and political rights or governance mechanisms of implementation, as well as has it other branches of government? - The author responds negatively.

НАТЕЛІА МАЙСУРАДЗЕ,
доктор философии и права

СУЩНОСТЬ МЕДИИ И ЕЕ ЮРИДИЧЕСКИЙ И ПОЛИТИЧЕСКИЙ МЕНЕДЖМЕНТ

Рассматриваются сущность медики, виды и функции, которые автор представляет довольно компактно, учитывая их потенциал и свободу действий, но автор тут же указывает на уточнение ее этических границ и необходимость разделения журналистов по разным специализациям.

Также обсуждается правовое и политическое управление медией в качестве истинной свободы средств массовой информации и, следовательно, возможность духовного развития общества.

Автор указывает на проблемы, которые произошли в средствах массовой информации и связях с общественностью. Вопросы, которые возникают в статье: действительно ли, что медиа есть, как ее называют, "четвертая власть", и есть ли у нее правовые и политические права и механизмы управления, как этим владеют другие ветви власти? Автор отвечает отрицательно.

შინაარსი

კერძო სამართალი

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| გალერი ხრუსტალი. საკასაციო საჩივრის უფლების მქონე სუბიექტები | 3 |
| ქეთევან ქოქრაშვილი, ლაშა გორგაძე. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებანი | 10 |
| ირმა მერებაშვილი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით | 16 |

საჯარო სამართალი

| | |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| ირაკლი გაბისონია. შიკრიბისა და მანიფესტაციის უფლების სამართლებრივი ჩარჩოები, თანაზომიერების პრინციპი | 28 |
| გიორგი გორაძე. დეკლარაცია დიდ ბრიტანეთში და შოტლანდიისთვის დელეგირებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებები | 40 |
| ვლადიმერ წერეთელი. მკვლელობის საქმეთა კვალიფიკაციის ზოგიერთი ასექტი | 53 |
| ლევან ქობულაშვილი. კრიმინალისტიკური ფოტობრაფიის, ვიდეო- და კინობადაღების, აუდიოჩანსების გამოყენების საკითხები მტკიცებულებათა ფიქსირების დამაბრებისა და გამოკვლევის პროცესში | 72 |
| მიხეილ გაბუნია, სოფიო ბერიძე. კრიმინოლოგია და სუიციდი. სუიციდის კრიმინოლოგიური დახასიათება | 82 |
| ბესო კვირიკაშვილი. მიბრანტების დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება | 89 |
| ბესო კვირიკაშვილი. კრიმინოთემოლოგია, ახალი თეორია ან მიმართულება კრიმინოლოგიაში | 94 |
| ანა ფუტყარაძე. საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ზოგიერთი რეკომენდაციის ანალიზი ეთიკური ქცევის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით | 98 |
| მიხეილ მგალობლიშვილი. საკონსტიტუციო სასამართლო და საკონსტიტუციო კონტროლის სახეები საზღვარგარეთის ქვეყნებში | 103 |

საერთაშორისო სამართალი

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| მერაბ რაფაეა. შიარაღებული კონფლიქტი და იძულებითი მიგრაცია | 109 |
| მერაბ რაფაეა. რამდენად ადეკვატურად იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქალაქეებს შიარაღებული კონფლიქტის დროს | 115 |

ქეთევან ჩახვაძე. „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ 1954 წლის
კონვენციის მთავარი გამოწვევები122

სამართლის ფილოსოფია

ნათელა მაისურაძე. ბრძოლა – ბზა, ხერხი და საშუალება126

ნათელა მაისურაძე. მშობის არსი და მისი სამართლებრივ-პოლიტიკური
მნიშვნელობა 135

CONTENTS

PRIVATE LAW

| | |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| Valeri Khrustali. THE SUBJECTS WITH THE RIGHT OF CASSATION APPEAL | 3 |
| Ketevan Kokrashvili, Lasha Gorgadze. CHARACTERISTICS OF LEGAL REGULATION OF CRIMINAL LIABILITY OF LEGAL ENTITIES | 10 |
| Irma Merebashvi. PECULIARITIES OF DEFAULT JUDGEMENT ISSUING IN THE FIRST AND SECOND INSTANCE COURTS ACCORDING TO GEORGIAN AND GERMAN CIVIL PROCEDURE LAW | 16 |

PUBLIC LAW

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| Irakli Gabisonia. LEGAL FRAMEWORK OF MEETING AND THE MANIFESTATION RIGHT THE PRINCIPLE OF PROPORTIONALITY | 28 |
| Giorgi Goradze. DEVOLUTION IN THE GREAT BRITAIN AND DEVOLVED POLITICAL-ADMINISTRATIVE POWERS OF SCOTLAND | 40 |
| Vladimir Tzereteli. SOME ASPECTS OF QUALIFICATION OF MURDER CASES | 53 |
| Levan Kobulashvili. THE ISSUES OF CRIMINALISTIC PHOTOGRAPHY, VIDEO AND FILMING OR AUDIO RECORD USAGE THROUGH THE EVIDENCE PERPETUATION AND RESEARCH | 72 |
| Mikheil Gabunia, Sophio Beridze. CRIMINOLOGY AND SUICIDE CRIMINOLOGICAL CHARACTERISTICS OF SUICIDE | 82 |
| Beso Kvirikashvili. CRIMINOLOGICAL CHARACTERISTIC OF MIGRANTS’ CRIMINALITY | 89 |
| Beso Kvirikashvili. CRIMINOTHEOLOGY NEW THEORY OR DIRECTION IN CRIMINOLOGY | 94 |
| Anna Putkaradze. ANALYSIS OF SOME RECOMMENDATIONS OF THE CIVIL SERVICE BUREAU OF GEORGIA WITH RESPECT TO THE IMPLEMENTATION OF ETHICAL BEHAVIOR | 98 |
| Mikheil Mgaloblishvili. CONSTITUTIONAL COURT AND TYPES OF CONSTITUTIONAL CONTROL IN FOREIGN COUNTRIES | 103 |

INTERNATIONAL LAW

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| Merab Rapava. ARMED CONFLICT AND FORCED MIGRATION | 109 |
| Merab Rapava. HOW MUCH ADEQUATELY THE INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW (IHL) PROTECTS THE CIVILIANS DURING THE ARMED CONFLICT | 115 |

Ketevan Chakhvadze. THE BASIC APPROACH OF THE UN 1954 CONVENTION
„RELATING TU THE STATUS OF STATELESS PERSONS”122

PHILOSOPHY OF LAW

Natela Maisuradze. FIGHT, AS A METHOD, A WAY MEANS AND OPPORTUNITY126
Natella Maisuradze. THE ESSENCE OF THE MEDIA, ITS LEGAL AND POLITICAL
MANAGEMENT135

СОДЕРЖАНИЕ

ЧАСТНОЕ ПРАВО

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| Валерий Хрусталь. СУБЪЕКТЫ ПРАВА НА КАССАЦИОННОЕ ОБЖАЛОВАНИЕ | 3 |
| Кетеван Кокрашвили, Лаша Горгадзе. ОСОБЕННОСТИ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ УГОЛОВНОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ ЮРИДИЧЕСКИХ ЛИЦ | 10 |
| Ирма Меребашвили. СВОЕОБРАЗИЕ ВЫНЕСЕНИЯ ЗАОЧНОГО РЕШЕНИЯ В СУДАХ I И II ИНСТАНЦИИ ПО ГРАЖДАНСКИМ ПРОЦЕССУАЛЬНЫМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВАМ ГРУЗИИ И ГЕРМАНИИ | 16 |

ГРОЖДАНСКОЕ ПРАВО

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| Иракли Габисония. ПРОЯВЛЕНИЕ ПРАВА НА СВОБОДУ СОБРАНИЙ И ПРАВОВЫХ РАМОК. ПРИНЦИП ПРОПОРЦИОНАЛЬНОСТИ | 28 |
| Гиоргий Горгадзе. ДЕВОЛЮЦИЯ В ВЕЛИКОБРИТАНИИ И ДЕЛЕГИРОВАННЫЕ ПОЛИТИКО-УПРАВЛЕНЧЕСКИЕ ПОЛНОМОЧИЯ ШОТЛАНДИИ | 40 |
| Владимир Церетели. НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ КВАЛИФИКАЦИИ УБИЙСТВ | 53 |
| Леван Кобулашвили. ВОПРОСЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ФОТОГРАФИИ, ВИДЕО- И КИНОСЪЕМКИ, АУДИОЗАПИСИ В ПРОЦЕССЕ ФИКСИРОВАНИЯ, ЗАКРЕПЛЕНИЯ И ИССЛЕДОВАНИЯ ДОКАЗАТЕЛЬСТВ | 72 |
| Михаил Габуня, Софио Беридзе. КРИМИНОЛОГИЯ И САМОУБИЙСТВО. КРИМИНОЛОГИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА САМОУБИЙСТВА | 82 |
| Бесо Квирикашвили. КРИМИНОЛОГИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ПРЕСТУПНОСТИ МИГРАНТОВ | 89 |
| Бесо Квирикашвили. КРИМИНОТЕОЛОГИЯ - НОВАЯ ТЕОРИЯ ИЛИ НАПРАВЛЕНИЕ В КРИМИНОЛОГИИ? | 94 |
| Анна Путкарадзе. АНАЛИЗ НЕКОТОРЫХ ИЗ РЕКОМЕНДАЦИЙ БЮРО ГРАЖДАНСКОЙ СЛУЖБЫ ГРУЗИИ В ОТНОШЕНИИ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ ЭТИЧНОГО ПОВЕДЕНИЯ | 98 |
| Михеил Мгалоблишвили. КОНСТИТУЦИОННЫЙ СУД И ВИДЫ КОНСТИТУЦИОННОГО КОНТРОЛЯ В ЗАРУБЕЖНЫХ СТРАНАХ | 103 |

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВА

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| Мераб Рапава. ВООРУЖЕННЫЕ КОНФЛИКТЫ И ВЫНУЖДЕННАЯ МИГРАЦИЯ | 109 |
| Мераб Рапава. НАСКОЛЬКО АДЕКВАТНО МЕЖДУНАРОДНОЕ ГУМАНИТАРНОЕ ПРАВО ЗАЩИЩАЕТ ГРАЖДАН ВО ВРЕМЯ ВООРУЖЕННЫХ КОНФЛИКТОВ | 115 |

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| Кетеван Чахвадзе. ГЛАВНЫЕ ВЫЗОВЫ КОНВЕНЦИИ ООН 1954 Г., КАСАЮЩИЕСЯ ДОКУМЕНТА „О СТАТУСЕ ЛИЦ БЕЗ ГРАЖДАНСТВА“ | 122 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|

ФИЛОСОФИЯ ПРАВА

| | |
|----------------------------------------------------------------------------------|-----|
| Натела Маисурадзе. БОРЬБА КАК МЕТОД, СПОСОБ, СРЕДСТВО И ВОЗМОЖНОСТЬ | 126 |
|----------------------------------------------------------------------------------|-----|

| | |
|-------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| Натела Майсурадзе. СУЩНОСТЬ МЕДИИ И ЕЕ ЮРИДИЧЕСКИЙ И ПОЛИТИЧЕСКИЙ МЕНЕДЖМЕНТ | 135 |
|-------------------------------------------------------------------------------------------|-----|

რედაქტორები: ლ. მამალაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ქ. ფხაკაძისა

გადაეცა წარმოებას 28.12.2016. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03.2017. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9. ტირაჟი 55 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent